


საპარლამენტო საკითხავი ახალგაზრდებისთვის

საქართველოს ისტორია რომ გაყალბებულია, ამის შესახებ არაერთხელ ითქვა. ამდენად, ვეცადე, მოკლე თეზისებად ჩამოყალიბებული ისტორიულ დოკუმენტები და თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი წარმოემდგინა, რაც ყველა ქართველმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ.



გაბი რომლითაც შორღანის მთავრობამ საქართველოდან განაპი გაიტანა

7 საქტემბრის დიდი გამარჯვება



ირაკლი კობახიძე კალათბურთისა და ფეხბურთის ნაკრებებს გამარჯვებები მიულოცა

„მინდა მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს გუშინდელი გამარჯვებები, ძალიან წარმატებული დღე იყო ჩვენი ქვეყნისთვის. მინდა, პირველ რიგში, კალათბურთელებს მივულოცო ისტორიული წარმატება, პირველად ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა ჩვენი ეროვნული ნაკრები.“

მინდა თითოეულ კალათბურთელს და მთლიანად გუნდს, მათ შორის მწვრთნელებს გადავუხადო მადლობა ამ შთაბეჭდავი წარმატებისთვის. კალათბურთის ფედერაციას მინდა გადავუხადო მადლობა თავდადებისა და შრომის გარეშე ასეთი შედეგები არ მოდის. სამომავლოდ მინდა ვუსურვო წარმატებები. მნიშვნელოვანი მატჩები გველოდება წინ და დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ თამაშებშიც წარმატება იქნება ჩვენს მხარეს. ასევე ფეხ-

ბურთელებს მინდა მივულოცო გუშინდელი გამარჯვება, შთაბეჭდავი გამარჯვება და მათაც მინდა წარმატება ვუსურვო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

რაც შეეხება კალათბურთელებს, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს ისტორიული შედეგი, გვინდა ეს შედეგი აღვნიშნოთ მთავრობის მხრიდან შესაბამისი ფულადი პრემიითაც და ვფიქრობთ, რომ 3 მილიონი ლარი გამოიყოს უკვე მიღწეული წარმატებისთვის და ყოველი შემდგომი მოგებულ თამაშისთვის ევრობასკეტზე, ევროპის ჩემპიონატზე, ასევე დაეაწესებთ 3 მილიონ ლარს. მიღწეული შედეგისთვის 3 მილიონი ლარი და ყოველი შემდეგი გამარჯვებისთვის 3 მილიონი ლარი. ასეთი პრემია იქნება დაწესებული“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



ირაკლი კობახიძე უკანონო მიგრაციის შესახებ

„აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უკანონო მიგრაციის აღმოსაფხვრელად. ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. ბოლო სამ თვეში, შსს-ის მიერ მიგრაციის დეპარტამენტმა გააძევა ქვეყნიდან თითქმის იმდენივე უკანონო მიგრანტი, რამდენიც მთელი გასული წლის განმავლობაში. ეს სტატისტიკაც მეტყველებს იმაზე, რომ ეფექტიანობის ხარისხი არის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და შსს ბევრად უფრო ეფექტიანად მუშაობს ბოლო სამი თვის განმავლობაში ყველა მიმართულებით“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძე ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის შესახებ

„გამოცხადდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. მთლიანობაში არის გამოცხადებული 3 147 ვაკანსია და ინტერესი არის ძალიან მაღალი. უკვე 18 800-ზე მეტ კურსდამთავრებულს აქვს შემოტანილი განაცხადი. დარწმუნებული ვარ, წელს ეს პროექტი კიდევ უფრო მეტი წარმატებით განხორციელდება. თითოეულ სტაჟიორს მინდა, წარმატებები ვუსურვო“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კურსდამთავრებულებისთვის შარშან სპილოტე რეჟიმში წარმატებით განხორციელდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროექტი.

ქახა კალაძე ოპოზიციანად

„უნდათ, რომ თავიანთი მხარდამჭერები რადიკალიზაციის შედეგად ანონ, რადგან ყველანაირად გაუბედურებულნი არიან, თანადგომის არანაირი რესურსი არ გააჩნიათ, ნიპილოზში არიან გადავარდნილები. ხალხი ხედავს, რას წარმოადგენენ. გუშინდელი მაგალითიც ამას მოწმობს, რომ არიან მოძალადეები, რომლებიც გარედან იკვებებიან - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის თანადგომით, დაფინანსებით. მათი რეჟიმები, ავტორიტეტი ნულია. ქართველი ხალხი 4 ოქტომბერს მათ განაჩენს გამოუტანს“, - განაცხადა ქახა კალაძემ.

7 სექტემბერის დიდი გამარჯვება

ბევრი გამარჯვება აქვთ მოპოვებული ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე, თუმცა არის შეხვედრები, სადაც გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. თუ ქართველ მოჭიდავეთა ჩემპიონობას თუნებისმიერ სინჯის მედალს ჩვენი გულშემატკივრები ხშირად ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ, ეს არანაირად არ აკნინებს ჩვენი მოჭიდავეების ღვაწლს.

გუნდურ სათამაშო სახეობებს საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უკავია, ამის დასტურად გადავსებულ სტადიონებსა და სპორტის სასახლეებშიც კმარა. თავისთავად, ქართველი გულშემატკივრები ჩვენი გუნდებისგან ყოველთვის გამარჯვებებს ელოდებიან. სამწუხაროდ, ზოგჯერ წარმატებებს ვერ ვაღწევთ დაუნდობელი სპორტული პრინციპიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენი ბიჭები მცდელობას არასოდეს აკლებენ, ყოველთვის ბოლომდე იხარჯებიან.

წლებადედი ევროპის ჩემპიონატზე კალათბურთში საქართველოს ნაკრებმა პირველივე შეხვედ-

რაში კონტინენტის მოქმედი ჩემპიონი, საბერძნეთის გუნდი დაამარცხა. მართალია, ამის შემდეგ, სამწუხაროდ, გვექონდა დასანანი წაგებებიც, მაგრამ ჩვენი ნაკრები მომდევნო ეტაპზე გავიდა. მერვედფინალში საქართველოს ნაკრებს წილისყრით საფრანგეთის ნაკრები ერგო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბერძნეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები წლებადედი ევროპის ჩემპიონატზე უპირობო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. მაგრამ... გასულ კვირას საფრანგეთის ძლიერ გუნდთან დაპირისპირებას მერვედფინალში ქართველი გულშემატკივარი დიდი ინტერესით და გულისფანცქალით ელოდებოდა. განსაკუთრებით აინტერესებდათ, როგორი ტაქტიკით ითამაშებდნენ ჩვენი ბიჭები მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან. ქართველ გულშემატკივრებსა და, საერთოდ, ხალხს, გამარჯვების მოლოდინი ჰქონდა.

საბედნიეროდ, ჩვენმა კალათბურთელებმა თავი არ დაზოგეს და სარბიელზე ბოლომდე დაიხარჯნენ, მაქსიმალურად გამოავლი-



ნეს თავიანთი შესაძლებლობები. ამჯერად თამაშის დეტალურად განხილვას არ შეუვდებით, მატჩი ყველამ ნახა, ზოგმა ჩანაწერით, ზოგიც პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საფრანგეთის ნაკრების დამარცხება რიგითი გამარჯვება არ იყო. როდესაც საქართველოს ნაკრები ერთ-ერთ ძლიერ გუნდს ათი ქულის სხვაობით ამარცხებს, ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. ამ გამარჯვებით ქართველმა კალათბურთელებმა იმედი ჩაგვისახეს, რომ მათ აქვთ პოტენციალი და შესწევთ იმის ძალა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიადწინონ.

მომდევნო ეტაპზე გასვლის გარდა, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა უდიდესი სიხარული მოგვტანა ქართველ გულშემატკივრებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, რისთვისაც გულწრფელად ვემადლიერებით და ვეუბნებით: გამდლობთ, ბიჭებო!

იმაზე დღეს, კალათბურთის მატჩის თითქმის პარალელურად, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბულგარეთის გუნდს მასპინძლობდა. თამაშს პრინციპული ხასიათი ჰქონდა. ქულების მოპოვების გარდა, ჩვენს ნაკრებს თურქეთთან დასანანი წაგების შემდეგ, ქართველი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტირება სჭირდებოდა. ეს ყველაფერი კარგად შეძლეს და დიდი ანგარიშით გამარჯვებითაც გაგვახარეს და ერთ დღეში ორი სახეობის სპორტსმენებმა ორმაგი სიხარული მოუტანეს საქართველოს.

განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სტადიონზე განთავსებულმა ბანერმა წარწერით — „მე ვარ ქართველი“. დიახ, ჩვენ, ქართველები ვართ და უბრძოლველად არასდროს არაფერს დავთმობთ, მათ შორის, სპორტულ არენაზე, ამისთვის კი ბოლომდე ვიბრძობებით!

წარმატებები თავისით არ მოდის. ორივე თამაშში გამარჯვებაში, სპორტსმენებისა და მწვრთნელების გარდა, დიდი წვლილი მიუძღვის კალათბურთისა და ფეხბურთის ფედერაციებს, სპორტის სამინისტროს, ქვეყნის ხელისუფლებას, რომლებმაც სპორტის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა.


ორივე ნაკრების სამწვრთნელო შტაბებს ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მიუხედავად ამ ეტაპზე კეთილმოწყობებისა, გამოჩნდა, ხარვეზები, რომლებიც ყველაზე უკეთ მათ დაინახეს. იმედია, ისინი ყველაფერს გააკეთებენ მათ აღმოსაფხვრელად.

წარმატებები და გამარჯვებები ვუსურვოთ ჩვენს სასიქაღულო სპორტსმენებს, განსაკუთრებით კი ჩვენს კალათბურთელებს, რომლებიც განაგრძობენ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას.

გიან ბურდული



უახლოეს ხანში სიღნაღის ხერხეარე ჰეაბირეცაცია რაინეცეა



მალხაზ ბეგიაშვილი - სიღნაღის მოქმედი მერი. ეს კაცი აქაურებისთვის არ განხლავთ ციდან ჩამოფრენილი, სოფელ ძველ ანაგაში დაიბადა, გაიზარდა და აქ აპირებს სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრებას. მან კარგად იცის, რა უნდათ სიღნაღელებს, რაზე ფიქრობენ, რაზე ოცნებობენ, რა ანუხებთ, რა სტკივათ. ის მეორედ გახდება სიღნაღის მერი, ჯერ ერთი, კონკურენტი, ფაქტობრივად, არ ჰყავს და რომც ჰყავდეს, ასეთ მუშა ხელმძღვანელს ვერაფერს დააკლებს.

- ბატონო მალხაზ, მოდი, პრობლემებით დავიწყოთ, მე ვიცი, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში ბევრი რამ გაკეთდა - გზები, სკვერები, განათება, წყალი, თუმცა დარჩა პრობლემებიც. რა არის ის, რის გაკეთებაც პირველ ეტაპზე ვერ მოასწართ?

- რაღაც გამოკვეთილი პრობლემა რომ ყოფილიყო, ასე არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ზოგადი პრობლემები, რაც რეგიონშია, არსებობს. ალბათ, იცით, ბოლო წლების განმავლობაში მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვა სასმელი წყლის პროგრამამ. ყველა სოფელში თითქმის ერთდროულად დაიწყო მშენებლობა. ამის გამო შიდა სასოფლო გზები დაზიანდა და გადავადით ამ გზების მოწესრიგებაზეც. ამას გამოკვეთილად იმიტომ ვამბობ, რომ ეს ყველა ერთდროულად მოხდა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო სპორტული ინფრასტრუქტურის ჩამორჩენა, ჯანმრთელი ცხოვრების სტიმული რომ ყოფილიყო ახალგაზრდებისთვის, ასეთი ინფრასტრუქტურა ჩვენ არ გვქონდა. სიღნაღი იყო გარეგნულად მომხიბლავი, ლამაზი, მაგრამ შინაარსობრივად დაცლილი. კარგია, „სიყვარულის ქალაქი“ რომ გქვია, მაგრამ ეს იგივე იყო, ადამიანს სული რომ არ ჰქონოდა. ჩვენ გვინდოდა, სიღნაღი ისეთივე მომხიბლავი და დასამახსოვრებელი ყოფილიყო შინაგანად, როგორც გარეგნულად იყო. გეოგრაფია გვაქვს უნიკალური, ისტორია არანაკლები და არქიტექტურა გადასარევი, ახლა უნდა გვეპოვა ნიშა, რომელიც პარმონიაში მოვიდოდა მის გარეგნობასთან.

- სხვათა შორის, მე მქონდა და ახლაც მაქვს შეგრძნება, რომ ტურისტული მოდის ქალაქი სიღნაღში და არ ჩამოდის სოფლებში, ანუ შუაგულ ქიზიყში. არადა, არანაკლებ საინტერესო ისტორია გვაქვს ქვემოთ, ალაზნის ველზე. ბოლო-ბოლო, ვენახები გვაქვს უნიკალური.

- სწორია, ამდენი ტურისტული ნაკადი მოდის, სიღნაღი ამ მხრივ ყველა მუნიციპალიტეტს აჭარბებს, მაგრამ ამას არეგულირებს აგროტურიზმი. თუ გადავხედავთ თელავს, ყვარელს და სხვა რაიონებს, იქ უფრო მეტად არის განვითარებული შატოები, საოჯ-

ახო სასტუმროები, რესტორნები და ასე შემდეგ. ჩვენ ამ ნაწილშიც ვფიქრობდით განვითარებას და წინსვლა ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ჯერ ისეთი ვერა, როგორც, მაგალითად, თელავშია. ამ მხრივ საკმაო სამუშაოა. ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა იყო მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების მოწესრიგება. როდესაც სიღნაღს ე. წ. რეაბილიტაცია ჩაუტარეს, მაშინ არავის გაუთვალისწინებია, არც არავის უფიქრია, გრძელვადიან პერსპექტივაში როგორ დაიტვირთებოდა ეს ქალაქი. სანაღ-



ვრე და საკანალიზაციო სისტემები ერთმანეთშია არეული. მთავრობაში საკითხი დაფენებულია, ყველა საქმის კურსშია, უახლოეს ხანში უნდა დავიწყოთ სიღნაღის ხელახალი რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მიდის განხილვა, რა როგორ იქნება.

- ეგ კარგი საქმეა, ძალიან გამახარეთ. რაც შეიძლება ბევრი უნდა ვილაპარაკოთ ამ საკითხზე.

- რა თქმა უნდა, ეს საჭიროა... თუ არ მოხდა ხელახალი რეაბილიტაცია, ბევრ რამეს ვერ გავაკეთებთ, გარე განათების გაკეთებაც კი გვიჭირს, კვეთები ისეა ჩალაგებული და ისე უხარისხოდ არის გა-

კეთებული, რემონტის საშუალებას არ იძლევა.

- ეს „ნაციონალების“ საქმენი საგმირონია, თუ კომუნისტების დროინდელია და მოძველდა?

- არა, „ნაციონალების“ დროს გაკეთდა, ხომ იცით, მაგათთვის მთავარი ფასადი იყო, იმაზე არაფერი ფიქრობდა, ათი ან ოცი წლის მერე ამ ქალაქს რა პერსპექტივა ექნებოდა. ახლა, ვისაც კი სასტუმრო აქვს, ყველაზე გააკეთეს საცურაო აუზები, ბაზარი ითხოვს და ეს ამხელა სიმძიმე ხომ სისტემას აწევს? მე სულ ვამბობ, როდესაც ხელახალი რეაბილიტაცია დაიწყო, ყველაფერი ისე უნდა გაგაკეთოთ, რომ ტურისტული სეზონი არ დავაზიანოთ, ან არ დავაპაუზოთ.

- ალბათ, ეგ გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე უნდა გაკეთდეს, როცა სიღნაღი შედარებით დაცლილია.

- კი, ალბათ, ასე იქნება და გარეუბნებიდან უნდა დავიწყოთ.

დნენ ყურძენს, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ამასთან, მინიმალური ზღვარიც გამოიკვეთა, ერთ კოლონად თეთრ ყურძენზე 1 ლარი და 20 თეთრია.

- აქ ცოტა დეტალურად განვმარტოთ... ესე იგი, გლეხი მიდის ქარხანაში, აბარებს ყურძენს და ფულს იძლევა ვინ?

- ყურძენის ჩაბარებიდან 20 სამუშაო დღეში გლეხს თანხა ერიცხება ბანკში. არსებობს მობილური აპლიკაციები, თუ ხარისხზე გლეხს სადავო ექნება, შეისწავლიან და პრობლემა არ იქნება. ამ ეტაპზე არანაირი შეფერხება არ არსებობს და ვფიქრობ, რთველი ასეც ჩაივლის. წელს ორგანიზება ადრე დაიწყო და ამან დადებითად იმოქმედა. ერთი ეგ არის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ღვინის კერძო ქარხნები არ არსებობს, ეს ჩვენთვის მინუსია. სულ ვლაპარაკობ, თავის დროზე ერეკლე მეორემ სიღნაღი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადა, ჩამოასახლა

- სიღნაღის მუნიციპალიტეტში გაზეთები არ მოდის, ამხელა რაიონში პრესა არ ვრცელდება, რა ვქნათ?

- ამ საკითხზე სიღნაღში რამდენიმეჯერ მკითხეს, წნორშიც არის ეს მოთხოვნა. შეიძლება ცენტრში რამე ადგილი გამოვნახოთ და იქ გაიყიდოს. მოთხოვნა დიდია.

- იცით, ხალხი რას ფიქრობს? აბა, ეს რა ქვეყანაა, როცა გაზეთებიც კი არ მოდის ჩვენამდე. ადამიანები მიჩვეულები იყვნენ პრესას და პრესის გარეშე დარჩნენ, ისინი ძალიან განიცდიან. მე არ მეგონა, ამდენი მკითხველი თუ იყო სოფლებში.

- მე მაინც ვფიქრობ, რომ გაზეთების რედაქციებმა უნდა გამოიხიზონ რაღაც გამოსავალი.

- საოცარი ის არის, რომ პრესა თელავში იყიდება, გურჯაანში იყიდება, ყვარელში იყიდება, დღოფლისწყვარში იყიდება, მხოლოდ სიღნაღის მუნიციპალიტეტშია გამოსაცემის.

- არ ვიცო, მაშინ მერიამ უნდა იყიდოს და ჩამოიტანოს სიღნაღამდე. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, სპეციალურად ვყიდულობდი და მიმქონდა, გაზეთებით ცოცხლობდა. პრესას თავისებური ხიბლი აქვს, მეც მიყვარს გაზეთის სუნი.

- კიდევ ერთი პრობლემა, ამას წინებზე მოსახლეობა ჩიოდა, წნორში მშვენიერი პარკი გააკეთეს და არც დენია, არც შადრევნები მუშაობს.

- ეგ პრობლემა მოგვარდა, ახლა პარკში განათებაც არის და შადრევანიც მუშაობს. მე ამ პარკის მოდერნიზება მინდა მომავალი წლიდან, ისედაც კარგია, მაგრამ შინაარსობრივად დასახვეწია.

- თუ მშვიდობიანად არ დაგვაშენს, გამარჯვების შემთხვევაში რით დაიწყებთ?

- არ ილევა ჩვენს ქვეყანაში ფულზე გაყიდული „პატრიოტები“, მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ ცოტანი არიან, მიზანს ვერ აღწევენ. ჩემი უპირველესი მიზანია, დავენეროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი — დღევანდელ ახალგაზრდობას ეს სჭირდება. სპორტული კომპლექსი ავაშენებ, ისეთი კალათბურთის დარბაზი გვაქვს, რომ ყველა კრიტიკიუმს აკმაყოფილებს, საერთაშორისო მატჩების ჩატარებაც შეიძლება. გვაქვს ჭიდაობის დარბაზი. უნდა გავაკეთოთ საცურაო აუზი თავისი ინფრასტრუქტურით. იქნება კრივისა და ჭიდაობის დარბაზები, ჩოგბურთის და ასე შემდეგ. გვემეზობი გვაქვს, საკმაოდ მასშტაბური პროექტია.

- გისურვებთ წარმატებებს. - გამაღობთ.

კონგრესმენები ყაფენ, საქართველოს ქარავანი კი...



გვესაუბრება ანალიტიკოსი მია აბაშიძე:

— ბატონო მია, გასულ კვირას ყველაშვილმა ტრამპს წერილი გაუგზავნა. რა მოლოდინი შეიძლება გექნოდეს, შედეგი რა იქნება?

— ფაქტია, ტრამპის მეორე ვადით მოსვლის შემდეგ, საქართველოს ყურადღებას დიდად არ აქცევენ, არც ჩვენს შიდა საკმეხებში ერევან ისე ხისტად, როგორც ბაიდენის დროს. მერწმუნეთ, ვაშინგტონთან ურთიერთობა მხოლოდ დია წერილებით არ ხდება. აქ ურთიერთობის მრავალმხრივი გზებია გაჭრილი როგორც პოლიტიკოსების, ისე ოფიციალური თბილისის მიმართ მეგობრულად განწყობილი პოლიტიკური აქტორების ჩართულობითაც. რაც შეეხება თეთრი სახლიდან დუმილს, ეს გარკვეულ პერიოდში დასრულდება. ნუ დაგვაიწყდება, რომ ნეოლიბერალური დემოკრატიების მმართველობის პერიოდში თეთრი სახლის საგარეო პრიორიტეტებში საქართველო, ობიექტურ მიზეზთა გამო, ტოპპრიორიტეტებში არ იყო. მათ სუვერენიტეტის, ტრადიციებისა და ფასეულობების დამცველი ხელისუფლება ნებისმიერ ქვეყანაში აღიზანებთ. ამიტომაც საქართველოს მისამართით არაერთი შეტევა განხორციელდა.

ტრამპის მმართველობის პირობებში მსგავს რამეს ადგილი არ აქვს, თუმცა არ დაგვაიწყდება, რომ დიფ სთეიტის საცეცხები კვლავ მძლავრობს როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში, ისე კონგრესსა თუ რიგ ამერიკულ სახელმწიფო უწყებებში. ამიტომ გასაკებია, რატომ არ არის ამერიკის ტოპპრიორიტეტების სიაში საქართველო. ვფიქრობ, კობახიძისა და ყველაშვილის მიერ ტრამპთან გაგზავნილი წერილები უშედეგოდ არ ჩაივლის.

— ამერიკასთან გადატვირთვის პოლიტიკა რაზეა დამოკიდებული?

— პროცესის გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უკრაინაში დაუსრულებელი საბრძოლო მოქმედებებია, რაშიც ტრამპი ევროკავშირის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს. ანუ, ბოლო წლებში გეოპოლიტიკურ ფუჯად ქცეული ევროკავშირი, უზომოდ ფუფუნაობის გამო, გაველენის ბერკეტების მოპოვებას ცდილობს. ამ შემთხვევაში, ეს გახლავთ უკრაინის კონფლიქტი, რითაც ვითომ რუსეთს ებრძვიან და მის ასე დამარცხებას გეგმავენ. ეს სიცრუე, ილუზიაა, რასაც წამყვანი დასავლელი მეცნიერები, ანალიტიკოსები აღიარებენ. ამიტომაც, ეს დასუსტებული ევროკავშირი, გარდა იმისა, რომ რუსეთს ვითომ უკრაინის მეშვეობით ებრძვის, ასევე გააფთრებით ილაშქრებს სუვერენული საქართველოს წინააღმდეგაც და თავზე იმ ფასეულობებს ახვევს, რაც ევროკავშირის დამფუძნებელი მამების პრინციპებსა და ფასეულობებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ასე რომ, ტრამპის დღის წესრიგში შემდეგი ტოპსაგარეო საკითხებია: უკრაინაში ომის მალე დასრულება, ჩინეთთან ურთიერთობის დალაგება, ფეთქებად ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების მოგუდვა, ირანის სამხედრო-ბირთვული პოტენციალის დაუშვებლობა და, რასაკვირველია, სატარიფო ომების დასრულება ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ გლობალური საკითხების „ბუკეტში“ საქართველო გამორჩეულად მნიშვნელოვან ადგილზე ვერ იქნება. შესაბამისად, როგორც კი უკრაინის კონფლიქტი დასრულდება და პუტინი იმ რევიონებს მიიტაცებს, რაც მას უკრაინაში პრიორიტეტულად მიაჩნია, დაზარალებული ეს უკანასკნელი დარჩება. უკრაინაში ნატო-ს სამხედრო დანაყოფები ვერასდროს განლაგდება. შესაბამისად, მსოფლიოს უდიდესი გეოპოლიტიკური აქტორები: აშშ, ჩინეთი და რუსეთი გადაინაწილებენ. პეკინმა კი ბოლო პერიოდში თავისი პომპეზური ადღეუმი და სხვადასხვა ლიდერის მიწვევით სამყაროს დაანახა, რომ ორ-სამპოლუსიანი სამყარო არ არსებობს, არამედ არსებობენ მრავალპოლუსიანი სამყაროს მომხრენი, რომლის ლოკომოტივები ზემოხსენებული სამი ქვეყანაა. რუსეთს და ჩინეთს ძალიან ძლიერი მოკავშირეები ჰყავთ, როგორც აღმოსავლეთით, ასევე ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. მსოფლიოში მიმდინარე ამ უდიდეს ქართველებში, საქართველო დაბალანსებულ პოლიტიკას ინარჩუნებს — ეს არის მშვიდობიანი განვითარება და სუვერენიტეტის, თვითმყოფადობის დაცვა.

— დღეს ჰელსინკის კომისია შეიკრიბა. მთავარი ბრალდება ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავებაა. როგორც გვეუბნებიან, ქვეყნის სუვერენიტეტის დასუსტება ჩინური ინვესტიციების მოზიდვით ხდება.

— ჩინეთის საკითხზე საქართველოს დამუნათება უდიდესი თვალთმაქცობა და ფარისევლობაა. განა საქართველოს ეკონომიკაში ჩადებული ახლანდელი თუ სამომავლო ჩინური ინვესტიციები შეედრება იმ მრავალმილიარდიან სავაჭრო ფინანსურ ურთიერთობას, რაც ჩინეთს ევროკავშირთან, აშშ-სთან აქვს?! ჰელსინკის კომისია, სადაც ჯო უილსონის მსგავსი ფულისტი, პოლიტიკის შემარცხველი ადამიანები სჭარბობენ, დიფ სთეიტის ერთ-ერთი პატარა დანაყოფია, რომელიც სუვერენულ ქვეყნებს ებრძვის. თუ ხსენებულ კომისიაში მართლაც ასეთი ანტი-ჩინური განწყობების ადამიანები არიან, მაშინ პრეტენზიები გერმანიას, მთლიანად ევროკავშირს წაუყენონ, რომელთაც ეკონომიკური თვალსაზრისით ჩინეთთან გაცხოველებული ურთიერთობა აქვთ. ეს ხომ თვალში ნაცრის შეყვრაა. გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის პირობებში იმის თქმა, რომ ჩინეთსა და დასავლეთს ეკონომიკური ურთიერთობა არ აქვთ და ამას მხოლოდ ე. წ. დამნაშავე საქართველო აკეთებს, უდიდესი თვალთმაქცობაა. ტყუილად ჰგონიათ, თითქოს საქართველო ჩამორჩენილი კოლონია, უწიგნური ხალხით სავსე ქვეყანაა, სადაც ინტერნეტის მოხმარება არ იციან და გლობალურ საინფორმაციო საშუალებებს ვერ ეცნობიან.

პრობლემა ჩვენი ჩინეთთან ურთიერთობა და არა „რუსეთისკენ სვლა“?

— ზოგადად, ფარისევლ დასავლეთს, ევროკავშირში დიფ სთეიტის დანაყოფებს არ სურთ სუვერენული ქვეყნების ეკონომიკურად განვითარება, არამედ ურჩევნიათ, მათ მიმართ კოლონიალისტური დამოკიდებულება ჰქონდეთ. შევხედოთ რეალობას, საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო ათწლეულებში გინახავთ აქ მსხვილი ევროპული ან ამერიკული ინვესტიციები განხორციელებული? სად არის საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობიდან

ევროპასთან, ჩინეთთან, არაბული სამყაროს ქვეყნებთან. მაგალითად, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სამხრეთ კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის მისაღწევად. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი ამერიკის მოკავშირეა. იქნებ, ახლა ოფიციალურ თბილისის ისიც დააბრალონ, რომ სამხრეთ კორეის პოლიტიკას ატარებს. ეს ხომ აბსურდია. როგორც იტყვიან, ძალები, ანუ ევროპარლამენტარები, კონგრესმენები ყეფენ, მაგრამ თავისუფალი საქართველოს ქარავანი მშვიდობიანი განვითარებისთვის წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ.

— პარადოქსია, მაგრამ კომი-



გამომდინარე, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება?! საქართველო, თავისი სწორი, მართებული მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ დასავლეთზე გამოკიდებული ვერ იქნება. ჩვენ კონკრეტულად არც რუსეთზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული, არც დასავლეთზე, არც ჩინეთზე, არამედ მრავალი სავაჭრო პარტნიორი უნდა გვყავდეს.

ამავე დროს, მუდმივად გვესმის, რომ საქართველო რუსეთისკენ მიექანება. როგორ შეიძლება ეს სიმართლე იყოს, როცა „ქართული ოცნების“ პირობებში ევროკავშირთან უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებები გაფორმდა. საქართველო რუსეთის ჯარების მიერ დღემდე ოკუპირებულია, რომელიც უკან დახევას არ აპირებენ. როგორ შეიძლება პრორუსული იყოს ქვეყანა, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულია?! გვეყვედურობენ, რუსეთს სანქციები რატომ არ დაუწესეთო. ასე რომ მოვქცეულიყავით, რასაც კი ვივინდებო, რუსეთის დედაქალაქის ერთ უბანსაც კი ვერ დავაზიანებდით, სამაგიეროდ, მთელი ქართული ეკონომიკა ჩამოიშლიდა. ჩვენ ექსკლუზიურად ეკონომიკურად რუსეთთან ურთიერთობაზე არ ვართ დამოკიდებული, მაგრამ ეს ურთიერთობები ვითარდება როგორც რუსეთთან, ისე

სიას მომხსენებლებად ხიდაშელი და ზურაბიშვილი ჰყავდათ, რომელთაც ივანიშვილის „ავტორიტარულ მმართველობაზე“ „სამხილოდ“ წარადგინეს.

— ამერიკის ცალკეული კონგრესმენების უდიდესი პრობლემაა ის, რომ საქართველოში არსებულ მარგინალურ, რადიკალურ ძალებს უჭერენ მხარს. ამ ორი ოდიოზური სუბექტის ახლანდელი ბიოგრაფიებიდან ცნობილია შემდეგი: თვითმარქვეა პრეზიდენტი ზურაბიშვილი მაკკეინის ინსტიტუტის სახელფასო უწყისშია შეტანილი, ხოლო თინა ხიდაშელი ტაივანური გრანტებით ფინანსდება. ეს ადამიანები ცნობილი არიან როგორც „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრები, მაგრამ ჩანერგილი აგენტები. მათ საქართველოში არანაირი რენომე, რეპუტაცია რეიტინგი არ გაჩნიათ ისევე, როგორც ჰელსინკის კომისიის სხდომის წინა მომხსენებლებს ნჯო-ს უსირცხვილო ხელმძღვანელს ეკა გიგაურს და სოროსის ფონდის წარმომადგენელს. ასე რომ, ამ ცრუ მოწმეების „დანოსების“ მოსმენა საქართველოში რაიმე რეზონანს ვერ მოახდენს. ბოლო დროს ქართველი საზოგადოებისთვის ევროპარლამენტარი და კონგრესმენი, სალანძღავ სიტყვებამ იქცა.

თამარ შველიძე





გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი თამარ გიბშტარდანიძე:

— ქალბატონო თამარ, როგორ ხედვთ ქვეყანა თვითმმართველობის არჩევნებს?

— ფაქტობრივად, პოლიტიკურ დაფაზე ისეთი განლაგებაა, „ქართული ოცნება“ ამ ბრძოლაში უკონკურენტოა. საპარლამენტო ძალიერი ოპოზიციური ძალა, რომელიც მას კონკურენციას გაუწევს, არ არსებობს. ასე რომ, თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი ძალა დამაჯერებლად გაიმარჯვებს. „ლელოს“ და „გაზარია საქართველოსთვის“ მოპოვებული ხმები წონადი ვერ იქნება. როგორც იცით, „ნაციონალიზმი“ და „ახალი“, ანუ ძველი და ახალი ნაცები არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. ნაცების აქტიური ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან აუცილებლად მთავარი და არჩევნების დაფიქსირებას. ამიტომ ნაცებმა რაც უნდა მოუწოდონ საკუთარ ამომრჩევლებს, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეთ და გარეთ ბარიკადები მოაწყვეთო, ასე არ იქნება. ნაცებს სურთ, პარტიის წევრებმა 4 ოქტომბერს საარჩევნო უბნებს ალყა შემოარტყან და არჩევნების ჩატარებას ხელი შეუშალონ, ანუ, არჩევნები ჩაშალონ, მაგრამ როგორი საგუშაგოებიც უნდა დაადგან საარჩევნო უბნებთან, არჩევნებს ვერ ჩაშლიან, „ქართული ოცნების“ გარდა, არჩევნებში სხვა ბევრი პარტია მონაწილეობს, რომლებიც თავიანთ ხმებს დაიცავენ.

არჩევნები დემოკრატიული, თავისუფალი გარემოში ჩატარდება. ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გააკეთებს არჩევნებს ქვეყნის საკეთილდღეოდ და ხმას მშვიდობას, მეტ განვითარებას მისცემს. ამ ზაფხულს რამდენიმე რეგიონში ვიყავი და მინდა გითხრა, რომ ბევრი რამ კეთდება, გზები, წყლის, კანალიზაციის პრობლემები გვარდება. თუმცა, არის სოფლები, სადაც ინფრასტრუქტურა გასამართია, მაგრამ უკვე შემუშავებული პროგრამები და ყველაზე მაღალმთიან სოფლებშიც კი კონკრეტული პროექტების განხორციელება დაწყებულია. მიხარია, როცა საქართველოს რეგიონებს, კუთხეებს ასეთ მოწყობილს, გაღამაზებულს ვხედავ, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. მჯერა, ქვეყნის მეტი განვითარებისთვის ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ სწორ არჩევანს გააკეთებს და მხარს მმართველ პარტიას დაუჭერს.

რაც შეეხება ოპოზიციას, ვფიქრობ, მის გაძლიერებას „ნაციონალიზმი“ მყარი ამომრჩევლით შეეცდებიან. ზოგადად, თვითმმართველობის არჩევნების დროს ქვეყანაში პოლიტიკური გუნდი არ იცვ-

ლება. მხოლოდ ადგილობრივ დონეზე შეიძლება რაღაც შეცვალოს. მაგალითად, წალენჯიხას ჰყავდა ოპოზიციონერი მერი, მაგრამ მან რაიონისთვის სასიკეთო ვერაფერი გააკეთა, ხალხიც გაიტანა. ოპოზიციონერმა მერმა როგორ უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან? ხელისუფლებას ერთი სტრატეგია, პოლიტიკური ხედვები აქვს, რეგიონების განვითარება ცენტრალიზებულად ხდება, ოპოზიციის კი ამ სქემიდან მთლიანად ამოვარდნილია, მას სულ სხვა სტრატეგია აქვს, რაც ქვეყნის კეთილდღეობას არ გულისხმობს. ხალხმა ეს მშვენივრად იცის. ამით გამოირჩევა თვითმმართველობის არჩევნები საპარლამენტო და საპრეზიდენტოსგან. ამიტომ არის თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩევლის ნაკლები აქტიურობა, რადგან მოსახლეობამ იცის, რომ ეს ცვლილებებს ვერ მოიტანს.

ლიდერის და ჩრდილოვანი მმართველისა, რომლებიც ევროპაში დიდად, ამერიკაში კი კულუარულად მართავენ ქვეყანას და ტრამპის ადმინისტრაციას ებრძვიან.

ქართული ოპოზიციის წევრს ბევრად დასუსტებულია, ვიდრე საპარლამენტო არჩევნების დროს იყო. მას საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერაც მოაკლდა და ადგილობრივაც. ბოლო წლების განმავლობაში არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა, ოპოზიციამ შარშან აიღო. ზენიტში ვედარასდროს ავლენ. დაფინანსების მიუხედავად, ხელისუფლება ვერ ჩამოაგდეს. არადა, რა აღარ გადავიტანეთ. მაღლობა ღმერთს, ხელისუფლება ძლიერი აღმოჩნდა და არეულობა არ დაუშვა. ხელისუფლებას რომ თავი დაეკანებოთ, ოპოზიციის თავისი პატრონებიანად ვერ მოერია ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს, რომელსაც ქვეყანაში

ფორმაციით კვებავენ, ცდილობენ, ეს ახალგაზრდობა დროში აქციონ და ფარად აიფარონ. მჯერა, ისინი ჭკუაზე მოვლენ და სწორ არჩევანს გააკეთებენ. თუმცა, ისეთებიც დარჩებიან, ვინც ოპოზიციის პოლიტიკტივია. რუსთაველის გამზირზე, ძირითადად, ის ახალგაზრდები ჩანან, რომლებიც პარტიის წევრები არიან და პოლიტიკური ამბიციები, პოლიტიკური მიზანდასახულობა გააჩნიათ, რაშიც ფულად ანაზღაურებას იღებენ. მაგრამ ეს არ არის ის გადამწყვეტი ძალა, რომელსაც ქვეყანაში რევოლუციის მოწყობა შეუძლია.

— ახალგაზრდები ახსენეთ და მამაკაცებიც კი აღნიშნავენ, რომ ასეთი ბილწისტივება, რაც გოგონებისგან ესმით, არასდროს გაუგიათ.

— ეს ახალგაზრდები, განსაკუთრებით, გოგონები, რომელთაც გინებით, ლანძღვით, ბილწისტივებ-

თა ფსიქოლოგი როგორ მუშაობს ბავშვებთან, რა მაგალითს აძლევს მონარდებს, საზოგადოებას?! ეს ჭუჭყი არ იბირება, ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებს.

ქართველი ხალხი მათ მოწყობილ რევოლუციას არ დაუშვებს და ეს იქიდანაც აშკარაა, რომ წლებია, საზოგადოება საარჩევნო ყუთთან მიდის და სწორ არჩევანს აკეთებს — ირჩევს მშვიდობას, სტაბილურობას, განვითარებას, წინსვლას და არა უკუსვლას, რაც ოპოზიციას და მის პატრონებს ასე სწადათ. შარშან ოპოზიციამ ხმების რაოდენობით ისტორიულ ნიშნულს რომ მიაღწია, ეს მისი კი არა, არამედ ევროპის, ბაიდენის ადმინისტრაციის დამსახურება იყო, რომელთაც ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გააგიჟეს, დეზინფორმაციით ყურები გამოუჭედეს, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ ევროინტეგრაციის გზიდან გადაუხვია.

საარჩევნო უბნების ალყაში მოქცევა და არჩევნების ჩაშლა „ნაცებს“ არ გამოუვათ

ოპოზიციამ, მისმა უცხოელმა ლობისტებმა კარგად უწყვიან, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდება და რევოლუციის მოწყობას ვერ შეძლებენ. წარმოიდგინეთ, საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა აშშ-ში ბაიდენის ადმინისტრაციის იმედი დასავლეთში ოპოზიციის ქვეყნის ასარეზად მილიონები ჩაურიცხა, თუმცა მაინც ვერაფერს გახდნენ. დღეს ვინ არის საქართველოში რევოლუციის მომწყობი — ნაცები, რომლებიც თავად არჩევნებში არ მონაწილეობენ და გარეთ ბარიკადების მოწყობით გვემუქრებიან, თუ „ლელო“ ან „გაზარია საქართველოსთვის“, რომლის ლიდერი მართლმსაჯულებას უცხოეთში ემალება? აშშ-ში ახალი ადმინისტრაცია მოვიდა, ტრამპი მათი ლობისტი არ არის. მერე რა, თუ უილსონს და რამდენიმე კონგრესმენს ოპოზიციის მხარდასაჭერად თანხას უხდის. ევროპაც ჯერ ისევ მათი ლობისტი, მაგრამ ახლა მათ საქართველოსთვის არ სცხვალათ. დღეს ევროპა და ამერიკა თავად არიან ერთმანეთთან კრიტიკულ დამოკიდებულებაში. საბედნიეროდ, ოპოზიციას დღეს არ ჰყავს საერთაშორისო მხარდამჭერი, გარდა რამდენიმე ევროპელი

მშვიდობა სურს. ვიმეორებ, არჩევნებში ხელისუფლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს.

— პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას ელით?

— ოპოზიციის ნამდვილად უნდა, რომ ეს შემოდგომაც ცხელი იყოს. უკვე დაიწვეს საუბრები, არჩევნები ყალბდება. შედეგი წინასწარ თუ იცინა, მასში რაღატომ მონაწილეობენ? იმდენად აჭრადები არიან, რომ საკუთარ თავთან მოდიან წინააღმდეგობაში. ალბათ, კვლავინდებურად დაიწყებენ ყვირილს, ხმები მოგვპარესო. ამ ტყუილების ხალხს აღარ სჯერა. ეს მათი გეგმაა, ღიად აცხადებენ, რომ ხელისუფლება რევოლუციის გზით უნდა დაამხონ. რისი რევოლუციის თავი აქვთ, ნეტავ, უკვე საკუთარ ამომრჩევლებსაც კარგავენ.

ამ უნიათო, ურეიტინგო, ძალადკარგულ ოპოზიციურ პარტიებს და მათ ლიდერებს ხალხი საარჩევნო უბნებამდეც კი არ მიჰყვება და რევოლუციის მოსაწყობად, მით უმეტეს, არ გაჰყვება. მართალია, მათ მხარს უჭერს ახალგაზრდების ტვინარეული ნაწილი, რომელთაც გარკვეული მანიპულაციებით, ფინანსებით, ტყუილებით, დეზინ-



ბით ბიჭებს გადაასწრეს, სწორედ ამ ოპოზიციის დემოკრატიულობის შედეგია. დიან, იმ ოპოზიციისა, რომელიც საქართველოში საკუთარ თავს დემოკრატიის მცველად მიიჩნევს! აი, ასეთ დემოკრატიას იცავენ, ასეთ შვილებს ზრდიან, რომლებიც უწამაწური სიტყვებით ივინებიან. დააკვირდით, როგორ სპეციალისტებს ზრდიან — ერთმა ქალბატონმა, რომელმაც ბექა ოდიშარია მიაძახა, კობო გაქვს და მაინც მოკვდებიო, ბავშვთა ფსიქოლოგი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომელ დედას დაჰყავს მასთან ბავშვი?! წარმოიდგინეთ, ბავშვ-

მათ ამ დეზინფორმაციით ხალხის გარკვეული ნაწილის მოტყუება შეძლეს, რაც აღარ განმეორდება. ხალხი აღარ ტყუვდება. დასავლეთმა სახე გამოაჩინა — ამერიკა ევროპაზე თავად წერს დასკვნებს, რომ იქ დემოკრატიის უკუსვლაა. საზოგადოება ამ უზნეოებს ამორალური დემოკრატიის დასაცავად ქუჩაში არ გაჰყვება.

ახლა უვიზო მიმოსვლის გაუქმებაზე საუბარი დაიწვეს, მათი მიზანია, ამ თემით ხალხზე ზეწოლა მოახდინონ — თუკი ხელისუფლების წინააღმდეგ არ გამოხვალთ, უვიზო მიმოსვლას შეგიჩერებთო. ეს მუქარა აღარ გაუვათ. ხელისუფლების ამომრჩევლისთვის უვიზო მიმოსვლის გაუქმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, რისი მიზნითც ერთადერთია: ჩვენ ამის სანაცვლოდ გვთხოვენ დავთმოთ ის, რაც ჩვენთვის ღირებული, ტრადიციულია და რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა — ჩვენი ეროვნული და ტრადიციული ფასეულობები, რასაც არცერთი თავმოყვარე ქართველი, ვისაც სამშობლო უყვარს, არ დათმობს. თუკი ევროპა ამ ნაბიჯს გადადგამს და ვიზალიბერალიზაციას შეგვიჩერებს, ეს მისთვისე იქნება ნეგატიური შედეგის მომტანი. დასავლეთი აქ ვერც რევოლუციას მიიღებს და ვერც ქართველ ხალხს დააშინებს, პირიქით, მათ სამშობლოს დასაცავად მეტ მოტივაციას გაუჩენს.



თამარ შველიძე



ჰიზიდენტმა მამუკა ხაზაჩაძე და ბაძი ჯაფარიძე „კურორტიდან“ გამოაძევა

გამოაძევა რა, შეიწყალა, მერე რომ არა თქვან, დაგვატუსაღეს და არ-ჩვენები ამიტომ ვერ მოვიგეთო, აქეთ რომ არ დაიწყონ ბრეჟევი საკვირველი, ციხიდან გამოუშვებო.

როგორც ვიცი, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის არ მიუძღრთავთ, მაგრამ არც თავები გაუგებებით, ეს რა გვაკადრეთ, თავისუფლებაზე არ გამოვალთო. გამოვიდნენ და ისევ დაიწყეს ბრეჟევა, მარტო ჩვენ კი არა, ყველა ტუსადი უნდა გამო-უშვას ბიძინა ივანიშვილმაო. ამხელა ფილარმონია ხალხმა არ იცის, რომ ბიძინა ივანიშვილი ციხიდან („კურორტიდან“) ვერავის ვერ გამოუშვებს. რატომ ვახსენებ „კურორტს“? იმიტომ, რომ დღევანდელი ქართული ციხე კურორტია, თანაც - მაღალმთიანი და სასაიამოვნო.

მამუკა ხაზარაძე ამბობს: „ჩემი და ბადრი ჯაფარიძის გამოშვება, რომელსაც აბსოლუტურად არ ველოდებოდით და ჩვენ აქ 8-თვიან ვადის ამოწურვას ველოდებოდით, გამოგვიშვეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის გამო, რომ მოხდეს დაპირისპირება, მოხდეს ე. წ. შავი ნიაღვრის და პიარის გადმოსხმა, რაც არ გამოუვათ, იმიტომ, რომ ის, რაც დღეს გააკეთა ე. წ. პრეზიდენტმა, ეს არის სამართლებრივი ნონსენსი, ეს არის მანიპულირება ადამიანების თავისუფლებით, ეს არის კანონის ფეხქვეშ გათვლა, ეს არის ადამიანებით ვაჭრობა“.

ხედავთ, სად ბანაობს ხაზარაძე? ჩვენ იმიტომ გაგვათავისუფლეს, რომ შავი ნიაღვარი გადმოგვასხანო. ვინ უნდა გადმოასხას შავი ნიაღვარი? რა თქმა უნდა, „ნაცებმა“, რა შუაშია აქ ბიძინა ივანიშვილი?

ე. წ. ოპოზიციონერებმა უკვე მოუწოდეს, დადევით ისტორიის სწორ მხარეს (გეგონება, თვითონ სწორ მხარეს დგანან), არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვითო. ბადრი ჯაფარიძემ, არაო, შანსი არ არი, არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება არ შეგვიცვლია, რადგან ჩვენ ამის გამო დაგვატუსაღეს, შესაბამისად, ჩვენ ამ გადაწყვეტილების ერთგული ვრჩებით, ამომრჩეველს, რომელიც 4 ოქტომბერს მოვა, იმედი არ უნდა გაუწე-ბილოთო. ა, კაცი, ამომრჩეველს იმედი არ უნდა გაუწეილოს, ხალხი მის იმედზეა, განზე დგომის უფლება, უბრალოდ, არ აქვს. ხედავთ, როგორი მამულიშვილური მიდგომაა? „კურორტზე“ ყოფნას გარეთ ბოლია და სისულელეების ლაპარაკი არ სჯობს?

მამუკა ხაზარაძე უფრო შორს მიდის — ეს არის მიტაცებული პრეზიდენტის საგარძელო. მიუხედავად იმისა, რომ მან შეწყალებით გამოგვიშვა — მაღლიერების გრძობა არ მაკლია, მაგრამ ეს არის მუხანათური, ძალიან ბინძური საქციელიო.

მოდით, ვთქვათ სიმართლე, — ეს ბებერი თაღლითები რომ საერთოდ გარეთ დადიან, ხომ არის მართლა მუხანათური საქციელი? რაც ამათ ხალხი გაამწარეს და გაწირეს, ასე უნდა ბაიარაობდნენ? პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომები ხომ ვნახეთ, განა ყოველი მეორე მსხვერპლი ამ გოთვეერების დანაშაულებზე არ ლაპარაკობდა? აჰა, თავადვე ამბობს ხაზარაძე, ყაველაშვილმა რომ გამოგვიშვა, ეს მუხანათური საქციელიაო. არა, ეს სხვა რამეს გულისხმობს, ეს ამბობს, დანარჩენებს საჯიჯგნად უნდა გაგვხადოს ივანიშვილმაო. ივანიშვილი რა შუაშია, ამათ ისედაც ჯიჯგნიდნენ და კიდევაც გაჯიჯგნიან აკაცუკები. ვნახოთ, როგორ „ივაჯაკაცებენ“ ხანდაზმულები, დაველოდოთ, ჩვენ არსად გვექმარება, ძალიან სასაიამოვნო იქნება ვეღად გაფანტული ამათი ბუმბულის ხილვა.



თვა ნეუჯიანმა ძხოებითი საგამოძიებო კომისიის დასვენა დადო

ე. წ. ოპოზიცია შოკშია, თვა წულუკიანმა უკვე და-იწყო ანდერძის აგება, ეჭვიც კი აღარავის ეპარება, რომ უახლოეს ხანში „ნაციონალური მოძრაობა“ აიკრძალება და დანარჩენი განაყოფებიც ზედ მიჰყვებიან.

ე. წ. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ „ოცნებას“ გეგმა დალაგებული აქვს, პარტიების აკრძალვის პროცესები პირდაპირ ეთერში უნდა აჩვენოსო. წულუკიანის კომისიის ანგარიში არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ, „ლელო — ძლიერი საქართველოს“, გაზარდას პარტიას და ნიკა გვარამიას კოალიციასაც ეხებაო, — თურმე უჩნდებათ მოლოდინი, რომ ხელისუფლება ამ პარტიების აკრძალვასაც მოითხოვს.

თქვენი არ ვიცი და, მე, პირადად, ასეთი მოლოდინი ცოტა გადაჭარბებული მგონია, „ქართული ოცნება“ ყველა პარტიის აკრძალვას არ მოითხოვს. კი არიან ასაკრძალვები, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, მისთვის ასეთი ნაბიჯი წამგებიანი იქნება, მკვლევების პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვაც საკმარისია.

ე. წ. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ის, რაც პირველად ხდება საქართველოში, უკვე გამოცდილია რუსეთსა და ბელარუსში, სადაც პუტინისა და ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეები ციხეებშიც გამოკეტეს და ოპოზიციური პარტიებიც არაერთხელ აკრძა-

ლეს. მეტიც, თურმე ოპოზიციური პარტიების უკან საქართველოს უდიდესი მოსახლეობა დგას და ამ ხალხს ვერც აკრძალავენ და ვერც აზრს შეუცვლიან.

გაიგონეთ? პაატა ბურჭულაძის, ჰელენ ზოშტარას, ლევან ხაბეიშვილისა და თინა ბოკუჩავას მხარეს დგას საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც პუტინი, ლუკაშენკო და ივანიშვილი ვერც აკრძალავენ, ვერც აზრს შეუცვლიან. არა, კი ცდილობენ, მაგრამ მოსახლეობა ჯინაზე დგას. სხვათა შორის, კი ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ხმას მაინც ამ პარტიას აძლევს, აეგრე სჯის, რათა ბევრი შეცდომა დაუშვას და 22-ე საუკუნეში „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდეს.

მოკლედ, ამხანაგებო, დებო და ძმებო, თვა წულუკიანმა მთელი ე. წ. ოპოზიციური სპექტრი (ამათ სპექტრობას რა ვუთხარი) საგონებელში ჩააგდო - ისე გაამწარა, ხან რას უგონებენ (მეორედ გათხოვდით), ხან რას (მესამედ გათხოვდით), მაგრამ უკან მაინც ვერ დაახვენიეს. წულუკიანი გვპირდება, „ნაციონალური“ აიკრძალება და ამ ყველაფერს მოსახლეობა პირდაპირ ეთერში ნახავს. ვნახავთ, ბატონებო და ქალბატონებო, ვნახავთ, მაგას როგორ გამოვტოვებთ.



ჰაატა ჰაჰა გაგიეებუდა!

მეგობრებო, ძალიან მიჭირს იმის თქმა, რაც ახლა უნდა გითხრათ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, ვიცი, მე რომ ეს ამბავი დავმლო, ჭირი თავს მაინც არ დამალავს და მერე ამიტყდებით, რატომ არ გვითხარიო?

ესე იგი, პაატა ბურჭულაძე გაგიეებულა. რომელი პაატა? რომელი და ისა, თავის დროზე ვლადიმერ პუტინს რომ უმღეროდა და თავს რუს ბანად თვლიდა. ალბათ, გახსოვთ, ზაფხულში, როცა ნამეტნავად დაცხა, არჩევნების ჩატარებას ფანრიანი „ნოკიებით“ აპირებდა. ამოჩემებული ჰქონდა, სექტემბერში უნდა ჩავატაროთ, ბიძინა ივანიშვილს დაავასწროთ 4 ოქტომბრამდეო. ეტყობა, ზემოდან ყუფარსონმა დაურეკა, მაი ამბავი არ გამოვა, ტყუილად ლაპარაკობო და დაივიწყა.

ისე, ავი ენები ამბობენ, ბანი სააკაშვილს ჰყავს ყურებით გამოჭერილი, ნუ დამრახავთ, მოხუცს სხვა გზა არ აქვს, ეგეთ სისულელეებს იძულებით ლაპარაკობსო.

საქმეც ის გახლავთ, რომ ცხოვრებაში ყურებით არავინ არ უნდა დაგიჭიროს, თორემ ხომ ხედავთ, ამხელა კაცი რა დღეშია...

ბოლო-ბოლო, გაგიეებოდან, მა რა იქნებოდა?

ახლა აუჩემებია, 2 მილიონი მოსაწვევი უნდა დაგებჭლო, 4 ოქტომბერს ეროვნულ კრებას ვატარებო. 2 მილიონიო. თან ამბობს, საქართველოში ხალხი აღარ არი, ბიძინამ ყველა გააქციაო. ან ამ 2

მილიონ მოსაწვევს რა ფულით ბეჭდავს? ვინც ამ საქმეში ფულს დებს, ის ან დებილია, ან კიდევ დიდი პროვოკატორი. მე უფრო დებილი მგონია, აბა, პროვოკატორობით რა უნდა გამოუვიდეს? აგერაა 4 ოქტომბერი, სულ რაღაც სამიოდ კვირაში დადგება და ...





კახა კალაძე ძველ თბილისს ყიდულობს?

ყურადღებით წაიკითხეთ, რასაც ახლა დავწერ: 2026 წლიდან თბილისის ისტორიულ ნაწილში ავაროული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების ახალი პროგრამა დაიწყება — თუ იქნება მოსახლეობის თანხმობა, თბილისის მერია შენობა-ნაგებობებს გამოიყიდის, ინვესტორებს მოძებნის, გაარემონტებს და გასაყიდად აუქციონზე გამოიტანს.

კალაძემ თქვა, თუ მოსახლეობის თანხმობა იქნება, თუ თანხმობა არ იქნება, არავინ დაგაძალებთო. ჩვენ ვიცით, ზოგიერთ უბნებში ადამიანები ინვესტორებს წლობით ელოდებიან და ეს ინვესტორები არ მიდიან. ამ ფუნქციას მერია კისრულობს, თქვენ ფულს მიიღებთ და შემდეგ ამ ფულით იქვე შეგიძლიათ იყიდოთ გარემონტებული ან ახლად აშენებული ბინა. რა არის ამასი ცუდი? თუმცა, ჩვენი ე. წ. ოპოზიცია რის ე. წ. ოპოზიციაა, ამ ყველაფერს კუდი არ გამოაბას? თურმე უახლოეს ხანში თბილისის ძველი უბნები კალაძის ხელში აღმოჩნდება, თურმე ეს ახალი კორუფციული სქემა და ხალხის მოტყუების შესაძლებლობაა.

აქვე ახსენებთ გავით „ლიტერატურული საქართველოს“ ისტორიულ შენობას, რომელიც თურმე კალაძესთან დაკავშირებული ბიზნესჯგუფის ხელშია, ისევე, როგორც სხვა შენობები. „სტუდია მონიტორის“ გამოძიებამ აჩვენა, რომ გუდაშვილის მოედანი ჯერ აღადგინეს, რეაბილიტაციის შემდეგ კი აუქციონის საშუალებით ქალაქის ქონება კახაბერ კობაიძისთვის ხელში აღმოჩნდა. ის კახა კალაძის მეჯვარის ბიზნესპარტნიორია. გაიგონეთ? ვინმე კობაიძისთვის ყოფილა კალაძის მეჯვარის ბიზნესპარტნიორი. ჯერ ერთი, მე ამ გაზეთში ცოტა ხანს ვიმუშავე და ვიცი, რა „ბარდაგიც“ იყო მაგ შენობასთან დაკავშირებით და მეორეც — მაგ შენობიდან „ლიტერატურული საქართველო“ ძალის გამოყენებით გამოასახლეს 2007 წლის 20 აგვისტოს. 21-ში თანამშრომლები რომ მივიდნენ სამსახურში, ოთახები დალუქული დახვდათ. ვინ მართავდა მაშინ საქართველოს? ალბათ, კარგად გახსოვთ, მაშინ საქართველოს მართავდა მიხეილ სააკაშვილის ბანდფორმირება, ანუ ზროვა. იცით, რა დროს შევიდნენ ძალოვნები გამოსასახლებლად? გამოენიხას. იქ შენობა დაკეტილი იყო, მაგრამ კარი დაღვწეს. რა შუაშია აქ კალაძე? მაშინ ეს შენობა ვიღაცამ იჩუქა და შემდეგ არაერთხელ გადაიყიდა, ვინმე კობაიძისთვის საიდან გაჩნდა, არც არავინ იცის და არც არავის აინტერესებს.

და ბოლოს, ე. წ. ოპოზიცია სვამს შეკითხვას: რა უნდა ქნას იმ ხალხმა, ვისაც მისი უბანი არ ეთმობა და არც ბინის გაყიდვა უნდა?

პასუხი: არც არაფერი, კალაძემ გასაგებად თქვა, ვინც თანახმა იქნება, ამ სიკუთით ისინი ისარგებლებენო, თუ ადამიანი არ იქნება თანახმა, დარჩება იქ, სადაც ამჟამად არის.

ხომ? შენ მაცე მოხვდებიო?

3 სექტემბერს მედიისთვის გამომხატეს კახა კალაძის საარჩევნო შტაბი გაისხნა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მივიდნენ, კალაძეს მოუსმინეს და სოლიდარობა გამოუცხადეს. იყო საზეიმო განწყობა, თუმცა აკაცუკების მცირე ჯგუფმა მინც შეიტანა მცირეოდენი დისონანსი ამ განწყობაში. მაგალითად, ბექა ოდიშარია აკაცუკებმა იმ დონემდე მიიყვანეს, იქით ავიდა და თან იმ აკაცუკებმა იუკადრისეს, ოდიშარიამ გვაგინაო. ერთმა ახალგაზრდა დედაკაცმა, ყოვლად ტლუმ და უთავმოყვარეოდ მიაძახა ოდიშარიას, შენ მალე მოკვდები, კიბო გაქვსო... რა დონემდე არიან დაცემულები... ამათვის აღარაფერი არსებობს, არც დიდი, არც პატარა, არც ავადმყოფი, არც გაჭირვებული.

მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ იყო ეს ღვთისმგებელი და არც მაინტერესებს, მაგრამ ქართული საზოგადოების ერთი,

შედარებით ახალგაზრდა ნაწილი რომ უკიდურესობამდე გახრწნილი, ამას ვერსად გავუქცევით. სიტუაცია სწორად შეაფასა კლინიკა „ვიკამედის“ დირექტორმა ნინო ნადირაძემ: „თქვენ სიმსივნის პაციენტებს ამ გამოხდომით განაჩენი გამოუტანეთ, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ამ დიაგნოზიანი ბავშვების მშობლები. არ მიკვირს, თქვენმა ერთ-ერთმა ლიდერმა ონკოპაციენტებზე დახარჯულ ფულს წყალში გადაყრილი უწოდა. ბოროტები და საშიშები ხართ“.

ვინ არის ის ე. წ. ლიდერი, რომელმაც ონკოპაციენტებზე დახარჯულ ფულს წყალში გადაყრილი უწოდა? ეს გახლავთ გიორგი (ჭიჭუ) ვაშაძე, რომელიც ამჟამად ციხეში (კურორტზე) იმყოფება და პრემიერ-მინისტრობაზე აქვს პრეტენზია.

გვირდის ავტორია ბელა ზემელაშვილი

ეპროკაჰვირი ეპროკა არ არის...

ბოლო წლები, მუდმივად ვივერებით ევროპარლამენტი-სა და „დიფ სთიის“ მესვეურთა უტიფარ, ანტიდემოკრატიულ შემოტევებს. ცალსახად გამოჩნდა, რომ ევროკავშირის ყველაზე მეტად თავისუფლებისა ემინია და ამით ძალიან დაემსგავსა საბჭოთა კავშირსა და პოლიტიურს. პოდა, ებრძვის და აფერხებს ასე გავეშებით, შედარებით პატარა ქვეყნების დემოკრატიულად და თავისუფლად განვითარების პროცესს. მაგალითი კი სახეზეა, ყველაფერი საკუთარი თვალთ ვიხილეთ და დღემდე ვხედავთ თუ როგორ გვებრძვიან და არაფერს იშურებენ ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების - „ქართული ოცნების“ დასასუსტებლად და დამნაშავე ოპოზიციური ძალების ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად!

ევროკავშირის მხრიდან ამდენი წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები სისტემური რეკომენდაციების, კონცეფციებისა და სამოქმედო პროგრამების განხილვას, სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ორიენტირებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე რეკომენდაციების შემოთავაზებას. ევროკავშირის - თუ ის პერსპექტიულ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენდა, უნდა შეძლებოდა - პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების არა მხოლოდ განსჯერება, არამედ მასში გაერთიანების მსურველ სუბიექტთა პერსპექტივების გააზრებაც. მაგრამ ევროკავშირი დედინაცვალის პოზიციიდან ჯერეტდა ყველას და, მასთან ერთად, საქართველოს.

ლიბერალური ღირებულებებიდან ჩემთვის მნიშვნელოვანია ადამიანი, როგორც ასეთი, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია პიროვნებისა და ერის ეროვნულ ინტერესებთან და ტრადიციებთან დაპირისპირება. პიროვნება, როგორც სიმალისაც უნდა იყოს ის, ვერასდროს შექმნის იმას, რაც უნდა შექმნას ერმა, ნაცია! ე. წ. რეფორმატორებმა ლიბერალური ღირებულებები „ახალი ქართველის“ შესაქმნელად გამოიყენეს, ისეთი ქართველისა, რომელსაც არაფერი ეროვნული არ შეაწუხებდა და ყველაფერს „ტრანსნაციონალური ხედვებით“ შეხედავდა.

ჩვენი ნაციონალური კულტურა და სამშობლოს სიყვარული ოდითგან საკაცობრიო სიყვარულის საზრისიდან გამომდინარეობდა. სამშობლოს სიყვარული, ეროვნული ფესვების წვდომა, საკუთარი ხალხის პატივისცემა და დაფასება, ზრუნვა ერის ფიზიკური და სულიერი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ბუნებრივი გრძობებია, რადგან ადამიანი გენეტიკურად ერის ღვიძლი შეილია - სწორედ ეს გახლავთ მალაღობი სულიერი კულტურის ნაყოფი, ასევე რომ მიენაგრა ტოლერანტობის ღვთიურ ძალას. და ეს ყველაფერი ეუწყა მსოფლიოს „ყვეზის-ტყაოსის“, ჩვენი უნიკალური პოლიფონიური საგანძურის სახით, რაც ამ ერის უნიკალურობაზე ეჭვის საბაბს არ უნდა ტოვებდეს და არც ტოვებს,

თუმცა ჩვენი „მეგობრები“ არ და ვერ ხედავენ ამ ყველაფერს და თავგამოდებით ებრძვიან იმას, რის განვითარებაც ასე გულდასმით ვესწრებით.

რაც უფრო ვითარდება ერი, მით უფრო იღვიძებს მასში შეგრძნება ინდივიდუალობისა, როგორც პიროვნებას აქვს გრძობა და შეუფერხებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელ ერს, როგორც სოციალურ ორგანიზმს, აქვს ინსტიქტი და სურვილი თავის დაცვისა. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ამ სურვილის შესაბამისად იპოვოს ძალა - დაუპირისპირდეს იმ ძალებს, რომლებიც ებრძვიან მის თავისუფლებას და მას განიხილავენ არა როგორც თანასწორ სახელმწიფოს, არამედ, როგორც დაერდომილ ვასალს, რომელსაც ყველაფერს გააკეთებინებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად. აქედან გამომდინარე, მოინდომეს ჩვენი ომში ჩართვა და უბედურებისა და სიკვდილის სუბიექტად ქცევა, რომელსაც დღემდე სიცოცხლის ფასად უპირისპირდებიან ჩვენი ლიდერები და ყველაფერს აკეთებენ გლობალური ომის პარტიის სამხელად და დასამარცხებლად. აქ კი ხალხის ძალა და ნებაა აუცილებელი, ნება სამშობლოს თავისუფლებისა, მშობელი ხალხის ბედნიერებისა და სამშობლოს მომტყუთა დამარცხებისა. ამ ძალებს უთუოდ გამონახავს საკუთარ თავში ჩვენი ხალხი, ისევე მიანდობს საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის ბედს „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, რომელიც გახლავთ გარანტი გრძელვადიანი მსვილობიანი განვითარებისა და სიკეთისა, რომელიც თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ, მათი ოჯახების სამომავლოდ არის მიმართული.

რაც შეეხება ოპოზიციას, უმეტესწილად ეს არის დასავლეთიდან მართული, აგენტურული ქვენაგარმობებით შეყვარობილ მოღალატეთა გაერთიანება. ვხედავთ, რომ სააკაშვილის ერთპიროვნული დიქტატორული რეჟიმის ნარჩენები, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებში გაერთიანებით, ცდილობენ ხალხის ზომბირებას და „ქართული ოცნების“ ჩანაცვლებას უბედურების ძალით, რაც აბსოლუტურად გამორიცხვლია. ამ ე. წ. ოპოზიციას არ გააჩნია საკუთარი სამშობლოს პრობლემების განცდის ერთიანი ნიდაგი, რისგანაც მეტად შორს არის „ჩვენი“ ოპოზიცია და, ამასთანავე, ის ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, ძალადობა და უხეობა გადაიყვანოს ინტელექტუალურ, მორალურ და პიროვნებისეულ სივრცეში, რაც შესაძლებლობათა უგუნური გამოყენებაა... ამას კი ხალხი თვალნათლივ ხედავს და თუნდაც ამიტომაც არ ენდობა მას. ყველა უბედურებასთან ერთად, ის მოძალადისა და უღმერთოს ძალგულოვნებით აპირებს გახელისუფლებას.

ხალხი ბრძენია და იმასაც ხედავს, რომ გახელისუფლების მანიით შეპყრობილთა კავშირი იმდენად ჭრელი და არაორდინარულია, არ შეიძლება ის ერთიან ძალად წარმოვიდგინოთ, ხოლო ასეთი ძალის გარეშე ნებისმიერი გაბრძობლება რომ დამარცხებისთვის არის განწირული, ესეც დავის საკითხს არ წარმოადგენს. ასე რომ, ყოველი გაერთიანება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და მაღალი იდეალებით აღვსილი, მხოლოდ ასეთ გაერთიანებას აქვს პერსპექტივა და მომავალი. უფლისმგებელთა საფუძველზე შექმნილი ძალა ემპაქეულია და ასე მიმართავდა ოდიშარ და ახლაც ასე მიმართავს საღვთო ქართველი: ფუი, ემპაქს!



მოვიდგინოთ, ხოლო ასეთი ძალის გარეშე ნებისმიერი გაბრძობლება რომ დამარცხებისთვის არის განწირული, ესეც დავის საკითხს არ წარმოადგენს. ასე რომ, ყოველი გაერთიანება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და მაღალი იდეალებით აღვსილი, მხოლოდ ასეთ გაერთიანებას აქვს პერსპექტივა და მომავალი. უფლისმგებელთა საფუძველზე შექმნილი ძალა ემპაქეულია და ასე მიმართავდა ოდიშარ და ახლაც ასე მიმართავს საღვთო ქართველი: ფუი, ემპაქს!

და ბოლოს, რატომ იმარჯვებს მუდმივად „ქართული ოცნება“ სრულიად საქართველოს და მასთან, სამეგრელოშიც, რომელიც (მოკლედ ვიტყვი) ბუდე გახლდათ „ნაცვამისტებისა“? - იმიტომ იმარჯვებს, რომ: ჩვენს ხელისუფლებას, „ქართული ოცნების“ საპატიო ხელმძღვანელის ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, გააჩნია ერთმანეთთან შეთავსებული და სისტემურად გამართული შეხედულება და აბსოლუტური შესაძლებლობა იმ სახელმწიფოს მომავლის შესახებ, რომელსაც ისინი ასე რუდუნებით ამენებენ. რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს, საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნაში.

ასევე, ყველაზე მთავარი, რატომაც ენდობა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა „ქართული ოცნების ხელისუფლებას“, მან უპირითადეს მინხად ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება გაიხადა, რათა მუდმივად სხვა სახელმწიფოებსა და სხვათა მიზნებზე არ იყოს დამოკიდებული!

„ქართული ოცნება“ ამ არჩევნებზეც უალტერნატივოა! ევროკავშირი კი ევროპა არ არის. ევროპა რენესანსული კულტურის მრავალფეროვნებით გაბრწყინებული სივრცეა, რომლის წვერიც ჩვენ დასაბამიდან ვიყავით და უდიდესი წვლილი შევიტანეთ მის ასეთ ბრწყინვალეობასა და სიმადლეზე ასვლაში!

ლავა გვასალია

მწერალი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

საპარლამენტო საკითხაჲი ახალგაზრდობისთვის



საქართველოს ისტორია რომ გაყვალბებულა, ამის შესახებ არაერთხელ ითქვა. ამდენად, ვეცადე, მოკლე თეზისებად ჩამოყალიბებულ იქნას ისტორიულ დოკუმენტები და თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი წარმოემდინა, რაც ყველა ქართველმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ და მცირედი შესავალიც დაეურთე.

„...დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომცველო ყოველივესი, შექმნელო და დამბადებელო, უსასრულო სამყაროში დაუტყველო; უმცირესში ჩატყულო, უწონამბილოვ, ცარიელო და სავსევ, უჟამო, უძრაო, წყვედილო ცაო, — სივრცეში, დროში ნათლით გამოვლენილო, ერთა და ერთთა ერთობაო, მომეც უფლება უფლებათა, — დავრჩე მართალი ჩემ თავ-უფალთან და სამართლიანი — სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე და ვიყო თავის-უფალი (ე. ი. მართალი, ვითარცა შენ, ცაო თავნებაო...)“

ეს არის ქრისტემდელი, ე. ი. 2000 წლის წინანდელი, წარმართული ხანის ქართველების ლოცვა და თავად განსაზღვრეთ, როგორი ადამიანები იყვნენ ჩვენი წინაპრები თუნდაც 7000 წლის წინათ, კეთილშობილები თუ ბოროტები?

ე. ი. წარმართულ ხანაშიც ჰყავდათ ქართველებს წმიდა სამება: მორიგი მამა ღმერთი — მოვარე, აღმატებული და უმთავრესი დეათაება! დედა ღმერთი — მზე, დეათაება მზე-ქალი და კვირია — ხმელეთის მოურავი, ე. ი. მფარველი, დევთა, ქაჯთა, ავსულთა და ეშმაკთა რისხვა, სინათლისა და იმედის ღვთაება!

იმ წარმართულ ხანაში ქართველების, ე. ი. იბერების, ან კიდევ თუბალ-კაენის ხალხის ქვეყანა გადაჭიმული იყო მთელ სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში — მათ ადრე შუმერები ერქვათ. თავიდან სპარსებმა წართვეს მიწა-წყალი, შემდეგ ინდოეთ-სპარსეთის სანაპიროებიდან დაძრულმა სემიტებმა, რომლებმაც ალებ-მიცემობით, ფაქტობრივად, უომრად, უხმლოდ დაიპყრეს მათი მნიშვნელოვანი მიწა-წყალი, შემდეგ თანდათან გაბატონდნენ მთელ მცირე აზიაში სწორედ ესენი, აწ უკვე მდიდარი სემიტები, შემდეგ ბერძნები, მაგრამ თუბალ-კაენის ხალხი არ ამოწყვეტილა!

შუმერის შემდეგ მათვე შექმნეს ხეთის უძლიერესი იმპერია, შემდეგ კი — ურარტუს იმპერია. ამ იმპერიების დანგრევის შემდეგ მათ შთამომავლებს, იბერებს შერჩათ თავიანთი ძირძველი მიწა-წყლიდან

მხოლოდ 300 000 კვ კმ, რომელიც დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს გადაჭიმული იყო „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“, ოდესღაც კი, სამხრეთით მისი არათუ მიჯნა, არამედ შუაგული იყო მითრიდატე პონტოელის დედაქალაქი, სინოპი მიმდებარე ტერიტორიებით!

დღეს კი, სწორედ „მინაური მტრებისგან“ და უძლები შვილებისგან დამცრობილი, დანაკუწებული მიწა-წყალი და დამშუული, დამცირებული, მაგრამ მაინც ამაყი ხალხი ცდილობს, შეინარჩუნოს საკუთარი სამშობლო, რაც შერჩა, კეთილშობილი გენეტიკა და უძველესი კულტურა და საერთოდ, სახე!

1787-1791 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. როგორც ყოველთვის, რუსეთმა ბრწყინვალე გამარჯვება მოაპოვა, თურქეთს ხელიდან გამოგლიჯა ყირიმი. გაათავისუფლეს ტყვეები და იქაურ ჰარამხანაში იპოვეს ულამაზესი ქართველი ქალი, რომელიც ავად იყო და ეგონათ, მალა-რია სჭირდა. რუსეთის უმაღლესმა სარდლობამ აუადმყოფი ქართველი ქალი მოსკოვში წაიყვანა სამკურნალოდ. მოიწვიეს რუსეთში დაბადებული და გაზრდილი, ეროვნებით გერმანელი ექიმი იოჰან ჰილტბერანდტი. ექიმმა დასვა დიაგნოზი, რომ ეს მშვენიერი არსება ქალური დაავადებით იყო ავად და იგი მალევე, 8 თვეში გარდაიცვალა. ექიმმა ითხოვა, გარდაცვლილი ქალის თავის ქალა ებოძებინათ მისთვის, ამ საქმეში მან ჩართო ასევე ცნობილი ექიმი, პეტერბურგელი გერმანელი გეორგ თომას ფონ აში. ამ უკანასკნელმა კი უმშვენიერესი ქალის თავის ქალა თავის პროფესორს გაუგზავნა გერმანიაში, იოჰან ბლუმენბახს. ბლუმენბახი იმდენად გაოცდა თავის ქალის სიმშვენიერით, მისი ნაკეთების პროპორციულობით (რომელიც გეტინგენის უნივერსიტეტშია დაცული), რომ ღამ-ღამობით სანთლის შუქზე საათობით შეჰყურებდა, სურდა, მისი სილამაზე გაეცოცხლებინა გონებაში. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ შეიქმნა ბლუმენბახის ცნობილი სა-

მეცნიერო დასკვნა — „მსოფლიოში ულამაზესი ხალხი ცხოვრობს სამხრეთ კავკასიაში — ქართველები! ისინი მიეკუთვნებიან თეთრკანიანი რასის უმაღლეს საფეხურს“, რომელსაც ბლუმენბახმა „კავკასიური“ უწოდა და არა ევროპული!

ახლა კი ჩემი მოკლე-მოკლე „თეზისები“:

1. იცით, რას ნიშნავს ხუთჯვარიანი დროშა, რომელიც ეროვნულ დროშად მიასაღა დასავლეთში სააკაშვილის პარტიას?

უნდა იცოდეთ, რომ მართლმადიდებლების სისხლით დამბალი ხუთჯვარიანი დროშა არ შეიძლება იყოს უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნის, საქართველოს ეროვნული დროშა! ხუთჯვარიანი დროშა ევროპელი ჯვაროსნების, ან იგივე ევროპელ ფაჩაღთა ბრბოს დროშაა, იმ ფაჩაღი ჯვაროსნების, რომელთაც დაამხეს და სისხლში ჩაახრჩვეს მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერია; ამოხოცეს არამართო მართლმადიდებელი მრევლი, არამედ — ბერები; ეკლესია, ტაძარ-მონასტრები კათოლიკურად გადააკეთეს, გაძარცვეს მთელი ქვეყანა და გაბატონდნენ; ამოხოცეს ათონის წმინდა მთის სავენებში მცხოვრები მოწესეები, მათ შორის, ქართული მონასტრის, ივერონის ქართველი ბერები, ორასი ასაკოვანი ბერი, გემზე დასხეს, ზღვაში ჩაახრჩვეს და 700 ახალგაზრდა ქართველი ბერი რომში ებრაელებს მიჰყიდეს მონებად; დაიხ! მათი, ე. ი. ჯვაროსნების დროშა გახლდათ ხუთჯვარიანი, ქართველი და სხვა მართლმადიდებელი ხალხისა და ბერების სისხლით გაპოხილი სატანის ნაშიფურა „დროშა“!

და ამ სამარცხვინო, მართლმადიდებლების სისხლში გასვრილ დროშას აფრიალებს დღეს მართლმადიდებლური საქართველო!

მესმის, ჯვარი ჯვარია ყოველთვის, მაგრამ უმთავრესი ძალა მისი სიწმინდეშია!

ხუთჯვარიანი ჯვაროსნული დროშა არასოდეს ყოფილა ქართული ქვეყნის ეროვნული დროშა! ქართულ დროშაზე გამოსახული იყო ერთი ჯვარი, რწმენის სიმბო-

ლო, ეს იყო უპირველესი ქართული საბრძოლო დროშა!

მეორე საბრძოლო დროშა გახლდათ წმინდა გიორგის გამოსახულებიანი დროშა!

წმინდა გიორგი (კაპადოკიელი მესხი, ე. ი. ქართველი) უფლის ზეციური მხედართმთავარი ყველა დიდი ბრძოლის დროს თეთრ ცხენზე ამხედრებული ცოცხლად მიუძღვოდა წინ ქართულ ლაშქარს — ეს ფაქტი არაერთხელ დაუფიქსირებია ისტორიას!

მინდა ვუთხრა ჩემს მკითხველს, რომ დავით აღმაშენებლის საბრძოლო დროშაზე გამოსახული წმინდა ჯვრის ასლი — ალგეთის ფიქალში გამოკვეთილი დგას ჩემი თელავის სახლის ბუხრის თავზე. ამ ჯვართან ერთად დგას მაცხოვრის გამოქანდაკებული სახე... ბუხრის კედლის მარცხენა მხარე კი მთლიანად უჭირავს უწმინდეს და უძველეს ხატებს და ეს დარბაზი, რომელიც მამაჩემის დაპროექტებულია და შექმნილია უძველესი ქართული საცხოვრებელი დარბაზის სტილში, ჩემი სიამაყეა!

არ ეკადრება დამოუკიდებელ, მართლმადიდებელ საქართველოს და მართლმადიდებელ ქართველ ხალხს მართლმადიდებელი სამყაროს ამოხრებელი, ველური ევროპელი ჯვაროსნების დროშას აფრიალებდნენ თუნდაც დასავლეთის დაკვეთით; არ ეკადრება ქართველ ხალხს და ზოგიერთ უადრესად განათლებულ და სამშობლოს მოყვარულ პოლიტიკოსს ამ დროშის, ფაჩაღი ევროპელების ხუთჯვარიანი დროშის თავყანისცემა; ძნელია, ბატონებო, გამოარკვიოთ ამ ხუთჯვარიანი დროშის ისტორია?

დაუბრუნეთ ქართველ ხალხს და საქართველოს თავისი ისტორიული საბრძოლო დროშები და ჩვენ ვეღარ დაგვამარცხებენ ევრაეითარი გარე ძალები...

2. იცით, რომ საქართველო მოციქულთა მიერ განათლებული და გაბრწყინებული ქვეყანაა? რატომ ამოიღეს 2008 წლის „ქართლის ცხოვრებიდან“ ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა და აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობ-

ლის უპირველესი ხატის იბერიაში შემობრძანების ფაქტები? რას აკეთებდა ამ დროს მეცნიერებათა აკადემია? რატომ არ გვყავს დღეს ჩვენ ერის ბედ-იბღაღზე არამართო მოფიქრალი, არამედ მებრძოლი და „განათლებული“ აკადემიკოსები, ვისაც საქართველოს ისტორია მაინც ეცოდინებათ კარგად და რომლებიც თამამად იტყვიან (არ შეეშინდებათ „ევროპელი“ მეგობრების) და ფაქტებით დაამტკიცებენ ისტორიულ სიმართლეს?

3. იუნესკო-მ რა „დაამტკიცა“, რომ ქართული დამწერლობა, ე. ი. ანბანი შეიქმნა 450 ან 530 თუ 550 წელს? როგორ შეიძლება მსგავსი იდიოტობა მოიგონოს ვინმემ? რომელი ანბანი „დაგვიმტკიცა იუნესკო“-მ? ასომთავრული, ნუსხური თუ მხედრული? რას აკეთებდა „ეროვნული აკადემია“ ამ დროს? არ იცოდნენ ჩვენმა „მალაღმა გვაგებმა“, რომ ერთადერთი ქართველი ერი დედამიწაზე, რომელსაც სამგვაროვანი სრულყოფილი გრაფიკის და შინაარსის ანბანური სისტემა, ე. ი. დამწერლობა გააჩნია და სამივე წარმართული ხანისა და მათგან ერთი - მრგვლოვანი ნუსხური (ე. ი. ასომთავრული) კი შუმერი მოგვების საიდუმლო დამწერლობა იყო, რომელიც მხოლოდ მათ შემკვიდრებეს გადაეცემოდან და ამიტომ ვერ მოახერხეს ფინიკიელმა ებრაელებმა მისი მსგავსის შექმნა? მათ გადაიღეს მხოლოდ ლურსმული დამწერლობა!

არ იცოდნენ ჩვენმა „აკადემიკოსებმა“, რომ, სხვა თუ არაფერი, საბაწმინდის ლავრის (რომელიც ჯერ კიდევ ბიზანტიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებობდა) პირველი ქართული ტიპიკონი (წესდება) მე-3 საუკუნის ბოლოს არის შედგენილი და რომელიც ნიკო მარმა საგულდაგულოდ გადაკარგა სომხური ფულის სანაცვლოდ (უზრუნველად რომ ეცხოვრა პეტერბურგში), მაგრამ ის ვეღარ შეძლო, რომ ძველი ტიპიკონის ასლი, რომელიც მე-4 საუკუნის ბოლოს არის გადაწერილი პირველიდან — გაენადგურებინა!

4. ვინ არის სალომე ზურაბიშვილი? იგი ხომ სამშობლოს მოტულე, მოღალატე, მძარცველი და ქართული მიწა-წყლის გამსხვილებელი ჟორდანაის მთავრობის წევრის შთამომავალია!

საიდან მოვიდა სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილობას იბრალებს, რადგან ნიკო ნიკოლაძის კეთილშობილმა მეუღლემ მის (ზურაბიშვილის) დიდ ბებიასთან ერთად ქუჩაში დაყრილი 9 უპატრონო ბავშვიც აღზარდა, გვარიც კი მისცა და შიმშილისგან სიკვდილს გადაარჩინა ისინი.

რა გეგმებით მოიყვანა საქართველოს ხელისუფლებამ და „დაღესის კანტონამ“ ზურაბიშვილი? ერთადერთი მიზანი — რუსეთისთვის სამხრეთ კავკასია რომ მოეგლიჯათ ტერიტორიების ხელით, რაც სცადეს ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს, მაგრამ არ გამოუვიდა!

რატომ მოიწვიეს ბინ ლადენის ტერიტორიები 1991 წლის სექტემბერში სოხუმში? ვერ შეძლეს ნა-



ტო-ს ბაზების განთავსება ლარსში, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა შტატებს ჯერ 90-იან წლებში, შემდეგ კი სააკაშვილის მმართველობის დროს, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში...

5. რატომ სურს ქართველ ხალხს ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანება, მაძღრად ცხოვრებისთვის? — ეს ხომ დიდი ტყუილია!

1990-იანი წლებიდან საქართველოს ყველა მთავრობა „გარბის ევროკავშირისკენ“ და ნატო-სკენ, მერედა, ამ გაუთავებელ სირბილში რა დაემატა ქვეყანას?

ქვეყანა დააქცია, გაანადგურა სწორედ დასავლეთმა. ხალხი დაიშა, გამათხოვრდა და ყველა გაიქცა, ვინც გაქცევა შეძლო, სადაც შეძლო და სამუშაოს იშოვნა!

საქართველოში სამუშაო ადგილები გააქრეს და გააქრეს იმიტომ, რომ ეკონომიკური საფუძვლები მოეხსივნე ქვეყნისთვის!

ტერიტორიები დაეკარგეთ! რის ხარჯზე უნდა „შევიდეთ“ ევროკავშირში ან ნატო-ში, ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე? ქართული სასამართლოს გაუქმების ხარჯზე? სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე (ისედაც, გაგვანჩინა თუ არა სუვერენიტეტი - საკითხავია, ჩვენ ხომ კოლონია ვართ, ჩვეულებრივზე უარესი წინებით)?

იქნებ, გავიხსენოთ შარლ მიშელის „მოთხოვნები“ და ევროპარლამენტის „დათქმები“? ან კიდევ, რატომ არ უნდა დაფიქრდეთ, რომ ევროკავშირის საკუთარი მოთხოვნები აქვს და „შენ“ ერთ ლარსაც არავინ მოგცემს ისე, თუ ასევერ საშინელი საქმე არ ჩაგადენინებს?

6. სად არის საქართველო, ევროპის კონტინენტზე თუ კავკასიაში? საქართველო ხომ გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო სჭირდება დასავლეთელებს და რატომ ცრუობენ ჩვენი ხელისუფლებები ქართველი ხალხის წინაშე? რატომ გაანადგურეს ქართული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, სამუშაო ადგილები რომ გამქრალიყო და ხალხი გადახვეწილიყო? — ევროპას ხომ იაფი მუშახელი სჭირდებოდა და იმიტომ!

კავკასია არის კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი, როგორც ეს კნუტ ჰამსუნმა დაწერა და ოდესღაც განათლებულმა ევროპამ დააფიქსირა ჰუმბოლტის და სხვა მეცნიერთა მუშეობით. ე. ი. უმაღლესი ცივილიზაციის (კულტურის) მქონე, ევროპაზე ბევრად აღმატებული და, ხომ არ ვიფიქროთ, რომ თანამედროვე „განათლებული“ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები სწორედ ამიტომ ცდილობენ ქართველი ხალხის გადაგვარებას, დამშვეას და გამათხოვრებას?

რატომ არ ვუბნებით ხალხს სიმართლეს? რატომ ვეჭვობით გარყვნილი და ხარბი, კორუფციამი ჩაფლული, ურწმუნო და სატანის მიმდევართა ევროპისკენ ჩვენს ხალხს? ხომ არ ვიფიქროთ, რომ არა მარტო მსოფლიოს, საქართველოსაც უმძიმესი და საშინელი დეფიციტი აქვს განათლებული პოლიტიკოსების, რომელთაც საქართველოს ისტორია არ იცინა?

7. აუცილებელია თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარება? — ცხადია, აუცილებელია, რადგან რუსეთის ხელი-სუფლებამ ადარ სხედან შტატებ-

ბის ნომრიანი აგენტები (ხრუშჩოვიდან — შემდეგ გორბაჩოვი, ან ელცინი, ან შვედენაძე და ან კიდევ ანდროპოვ-იაკოვლევი)!

რუსეთის მეზობლობამ და რუსეთთან კარგმა დამოკიდებულებამ (არ დაგვაიწყდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სტატუსით იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული!) იმაზე მეტი სიკეთე მოგვამალა, ვიდრე ბოროტება!

კეთილი ვინებოთ და გავაცნობიეროთ ის სიკეთეები, რაც შევიძინეთ ერეკლეს ტრაქტატის შემდეგ!

ჩახედეთ, ხალხო, ისტორიას — 1858 წლამდეც კი ჰყიდდნენ ჩუმად ქართველ გოგო-ბიჭებს ფულზე გაწეული გურულები, მეგრელები, აფხაზები, იმერლები, რომ აღარ გავიხსენოთ ერეკლეს დრო ან მისი წინა პერიოდიც!

ერეკლეს დროს მთელ საქართველოში მხოლოდ 600 000 ადამიანი ცხოვრობდა — ქართველიც და სხვაც... 1988 წლის აღწერით კი საქართველოში 5 400 000 ადამიანი ცხოვრობდა და აქედან 95% ეროვნებით ქართველი იყო!

კეთილი ვინებოთ და გავაცნობიეროთ (ცხადია, თუ თავს ვდებთ განათლებულის სტატუსზე) ის სიკეთეები, რაც შევიძინეთ ერეკლეს ტრაქტატის საფუძველზე. სხვა რომ არაფერი, რუსეთმა საქართველოს შემოუერთა ძირძველი ქართული მიწები — 57 000 კვ.კმ. ტაოები, კლარჯეთი, საერთოდ მთლიანი მესხეთი, სპერია და ლაზის უმეტესი ნაწილი ტრაპიზონამდე, პირველ მსოფლიო ომში კი ქართულ-რუსული არმიები იდგა ტრაპიზონ-სინაპშიც, რიზეს გუბერნატორი კი გენერალი დავით კლდიაშვილი გახლდათ! ასე რომ, ცოდნა სინათლეა და სწორ გზას გვიჩვენებს, უწიგნურობა კი სიბნელება და სიცრუეში აცხოვრებს ნებისმიერს!


ამ ფაქტების გახსენების შემდეგ, რა ვიფიქროთ, განათლებულნი იყვნენ „დისიდენტები“? დამეთანხმებით, რომ — არა!

8. რატომ არ კითხულობს ჩვენი ახალგაზრდა თაობა ცურტაველს, საბანისძეს, გობრონის ცხოვრებას, რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროვას, ნიკო ბერძენიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს? რატომ არის ჩვენი ოპოზიციისთვის „განათლებული“ ხალხი მხოლოდ „დისიდენტები“ ლევან ბერძენიშვილის მეთაურობით? მათ ხომ არ იციან, ვინ იყო ილია? ვაჟა? ერეკლე? სტალინი? ჯავახიშვილის და ინგოროვას გვარები ალბათ, გაგონილიც არ აქვთ! რატომ ცდილობენ ისინი (ოპოზიციის), სიბნელებაში და სიცრუეში აცხოვრონ ქართველი ხალხი ფულის სანაცვლოდ? — დასანანი ძალიან!

9. იყო თუ არა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკა სრულყოფილი და დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით შესული და შექმნილი თუ არა კავშირიდან გასვლა ნებისმიერ დროს?

ძალიან მარტივი შეკითხვაა, რაზეც პასუხი უნდა იცოდნენ ჩვენმა ახალგაზრდებმა და არა მხოლოდ მათ:

ცხადია, შექმნილი, რადგან არა მარტო საქართველოს, ნებისმიერ



გამი რომლითაც შორღანის მთავრობამ საქართველოდან განაძი ბაიბანა

სხვა მოკავშირე რესპუბლიკას, ყველას ჰქონდა კავშირიდან გასვლის უფლება, ეს უფლება გარანტირებული იყო კონსტიტუციით და გავიდნენ კიდევაც სხვა რესპუბლიკები უპრობლემოდ კავშირიდან.

იბადება შეკითხვა, მაშინ რატომ მოაწვევს ქართველმა დისიდენტებმა 9 აპრილის სისხლისღვრა? იქნებ, მათ არ იცოდნენ, რა ეწერა საბჭოთა კონსტიტუციაში? იქნებ, დისიდენტებს, რომელთაც, როგორც ვიცით, სტალინი სძულდათ ძალიან და რუსეთს აიგივებდნენ სტალინთან, როგორც ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი გაწერილი იყო „დალესის კანტორის“ მიერ მომზადებულ პროექტში, იმ პროექტში, რომელიც უნდა განხორციელებულიყო არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რადგან მათი სურვილით, ქართველ ხალხს უნდა შეჯავრებოდა არა მარტო სტალინი, არამედ რუსეთიც და, შეჰყვარებოდათ ვინ? — დასავლეთი და... თუნდაც... პიტლერი, თავისი ფაშისტებით!

ამ „გასვლამ“ რა მოუტანა საქართველოს? 35-წლიანი შიმშილი, უმუშევრობა, სიბნელება, სიცოცხლე, სიკვდილიანობა, საშინელი სიღატაკე და ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა!

აი, სწორედ ეს იყო „დალესის კანტორაში“ შექმნილი პროექტის მიზანი და შეასრულეს კიდევ ერთობლივად კრემლში ჩანერგილმა აგენტებმა და ანდროპოვის მიერ შექმნილი „პელსინკის კავშირის“ წევრმა დისიდენტებმა, რომლებმაც „ეროვნულების“ სახელი დაირქვეს!

გამსახურდია მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს მიხედა შტატების „შხაკერული გეგმის“ არსს, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო... „დალესის კანტორა“ შეუფერხებლად აწარმოებდა თავისი პროექტის განხორციელებას ჯერ კიდევ დისიდენტური მოძრაობის დასაწყისიდან და აწარმოებს დღემდე!

10. რატომ დაისაჯა, დაიხოცა და მოიწამლა უბრალო ქართველი ხალხი 9 აპრილს და არცერთ ლიდერს ფრჩხილიც არ გაკაწვრია, რატომ? ხომ უნდა მიხედეს „მოლოტოვის კოქტეილების მსროლელი“ ქართველი ახალგაზრდობა, რომ ეს გეგმა დიდი ხნით ადრე იყო გაწერილი და შემუშავებული „დალესის კანტორაში“ („ცერუში“) და კრემლშიც დალესის კანტორის აგენტები ისხდნენ და დისიდენტ-

ბიც მათი (სახაროვ-სოლჟენიცინის) გამოზრდილი და ჩანერგილი იყვნენ ყველა რესპუბლიკაში?

მაგრამ... ქართველი „ეროვნულები“ ძალიან აქტიურობდნენ და „სისხლი სწყურდათ“, ამიტომ, არც პატრიარქის თხოვნა გაითვალისწინეს, რომ ქაშვეთის ტაძარში შესულიყვნენ და ელოცათ, რადგან საფრთხე იყო მოსალოდნელი!!!

11. როგორი იყო განათლების სისტემა 1990-იან წლებამდე? ცხადია, უმაღლესი დონის, რადგან საქართველოს ჰყავდა მსოფლიო დონის მეცნიერები ყველა დარგში! მერედა, ეს იცის ჩვენმა ახალგაზრდებმა თაობამ? — არ იცის!

რატომ მიგვაბეს „ბოლონიის პროცესზე“? — უწიგნური რომ დარჩნენ და თეთრი და შავი ვერ განასხვავონ ერთმანეთისგან და არ უნდა იცოდნენ, ვინ არიან, საიდან მოდებიან, სად მიდიან და რომ ახალგაზრდობა მკვლელებად და პოლიციელების ცოცხლად დამწველებად აქციონ? ასეთი ახალგაზრდობა სჭირდება საქართველოს მომავალს?

12. რატომ ხდება ქართული მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ სამუშაოს საძებრად და თანაც 1990-იანი წლებიდანვე? რატომ წავგართვეს საკუთარ ქვეყანაში შრომის უფლება ქართველ ხალხს საქართველოს მთავრობებმა 90-იანი წლებიდანვე? რატომ გადაკეტეს სამტრედიის რკინიგზა ვითომდა „ეროვნულებმა“? ვინ და რატომ წავგართვა, გაგვიყიდა და გაგვინადგურა ფაბრიკები, ქარხნები — მძიმე და მსუბუქი მრეწველობა? სოფლის მეურნეობა? რატომ დაგვინაკუწეს ქართული მიწა-წყალი, რომლისთვისაც ამდენი სისხლი დაღვარეს ჩვენმა წინაპრებმა? უნდა იცოდნენ ქართველმა ახალგაზრდობამ, რომ ეს პროექტი დიდი ხნის შემუშავებული ჰქონდა „დალესის კანტორას“, რადგან მათ აქ, საქართველოში, განათლებული ქართველები, გამრავლებული ქართველები არ სჭირდებათ!

13. ტრამპის ვაგონებიც გაყიდეს, ლიანდაგებიც აყარეს, კავკასიონზე მაღალი ძაბვის ელექტროსადენები დაჭრეს და გაყიდეს. რატომ? რატომ? ვკითხულობთ ჩვენ და ეს ყველა უბედურება, რაც 1990-იანი წლებიდან მოხდა საქართველოში, რუსეთის ბრალია? რუსეთმა დაგვიმონა, დაგვაძვინა, დაგვაძვირა თუ ჩვენივე, ქართველმა შადიმანებმა და გვარგადაკეთებულმა ყორღან-ნაშვილებმა, „დალესის კანტორა-

ზე“ მიყიდულმა ფულზე დახარბებულმა ქართველმა „აგენტებმა“? რატომ ამოიღეს კონსტიტუციიდან ეროვნება და მამის სახელი? სამშობლოს ღალატის მუხლი? პასუხი მარტივია — სწორედ იმიტომ, რომ ყველაზე დიდი მოღალატეები სწორედ თვითონ იყვნენ და დღესაც ასეთები არიან!

14. დისიდენტები, იგივე 90-იანი წლების ეროვნულები, გიორგი სააკაძის ძეგლის აღებას რომ ითხოვდნენ თბილისში და კასპში, ესეც რუსების და რუსეთის ბრალია? არ იცოდნენ, რომ გიორგი სააკაძემ მარტყოფის ომით საქართველო გადაარჩინა და სამშობლოს შვილის სიცოცხლე შესწირა? ასეთი „უწიგნური“ და გაუნათლებლები იყვნენ, რომ საკუთარი სამშობლოს ისტორია საერთოდ არ იცოდნენ? ან არ იცოდნენ, ან კიდევ, „მამალი აგენტები“ იყვნენ დასავლეთის და დღესაც ასეთები არიან!

15. არ იცოდნენ „დისიდენტებმა“, რომ ერეკლე „ტრაქტატის“ მეოხებით მეგობრობის, მფარველობის და, რაც მთავარია, დაკარგული ტერიტორიების, მეზობელი სახელმწიფოებისთვის წართმეული ქართული მიწა-წყლის დაბრუნებას სთხოვდა ერთმორწმუნე რუსეთს? თუკი „ეროვნული მუხლი“ მოდიოდნენ საქართველოს ხელისუფლებაში „დისიდენტები“, არ უნდა სცოდნოდათ ისტორიული სიმართლე?

16. არ იცოდნენ „დისიდენტებმა“, ვინ იყო ჟორდანიას და მისი მოღალატე მთავრობა, რომლებიც ჯერ გერმანიას „მიყვიდნენ“, შემდეგ ინგლისს, იტალიას, საფრანგეთს და შტატებს? თითოეულმა მათგანმა (ე. ი. გერმანია-ინგლისმა) სულით ხორცამდე გაძარცვა საქართველოს მიწა-წყალი. ჟორდანიას მთავრობამ გაატარა მიწის რეფორმა — მიწის მფლობელებს, განურჩევლად გლეხისა, ეკლესიისა თუ აზნაურისა, ჩამოერთვათ მიწები და მიეცათ მისი ხელახლა ყიდვის უფლება! ე. ი. ქართული მიწა ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ აუქციონზე გაიტანეს და მისი ყიდვა შეეძლო ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, ვინც მეტ ფულს გადაიხდიდა! ეს ფაქტები უცნობი იყო ქართველი დისიდენტებისთვის?

დამთა მანისშრაძემ
საერთაშორისო
ურთიერთობების დოქტორი
(ბაბრამქვამა იძვამა)



გვესაუბრება უფლებადამცველი, იურიტი გველა ნიკოლაიშვილი:

— ბატონო გველა, „ქართული ოცნება“ „ნაციონალისტების“ აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს. რა შედეგს ვლით?

— საპარლამენტო დასკვნაში საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკაში „ნაციონალისტების“ მოღვაწეობის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღოს. ვიცი, რომ მათი მმართველობის დროს ადგილი ჰქონდა არაერთ დანაშაულს: პატიმრების წამებას, არაადამიანურ მოპყრობას, ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვას, ბიზნესის დარეგულრებას, ქონებების ჩამორთმევას, პროკურატურის მიერ სასამართლოს დაქვემდებარებას და ა.შ. მთავარი ის არის, რომ ამ ყველაფერს სისტემური ხასიათი ჰქონდა. თორემ, ისე ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს შეიძლება მსგავსი რამ მომხდარიყო. როცა დანაშაულს სისტემური ხასიათი აქვს, როცა ეს სახელმწიფო პოლიტიკაა და არა რიგითი ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი გადაცდომა, აქ უკვე ამ პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ასეთი იყო „ნაციონალისტების“ პოლიტიკა. თუ დამტკიცდა, რომ ზემოქმედებულ დანაშაულებს სისტემური ხასიათი ჰქონდა — ზემდგომიდან მოსულ ბრძანებებს ქვედა და საშუალო რანგის ჩინოვნიკები ასრულებდნენ, სამართლებრივი შედეგიც დადგება. ისტორიაშიც ეს პერიოდი შევა, როგორც დანაშაულებრივი მმართველობის წლები.

— ბოლოს და ბოლოს, ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ შედგება?

— „ნიურნბერგის პროცესი“ უფრო სანახაობრივი იყო, მაშინ ყველა სამხედრო დამნაშავე ერთობლივად გაასამართლეს. ჩვენ შემთხვევაში რიგი მაღალჩინოსნები გასამართლებულნიც არიან და სასჯელიც მოიხადეს გარკვეული დანაშაულებისთვის, თუმცა ეს საკმარისი არ არის. უმეტესწილად, რეჟიმის გასამართლება სიმბოლური აქტი იქნება. თუმცა, როცა „ნიურნბერგის პროცესის“ მერე გერმანიაში ფაშისტური პარტია აიკრძალა, იქ არათუ კონკრეტულ პირებს აეკრძალათ პოლიტიკაში მოღვაწეობა, არამედ მათი სიმბოლიკის — „სეკსტიკას“ ხმარებაც კი აიკრძალა, ეს დანაშაულად მიიჩნეოდა და დღემდე ასეა.

— პარლამენტის დასკვნაში მოხდა ავეისტოს ომის თემაც, რა დროსაც მაღალჩინოსნებმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს.

— დიახ, როგორც დასკვნიდან

ორკვევა, მათ ომის დროს მოსახლეობა მიატოვეს, რასაც ოკუპაცია მოჰყვა. თუმცა, ომის დროს ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონობა, დანაშაულები სულაც არ ნიშნავს, რომ ეს რუსეთის პოლიტიკას — ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას ამართლებს. ეს სხვადასხვა საკითხებია. შეიძლება ორი მხარე ერთმანეთს ებრძოდეს და რაღაც ნაწილი ერთი იყოს დამნაშავე, რაღაცაში — მეორე. ან ერთი იყოს ყველაფერში დამნაშავე, მეორე კი — ნაწილობრივ. გამოსაძიებელია, რამდენად შეიძლება ომის თავიდან აცილება და როცა ეს ვერ მოხერხდა, რამდენად კანონიერი, ადგილები იყო ხელისუფლების მოქმედება, იგივე მოსახლეობის ევაკუაციასთან მიმართებით, ასევე დაზოცილი ჯარისკაცების მიტოვება. აქ კონკრეტული დამნაშავეები შეიძლება გამოიკვეთოს.

ვე, სემინარები, რაც წესით, ბავშვთა, ქალთა, ინვალიდების უფლებების დაცვას უნდა მიძღვნიდა, დაეიშინა იმის სწავლებას, თუ როგორ დაამხონ ხელისუფლება, შექმნან დამცავი რაზმები, ჯებირები და ბარიკადები, რაც თანხის არამიზნობრივი გამოყენებაა. დასავლეთი ამ გრანტებს სკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გასცემს. ამიტომ, ცხადია, ნჯო-ებს გამოეყოფნენ და გაცემული თანხების შემოწმების საკითხს აპროტესტებენ.

— დასავლეთიდან მუდმივად თავდასხმების მოგერიების რეჟიმში ვართ. რა პერსპექტივა აქვს ევროკავშირში ჩვენს გაწევრიანებას?

— ამჯერად დათქმულია ორი ვადა — 2028 და 2030 წელი. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2028 წლამდე ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარს წვევებს, რათა ეს შანტაჟის თემად არ გამოიყენონ.

ვართ და არამართო კანდიდატებს, არამედ ბევრი პარამეტრით ევროკავშირის და ნატო-ს წევრ არაერთ ქვეყანას ვუსწრებთ. ხოლო, როცა ევრობიუროკრატები გვაფასებენ, მაშინ მოლდოვა და უკრაინა გვისწრებს. ანუ, პოლიტიკურად მიუღებელი ვართ, მაგრამ ექსპერტული კვლევებით და შეფასებებით, ყველაგან ლიდერები ვართ.

— ოთხ ოქტომბერს ოპოზიცია ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობისთვის ემზადება...

— ეს ხელოვნურად აფიტირებული, გაბუქებული დაპირებაა, რაც ოპოზიციის საკუთარი მხარდამჭერების გასამხნეველად სჭირდება. ოპოზიციის გაცილებით ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ხელისუფლებას. ოპოზიცია ცდილობს, უმრავლესობას თავს უმცირესობის დიქტატი მოახვიოს. რეალურად, ამას დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნების გზით წვევებს.

ხმით სხვა ადამიანების პოზიციები გადაფარონ. დიახ, ოპოზიციის საქართველოში ნოვგოროდის „ვეჩეს“ დროინდელი მდგომარეობის დაბრუნება უნდა. კიდევ ამბობენ: უმცირესობა კი ვართ, მაგრამ უფრო ხმამაღლა ვყვირით და ამიტომ ქვეყანა ჩვენ უნდა ვმართოთ.

— თუკი ადრე ვარდების რევოლუცია მოაწვევს, ახლა დროების რევოლუციის მოწოდებას აპირებენ და ტელევიზიებში დრომომხვეულები დადიან.

— ეს მარკეტინგია. ქართველებს სპექტაკლების დადგმის და მათში მონაწილეობის ნიჭი აქვთ. რეალურად, ავიწყდებათ, რომ დემოკრატიის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ ყველაფერს უმრავლესობა წვევებს.

— ბურჟუაზიამ განაცხადა, ოთხ ოქტომბერს პოლიცია ჩვენს მხარეს გადმოვა.

პარლამენტის რეპოლუსიონიდან დროუბის რეპოლუსიამდე

წულუკიანმა აღინიშნა, რომ კვხერაშვილმა და მერაბიშვილმა 2008 წლის 6 აგვისტოს პროფესიონალი სამხედროების გეგმა უარყვეს. ესეც ერთ-ერთი კომპონენტია იმ დანაშაულებისა, რასაც „ნაციონალისტების“ სწავლიდა. გამორიცხული არ არის, თუ მერაბიშვილს კონკრეტულ დანაშაულს და მუხლს შეუფარდებენ, ისევე ციხეში აღმოჩნდეს.

— პროკურატურამ შვიდ გავლენიან ნჯო-ს ანგარიშები დაუვადა, რასაც მათი მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

— საკითხი ასე დგას, იყენებდნენ თუ არა ეს ნჯო-ები საკუთარ უფლებამოსილებებს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისთვის. ბუნებრივია, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია პროექტს წერს, გარკვეული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობასაც იღებს. მათ პროექტებში არ ყოფილა გაწერილი, რომ გრანტის აღებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ აქციებისთვის პიროტექნიკას, წიწაკის სპრეებს შეიძენდნენ. სწორედ ამას ედავება სახელმწიფო — გრანტით მიღებული თანხა პიროტექნიკის, აირწინაღების, ჩაფხუტების შესაძენად არ ყოფილა გაწერილი. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ თანხების არამიზნობრივად მიმართვა ხელისუფლებისთვის საბოტაჟის მოწოდებას უკავშირდება, რაც გამოძიების დაწყების, თუნდაც ანგარიშების დაყვადების საფუძველია. ასე-

პრემიერის თქმით, 2028 წლისთვის, საქართველო მზად იქნება ევროკავშირში გასაწევრიანებლად და მოთხოვნების 90% შესრულებული იქნება. აღსანიშნავია, რომ 2030 წლამდე ევროკავშირის გაფართოების საკითხი ყველასთვის შენერებულია. ჯერ არ ვიცი, ამ პერიოდისთვის რა ვითარება იქნება. იქამდე, ევროკავშირში არჩევნები უნდა გაიმართოს. ისიც გასათვალისწინებელია, როგორ იქნება ახალი შემადგენლობა, რა განწყობის ხალხი მოვა, ისევე „დიფ სოეთის“ მიერ შერჩეული პარლამენტარები — ე.წ. ფსევდოლიბერალები იქნებიან უმრავლესობაში, თუ კონსერვატორები. დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს ევროკავშირში მიღებას მხარს არავინ დაუჭერს. გერმანიის ელჩმა ფიშერმა, ეს პირდაპირ განაცხადა, ამ ხელისუფლების პირობებში, ევროკავშირში ვერ გაწევრიანდებით. ისინი არ ცვლილება უნდა. ამიტომ 2028 წლისთვის ევროკავშირში ვითარება უნდა შეიცვალოს, რათა ჩვენი გაწევრიანება რეალური გახდეს. იმედა, ევროკავშირში მოვლენ ძალები, რომლებიც ჩვენ მიმართ მიდგომას შეცვლიან.

დააკვირდით ერთ რამეს, როცა ევროსტრუქტურების მიერ ექსპერტულ შეფასებებზე ლაპარაკი და რეალური კვლევა წარმოებს, ყოველთვის მოწინავე ადგილებზე



ლოებაში არჩევნების გზით წვევებს. ოპოზიციამ იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვა და რევოლუციის გზას ირჩევს. თუმცა, მათ არ ჰყავთ იმდენი მომხრე, რომ საყოველთაო დაუბრუნებლობა, ამბოხება შეძლონ. მშვიდობიანი დამხობის ტერმინი მოიგონეს, ვერ ბედავენ, თქვან, შენობებში შევიჭრებით და ასე და ისე ვიზამთო. ასოციაცია ე.წ. ვარდების რევოლუციისთან აქვთ. არადა, დღეს აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა, მაგრამ ადამიანებს ასხენებენ, რომ ასეთი პრეცედენტი იყო. საბოლოოდ, ისევე ფრუსტრაცია დაუფლებათ, 5 ოქტომბერს გამოვლენ და ქვეყნის დამხობა რომ ვერ შეძლეს, ამას ჯერ ერთმანეთს დააბრალებენ, მერე ქართველი ხალხის ლანძღვას დაიწყებენ: აი, გარეთ რომ არ გამოხვედით, ქვეყანა ვერ დაეპყრეთო. იმას კი არ უფიქრებდნენ, რატომ არ გამოდის ეს ხალხი ქუჩაში მათ დამახილზე.

რუსეთის ისტორიიდან ასეთი ეპიზოდი მახსენდება: მე-12-მე-13 საუკუნეებში არსებობდა რუსეთის სამთავრო ნოვგოროდი, სადაც ე.წ. დემოკრატიული ხდებოდა არჩევნების გაკეთება. „ვექში“ უამრავი ადამიანი იკრიბებოდა და რაზეც უფრო ხმამაღლა იყვირებდნენ, ის საკითხი იყო გასული. ამ ოპოზიციასაც იმდროინდელი პერიოდის დაბრუნება სურს — ქუჩებში დარბიან და მეგაფონებში ბოლო ხმაზე ყვირიან და იგინებინ, რათა თავიანთი

— ესეც მარკეტინგული ხრიკია მომხრეების დასაჯერებლად. იმდენად გულუბრყვილოები არიან, ხალხი სულელი ჰგონიათ. ბურჟუაზიამ ისიც განაცხადა, ჩემთან უამრავი პოლიციელი რეკავს და მეუბნებიან: ოთხ ოქტომბერს თქვენს მხარეს გადმოვალთო. ელემენტარული ხომ უნდა გაიასრო, ასეთ რამეს როცა ამბობ. ნუთუ, ჰგონიათ, რომ უშიშროებას სძინავს?! ხომ აბსურდია, რომ პოლიციელმა ვიდაცას დაურეკოს, ასეთი რამ განაცხადოს და ის კიდევ დაკავებულ თანამდებობაზე დარჩეს! ბურჟუაზიის განცხადება გათვლილია ემოციებზე, რაც რაღაც მომენტში შეიძლება აფეთქდეს, მაგრამ მერე მოტყუებულ ხალხს ფრუსტრაცია დაუფლებათ და ოპოზიციას პასუხს მოსთხოვს: შედეგი რატომ არ დადგა. ისიც მიუბრუნდება და ყველაფერს მას დააბრალებს და ასე დაიწყება დამნაშავის ძებნა, თუ ვინ დაარღვია ქვეყნის დამხობის პირობა.

— ბურჟუაზიამ მეც ვუსმინე, ამბობდა, სამ ოქტომბერს ბიძინა ქვეყნიდან გაიქცევაო. ნეტავ, ეს ინფორმაცია საიდან აქვს, ამ შემთხვევაშიც თავად ივანიშვილმა ხომ არ დაურეკა?

— კი, ალბათ, პოლიციის მსგავსად, ივანიშვილმაც დაურეკა და უთხრა: სამ ოქტომბერს ქვეყნიდან გაიქცევიო.



შანხაის მუვიდობის საშიში



გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პოლიტოლოგი თამარ მინაძე.

— ქალბატონო თამარ, გასულ კვირას პეკინში შანხაის სამიტი შედგა. როგორ შეფასებთ მის მნიშვნელობას?

— ძალიან საინტერესო სამიტი იყო, მხარეებს შორის საყურადღებო შეთანხმებები შედგა, რაც უპრეცედენტოა იმ ფონზე, რომ დღეს ინდოეთსა და ჩინეთს სადავო საკითხებიც აქვთ. შანხაის სამიტი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. პირველი პირები ხელმოწერილი შეთანხმებებით კმაყოფილი დარჩნენ, რაც მათთვისაც მნიშვნელოვანია და სრულიად მსოფლიოსთვისაც. რაც მთავარია, სამიტი იმის დეკლარირება იყო, რომ იქ შეკრებილი ლიდერები იმ მილიტარიზებული, საომარი რიტორიკის წინააღმდეგნი არიან, რასაც ევროპა ეწვევა — უკრაინის ომის გაგრძელების სურვილი, იარაღის მიწოდება და ის საომარი განწყობა, რაც რუსეთის წინააღმდეგ იგეგმება და შესაძლოა, გლობალურ ომშიც გადაიზარდოს. სამიტიზე ხაზგასმით ითქვა, რომ მსოფლიოში საომარი მოქმედებები კი არა, არამედ მშვიდობიანი პროცესები უნდა წარიმართოს, რათა ამან ეკონომიკურ და სხვა სახის განვითარებას შეუწყოს ხელი.

დღეს ვითარება შეიცვალა — მხოლოდ დასავლეთი აღარ არის ის სუბიექტი, რომელიც მსოფლიო წესრიგს და მიმდინარე პროცესებს განკარგავს. ამ ყველაფერმა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა. დააკვირდით, შანხაის სამიტი რუსეთის პრეზიდენტი დიდი პატივით მიიღეს. იგი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა გახლდათ. შემდეგ შთაბეჭდავი ადღეუმი გაიმართა, რაც შემთხვევითი არ იყო — ბირთვული და სხვა სახის მოწინავე ტექნოლო-

გიური იარაღების დემონსტრირება პირდაპირ დასავლეთისთვის იყო განკუთვნილი.

დღეს ტრამპისა და ევროპის რიტორიკა ერთი და იგივე არ არის, რადგან აშშ-ის პრეზიდენტი პირიქით, საომარი მოქმედებების შეჩერებას ცდილობს, რასაც ევროპელი ლიდერები არ თანხმდებიან. ევროპელები ტრამპის სამშვიდობო შეთანხმებით უკმაყოფილონი არიან. მათი მოწოდებაა, უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ ომი განაგრძოს, რაც სამიწელებაა. წარმოდგინეთ, ახლა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომია, ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღუპება, გენოციდი ნადგურდება. ეს რიტორიკა, რაც დღეს ევროპას ომთან მიმართებით ახასიათებს, მიუღებელია. ასევე მიუღებელია ისიც, თუ როგორ იქცევიან საქართველოსთან დამოკიდებულებაში. ამიტომ შანხაის სამიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენ მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში დასავლურ კონტურებს ვხედავთ. სამიტზე საუბარი იყო ფინანსური რეჟიმის ცვლილებაზეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამას, ალბათ, ტრამპიც ემხრობა. დღეს ციფრულ საფინანსო რეჟიმზე გადასვლაზე საკმაოდ ბევრს საუბრობენ.

— რა არჩევანი აქვს საქართველოს მაშინ, როცა ჩვენ მიმართ ამერიკის მხრიდან გამოკვეთილი პოზიცია არ ჩანს?

— ამაში ცუდი არაფერია, რადგან ისეთი პროცესები მიდის, ჩვენ, რაც შეიძლება, ჩრდილში უნდა ვიყოთ. წინა ხელისუფლებების პირობებში, საქართველო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არ იქცეოდა და მივიღეთ კიდევ 2008 წლის ომი. ზოგისთვის რომ გეკითხა, საქართველო პოპულარული გახდა, აგერ ჩვენს ამბებს „სი-ენ-ენ“-ზე გადმოსცემენო. იმასაც ხომ გააჩნია, რის ხარჯზე იხვეჭ პოპულარობას — უბედურებით, რაც 2008 წლის ომმა მოგვითანა? ამიტომ, ჩემი აზრით, ხელი-სუფლება საგარეო პოლიტიკის წარმოების კუთხით ჭკვიანურად იქცევა — მსოფლიოში მტკიცეული პროცესები მიდის და ჩვენი ზედმეტი ჩაბმა და აქტიურობა საჭირო არ არის. ერთი ამბავია ატეხილი, ტრამპმა ვაგელაშვილს წერილზე პასუხი არ გასცაო. ძალიანაც კარგი, თუ არ გვიპასუხა. ვფიქრობ, ეს უფრო რიტორიკული წერილი იყო, რომელიც იმაზე მუთუბდა, რომ თანამშრომლობისთვის მზად ვართ. გაეაზროთ, რომ ახლა მსოფლიო

გადანაწილების პროცესი მიდის, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და გლობალურ პროცესებზე დიდი ზემოქმედება არ შეგვიძლია.

— ბოლო დროს ოპოზიციურ არხებზე გახშირდა საუბარი იმის შესახებ, თითქოს საქართველო რეგიონში ამერიკის ინტერესების პოტენციურ საფრთხედ იქცა.

— ზოგადად, ამ ოპოზიციას ქართულ ძალად არ განვიხილავ. ისინი „პატრონების“ ინტერესების გამტარებელი არიან, რასაც ეროვნულ ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს. იმასაც ამბობენ, რომ თურმე, სომხეთი და აზერბაიჯანი რეგიონის საფრენი არიან, საქართველო კი — არა. რეალურად, საქმე სულ სხვაგვარადაა. ამას რომ მიხვდეთ, კარგად უნდა გააანალიზო, ამ პროცესს საფუძვლად რა უდევს. ალიევი საკმაოდ ჭკვიანი, გამოცდილი, ადეკვატური ადამიანია და ამიტომ არ მგონია, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული

ნავე, პუტინთან ურთიერთობის დალაგების გზების ძიება დაიწყო, რადგან, გვინდა თუ არა, რუსეთი უზარმაზარი, მდიდარი (მთელი მენ-დელევის ტაბულა იქ არის თავმოყრილი) ქვეყანაა. გარდა ამისა, ტექნოლოგიების თვალსაზრისით, იქ საკმაოდ ბევრი ჭკვიანი ადამიანია და არც ის არის დამალული, რომ აშშ ამ „ტვირებს“ ვიდულობს. აშშ-ის ტექნოლოგიების უკან საბჭოთა კავშირში გაზრდილი ძალიან ბევრი მეცნიერი დგას.

გარდა ამისა, ამჟამად ამერიკას დაღმავალი ციკლი აქვს და ტრამპმა არაორდინარულად უნდა იმოქმედოს. მაგალითად, კისინჯერისთვის, ამერიკის, ჩინეთისა და რუსეთის სამკუთხედში, რუსეთისა და ჩინეთის ალიანსი მიუღებელი იყო. სხვათა შორის, თავის დროზე ამერიკელებმა ჩინელებს ე. წ. ჩიმერიკას შექმნა შესთავაზეს. ანუ იმაზე შეთანხმება, რომ ეს ორი ქვეყანა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს

პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა, სომხეთისთვის უკეთესია, რადგან მამინაც, როდესაც ეს დაპირისპირება დაიწყო, აღნიშნულმა პროექტებმა იმის გამო, რომ იქ სიმშვიდე არ იყო, საქართველოზე გაიარა და სომხეთი წაგებული დარჩა. ამ მხრივ, ყარაბაღის საკითხის გადაჭრა, სომხეთისთვის კარგია. მაგრამ სომხეთში დღეს არსებული ვითარება, იგივე სამღველოებასთან დაპირისპირება, საზარბიელო არ არის. სომხეთში ისევე, როგორც საქართველოში, რელიგიურ ფაქტორს დიდი დატვირთვა აქვს. სასულიერო პირებთან დაპირისპირების, მძიმე ურთიერთობების უკან, გარკვეული ძალა დგას. თუმცა, ტრამპს ჰქონდა მცდელობა, ინგლისი გაენეიტრალებინა. ეს არ არის ცუდი. აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რაზე მოილაპარაკებენ ეს ძალები. ჯერჯერობით, მიუხედავად ამ რიტორიკისა, ზანგეზურის დერეფნის ამოქმედ-



რიტორიკა მისი სურვილით ხდებოდა. ალიევის უკან დგანან ძალები, რომლებიც მას ასე მოქმედებას აიბულებენ. როგორც ამბობენ, ეს ძალა არის ინგლისი — „დიფ სთეითის“ ის ნაწილი, რომელიც მას აიბულებს, რუსეთის წინააღმდეგ იმოქმედოს.

დღევანდელი სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის წინ არსებულ მდგომარეობას მაგონებს, როდესაც ინგლისის და აშშ-ის ინტერესები გაიყო და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის საპასუხოდ, ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუზველტმა ვექტორი შეცვალა და შედეგად, საბჭოთა კავშირი და აშშ დაახლოვდნენ. ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც მაშინ მიხდა, სწორედ ამერიკულ ტექნოლოგიებთან, ინვესტიციებთან არის დაკავშირებული. ახლაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა. ტრამპმა ამერიკის სათავეში მოსვლისთანა-

განსაზღვრავდა. მაგრამ ჩინელებმა შემდეგი პრინციპით უარი განაცხადეს — რა შეიძლება იყოს ამერიკისთან მტრობაზე უარესი? — რა თქმა უნდა, მათთან მეგობრობაო. დაიხ, ამ პრინციპით იმოქმედეს და ურთიერთობა რუსეთთან ამჯობინეს. თუმცა, ამერიკისა და ჩინეთის ინტერესები ისეა გადახლართულები, უნდათ თუ არა, ურთიერთობების დალაგება მაინც მოუწევთ. ისინი ეკონომიკურად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. რაც შეეხება რუსეთს, ამერიკისთან ვაჭრობის კუთხით, მომგებიან პოზიციაშია. იმედია, ეს პოლიტიკური ვაჭრობა ისე დამთავრდება, რომ მთელ მსოფლიოს წაადგება და სამშვიდობო პროცესების საწინდარი იქნება.

სამწუხაროდ, დასავლეთი მუდმივად ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევის — ხან ომში ჩაბმას გვთავაზობენ, ხან არჩევნების შემდგომ რევოლუციების მოწყობას, მაგრამ რუსურსი არ ჰყოფნით, კრიტიკულ მასას ვერ აგროვებენ. იმედ მაქვს, რომ ჩვენს სპეცსამსახურები შესაბამისად მუშაობენ და დესტრუქციული ქმედებების პრევენციას ახდენენ.

— ქალბატონო თამარ, ზოგიერთები საზოგადოებას აჯერებენ, რომ ზანგეზურის დერეფნის გახსნით საქართველო ფუნქციას კარგავს. როგორია რეალობა?

— ჯერ ერთი, არ მგონია, რომ ზანგეზურის დერეფანს მომავალი აქვს, რადგან ირანი და რუსეთი დერეფნის გახსნის წინააღმდეგია. ავიღოთ პაშინიანი, რომელიც იგივე სააკაშვილია. თუმცა კი, ყარაბაღის

ბას უახლოეს მომავალში ვერ ვხედავ.

— ხელისუფლებამ ევროკომისიას ვრცელი საპასუხო წერილი გაუგზავნა, სადაც მათი რეკომენდაციების შესრულებაზე მზაობა დაადასტურა.

— ევროპა ვიზალიბერალიზაციის გაუქმებით იმუქრება, რაც ქვეყანაში ვითარების არევისა და ელექტორატის განწყობებზე ზემოქმედების კიდევ ერთი მცდელობაა. მნიშვნელოვანია, კარგად გავანალიზოთ, რის საპირწონედ გვთავაზობენ ვიზალიბერალიზაციას და რატომ გვამანტაჟებენ. პრემიერმა განაცხადა, რომ ამის სანაცვლოდ ომში ჩართვას გვთავაზობდნენ. ომში ჩაბმის შემთხვევაში, ქართული სახელმწიფო შეიძლება საერთოდ აღარ ყოფილიყო. უკრაინა 44-მილიონიანი, უზარმაზარი ტერიტორიის მქონე ქვეყანაა და ვხედავთ, რა დღეშიც ჩააგდეს. ჩვენს განადგურებას ორისამი დღე ეყოფოდა და როგორც სახელმწიფო, აღარ ვიარსებდით. ოფიციალურად, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ევროკავშირში კონსულსის გზით მიიღება. ვიცით, რომ სულ ცოტა, ორი ქვეყანა — უნგრეთი და სლოვაკეთი ჩვენთვის ვიზის გაუქმების წინააღმდეგი იქნება. მაგრამ თუ ევროკავშირი ამ გადაწყვეტილების მიღებას მაინც შეძლებს, პრობლემას ვერ ვხედავ — საკონსულტოებში მივაღებ და ვიზებს ავიღებთ ისევე, როგორც ამერიკის ვიზას ვიღებთ.

თამარ შველიძე





ამაოდ ცდილობდნენ ევროპელები მის კოპირებას, ყველა ცდა წარუმატებელი იყო, მხოლოდ უხეში კერამიკა (ფაიანსი, მაიოლიკა) გამოსდიოდათ. მათ არაერთხელ სცადეს ფაიფური წარმოების საიდუმლოს მოპარვა, მაგრამ ამაოდ.

მე-17-18 საუკუნეებში, ევროპაში ნამდვილი ფაიფურის მანია დაიწყო. ყველა სამეფო კარი და არისტოკრატია ფაიფურის უზარმაზარი კოლექციის შეგროვებაზე გადავიდა.

მე-17 საუკუნეში, პოლანდიის „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში“ მილიონობით ფაიფურის ნივთი შეიტანა ევროპაში. 1717 წელს, კურფიურისტმა (ფეოდალურ გერმანიაში მთავარი, რომელსაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმპერატორის არჩევაში)

რაც ევროპული ტექნოლოგიებისთვის მე-17 საუკუნის ბოლომდე სრულიად მიუწვდომელი იყო. ჩინეთში თითქმის სამი ათასი წლის წინათ გაუჩნდათ იდეა, რომ აუშენებინათ ღუმელები, რომლებსაც ძალიან მაღალი ტემპერატურისთვის შეეძლოთ მიღწევა, მაგრამ ეს ღუმელებიც დიდი საიდუმლო იყო — უცხოელებს არ უშვებდნენ იმ რეგიონებში, სადაც კერამიკა და ფაიფური იწარმოებოდა. ჩვენი „დამალული ხეობები“ გამახსენდა აჭარაში და რაჭველი „რკინის კაცები“, რკინის გამოდნობის საიდუმლოს რომ მაღავედნენ.

ფრანგი იეზუიტი ფრანსუა დ'ანტრეკოლი იყო პირველი, ვინც „ფაიფურის წარმოების იმპერიულ ცენტრში“ წვდომა მოიპოვა,

ფრიდრიხ ბიოტგერმა, ევროპელი ჯაშუშების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაციის გამოყენებითა და ათასობით ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ მოახერხა ჩინური ფაიფურის დამზადების საიდუმლოს ამოხსნა.

დენტზე, კომპასზე, ბეჭდვით ინდუსტრიაზე, ქაღალდის ფულზე, მშრალ დოკებზე, წყალგაუმტარ ტიხრებზე, დაკიდულ ხიდებზე, ტუალეტის ქაღალდზე და ა. შ. აღარ ჩამოვუყვები, თავადვე მოიპოვეთ ინფორმაცია და დარწმუნებული ვარ, შეკითხვა დაგებადებათ: თუ ამდენი ტექნოლოგიური საიდუმლო ჰქონდათ, რატომ იყვნენ ისეთი ღარიბები და ჩამორჩენილები?

იმავე ჩინეთის მაგალითი იძლევა პასუხს: ტექნოლოგიური უპი-

დღეს ჩინეთს ხშირად ადანაშაულებენ ინტელექტუალური საკუთრების მოპარვაში, მაგრამ რამდენი რამე მოპარეს ჩინეთს, არავინ ახსენებს. ძალიან ცუდია, როცა რამეს გაპარავენ და ითვისებენ, მაგრამ არის ბევრი ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის ნაქურდალი, რაც მოპარავეთვის საამაოც კია.

აბრეშუმში — პირადად მე სკოლაში ვისწავლე, რომ ჩინეთიდან აბრეშუმის ჭიის კვერცხები ორმა ევროპელმა ბერმა ქოლგებით გამოიტანა. თვით ქოლგაც ჩინელების გამოგონებულია. გადმოცემის მიხედვით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 450 წელს, იუნ ლუ ბანის ცოლმა, რომელიც ქმრის მსგავსად ხელოსანი იყო, პირველი ქოლგა ქმარს მისცა, რათა შხის გულზე მუშაობის დროს მზისგან დამცავად გამოეყენებინა.

ახლა გადავწყვიტე ინფორმაციას, რომ ორ, კონკრეტულად ბიზანტიელ ბერს აბრეშუმის ჭიის კვერცხები ღრუ კვერთხებით გაუტანია ბიზანტიაში. ასეა თუ ისე, აბრეშუმში ჩინეთს მოპარეს და ასე გაჩნდა ევროპაში.

აბრეშუმში მსუბუქი, გამძლე და ლამაზი იყო. ის ვალუტად ითვლებოდა, სტატუსის და ძალაუფლების სიმბოლო იყო. უმთავრესი — როგორც დატილიანებულმა ევროპამ დაასვენა, აბრეშუმის ტანსაცმელი სასტიკად არ მოსწონდათ ტივლებს და ტკიპებს, რადგან ფეხს ვერ იკიდებდნენ მასზე...

პლინიუსი აღწერდა იყო იმით, რომ რომი წელიწადში 100 მლნ სესტერცს ხარჯავდა აღმოსავლეთიდან შემოსულ აბრეშუმზე, სანელებლებზე და ფუფუნების სხვა საგნებზე, რაც კოლოსალური თანხა იყო და იმპერიიდან ძვირფასი ლითონების სახით გაედინებოდა. ჰოდა, ბოლო-ბოლო, მოიპარეს აბრეშუმის ჭიის კვერცხებიც და აბრეშუმის წარმოების საიდუმლოც.

ქაღალდი — ქაღალდის წარმოების საიდუმლო მკაცრად დაცული სახელმწიფო საიდუმლო იყო. ქაღალდის შესახებ არაბებმა მხოლოდ 751 წელს გაიგეს ტალასის (ტალასის ველზე, მდინარე ტალასთან, დღევანდელი ყაზახეთისა და ყირგიზეთის საზღვარზე) ბრძოლის შემდეგ, როდესაც ჩინელი ხელოსნები შეიპყრეს, რომლებიც ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიის მცოდნეები იყვნენ. არაბების (ესპანეთსა და სიცილიაში) მეშვეობით ქაღალდი ევროპაში მე-11-12 საუკუნეებში გავრცელდა. მანამდე ევროპელები ძვირადღირებულ და იშვიათ პერგამენტზე (ცხოველის დამუშავებული ტყა-

ვი) წერდნენ. იაფმა ქაღალდმა შესაძლებელი გახდა წიგნიერების გავრცელება და საბოლოოდ, საბეჭდი მანქანის გამოგონებით

მოპარული ჩინური ინტელექტუალური საკუთრება

გუტენბერგმა რევოლუცია მოახდინა.

ჩაი — ათასობით წლის განმავლობაში, მსოფლიოში ჩაის ერთადერთი მწარმოებელი ქვეყანა ჩინეთი იყო. მე-18 საუკუნის ბოლოსთვის, ბრიტანული აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია წელიწადში 11 000 ტონაზე მეტ ჩაის იმპორტს ახდენდა. ევროპიდან ჩინეთში ყოველწლიურად უამრავი გემი მიემართებოდა, რომლებიც ესპანეთის კოლონიებში მოპოვებული ვერცხლით იყო დატვირთული. ისტორიკოსების შეფასებით, მე-18 საუკუნეში, ახალ სამყაროში მოპოვებული ვერცხლის მესამედი ჩინეთში ხვდებოდა ჩაის, აბრეშუმისა და ფაიფურის სანაცვლოდ.

მე-18 საუკუნის ბოლოსთვის, ბრიტანეთის სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან, წელიწადში 2-3 მლნ გირვანქა სტერლინგს აღწევდა. ეს გიგანტური თანხა იყო და მთელი სამთავრობო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

ამ მიზეზით, ბრიტანეთის „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში“ შოტლანდიელი ბოტანიკოსი რობერტ ფორჩუნი დაიქირავა ჩაის ბუჩქების მოსაპარად — ეს იყო სამრეწველო ჯაშუშობის ოპერაცია. ფორჩუნმა რამდენიმე ჩაის ბუჩქი მოიპარა, რის შემდეგაც ბრიტანელებმა ჩაის ფართოდ მოყვანა დაიწყეს ინდოეთსა და ცეილონზე, რომლებსაც ისინი აკონტროლებდნენ.

ფაიფური — ნამდვილი, მტკიცე, თოვლივით თეთრი ფაიფურის წარმოების ტექნოლოგია ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩინეთის საიდუმლოდ რჩებოდა.



ავგუსტუს „ძლიერმა“ პრუსიის მეფეს 600 დრაგუნისგან შემდგარი პოლკი ჩინური ფაიფურის კოლექციაში გაუცვალა, რომელიც 151 ნივთისგან შედგებოდა.

ევროპელებმა მისიონერმა ბერებმა, რომლებიც, ფაქტობრივად, ევროპის ჯაშუშები გამოდიან, შეაგროვეს ყველა ინფორმაცია, რაც ხელთ ჩაუვარდათ. მაგალითად, პორტუგალიელმა მისიონერმა გასპარ დე ჟუსუსმა მე-16 საუკუნის შუა ხანებში გამოაქვეყნა „ტრაქტატი ჩინეთის საოცრებების შესახებ“, სადაც ის ამბობს, რომ „რბილი თეთრი ქვა ნამცეცებად იჭრება, წყლით ივსება და დიდ ღარში ურევენ. ნარევიდან მიღებული თეთრი, კრემისებური ცომი საუკეთესო ფაიფურისთვისაა შესაფერისი.“

საქმე იის იყო, რომ ფაიფურისთვის დაახლოებით 1400 გრადუსი ტემპერატურაა საჭირო,

სადაც იმ დროისთვის სამი ათასზე მეტი ასეთი ღუმელი მოქმედებდა. ჩინური ენის შესანიშნავი ცოდნის მიუხედავად, მისიონერს მრავალი წელი და მრავალი ადგილობრივის ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევა დასჭირდა, რომ ფაიფურის წარმოების შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიეღო.

მისმა წერილებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელ მეთუნეებსა და მრეწველებზე ჯოსია ვეჯვუდზე. ფაიფურის მომავალმა ცნობილმა მწარმოებელმა თავის დღიურში რამდენიმე ამონარიდი გადაწერა ჩინეთში ფაიფურის ქარხნებში არსებული „კონვეიერის ლენტების“ შესახებ და მრავალი წლის შემდეგ ეს ინფორმაცია საკუთარი მანუფაქტურის შექმნისას გამოიყენა.

ისტორიკოსი რობერტ ფინლი წერს: „უნდა ვადიაროთ, რომ მე-18 საუკუნის ინდუსტრიული რევოლუცია თავის წარმატებას ნაწილობრივ ჯინგდეჟენის მეთუნეებს უნდა უმაღლოდ დავუბრუნო.“

ფრანგი მისიონერი მხოლოდ ფაიფურის ტექნოლოგიების ქურდობით არ იყო დაკავებული. მან შეადგინა რამდენიმე ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ამრავლებენ ჩინელები აბრეშუმის ჭიას, როგორ ამზადებენ ხელოვნურ ყვავილებს, როგორ იღებენ სინთეზურ მარგალიტებს, ვერცხლისწყალს და როგორ ამზადებენ ყვავილის საწინააღმდეგო ორალურ ვაქცინებს.

მხოლოდ მე-18 საუკუნის დასაწყისში, ალქიმიკოსმა იოჰან

რატესობა არ იძლევა გარანტიას ცივილიზაციის ლიდერობაზე. ისტორიკამ ბევრჯერ დაგვანახა, რომ პროგრესი მამინ გრძელდება, როდესაც არსებობს ღია გონება, კონკურენცია, საკუთრების დაცვა, სისტემური სტაბილურობა და კიდევ არაერთი ფაქტორი. ჩინეთი ტექნოლოგიურად ბევრად ადრე დაწინაურდა, მაგრამ იზოლაციაში, ბიუროკრატიულმა სტრუქტურამ და იმპერიულმა ზრახვებმა შეანელო მისი განვითარება. ტექნოლოგია წინსვლის პირობაა, მაგრამ არა საკმარისი...

ევროპელებს რას ვერჩი, მსოფლიოს სასიკეთოდ ქურდობდნენ, საქართველოს ქურდ მთავრობებზე რა ვთქვა, საკუთარ ქვეყანასა და ხალხს რომ ჰპარავდნენ და გადაბრუნებული ტყინები მათ დღემდე სამშობლოს მოყვარულებად ასაღებენ.

ფორდანიას ქურდმა მთავრობამ, რაც მე მახსოვს, საქართველოს სახელმწიფო ბანკიდან გაიტანა: 17 ტომარა ოქრო, 41 ტომარა ვერცხლი, 433 ტომარა ვერცხლის ფული, 17 ტომარა სპარსული ფული, ოქროსა და ვერცხლის ნივთების ერთი ყუთი, 388 ცალი ბრილიანტი, 100 ცალი წითელი ფირუზი... დანარჩენი ჩამონათვალი თავად მოიძიეთ. სააკაშვილის მთავრობამ კი რა და რამდენი მოიპარა, აგერ, ახლა იყო და სანამ ნაქურდალის მოწილეები ისევ იმ ადგილებზე იქნებიან, არც და ვერც ვერავინ აღრიცხავს...



ლოგიკური აზროვნების საზღვრები



ლოგიკა მეცნიერებაა სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. რასაც ჩვენ ლოგიკას ვუწოდებთ, იმას არისტოტელე ანალიტიკას უწოდებდა. ანალიტიკური აზროვნება გულისხმობს არსებული ფაქტების ობიექტურ, არგუმენტირებულ შეფასებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ნებისმიერი ფაქტის გამოწვევი მიზეზებისა და შედეგების გათვალისწინება პრაგმატულ, რაციონალურ ფონზე. თუ ადამიანს არ აქვს უნარი (ან არ სურს), რომ ობიექტური ვითარება, პირადი ემოციები, სურვილები და მოტივები განიჯნოს, ობიექტური ვერ იქნება და ანალიტიკაც ფუფე ექნება.

ანალიტიკა არ გულისხმობს მოვლენების დადებითი ან უარყოფითი ელემენტების გამოვლენას. ანალიტიკურად მოაზროვნებს არ ემინიათ იმ სირთულეების, რაც მათ აზროვნებას სხვადასხვაგვარად სდევს, მათ შორის, ლანძღვითა და სხვა სახის შეურაცხყოფებით მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრი რამ არის ისეთი, რაც ლოგიკურად ისეა, როგორც არ გვინდა, რომ იყოს, მაგრამ ლოგიკურად სწორედ ასე უნდა ყოფილიყო.

ვიწოდებთ, როდესაც ერთ ადამიანს მეორესგან რაღაც სწყინს, რომ დაფიქრდეს, ხშირ შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ ის, რაც წყინა, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ლოგიკურად ასეა სწორი, საკუთარ „არასწორობას“ კიდევ იმას უმატებს, რომ იმ მეორეს ამუნათებს, შენ მოიქეცი „ადამიანურში“ არასწორად. ლოგიკურად მოაზროვნე არასდროს აპყვება ალოგიკურ ადამიანს, რადგან მას უკვე ლოგიკური დასკვნა აქვს მიღებული, რომ მოაქეცე ლოგიკური აზროვნებისგან ძალიან შორს დგას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი ან სიტუაცია არც წარმოიშვებოდა.

მაგალითად, მე ვამბობ, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების უკან წადება, ამ ეტაპზე მაინც, არ მოხდება. რატომ და იმიტომ, რომ ამ ეტაპზე, ლოგიკურად, ასეა სწორი! ხაზს ვუსვამ — „ამ ეტაპზე“.

არავისთან კამათს არ ვაპირებ, საკუთარი თავი დაფიქრე რუსეთის ადგილზე და აქ მივყავარ ლოგიკას — რადგან ჩვენი სუსტი და თა-

ნაც, ვეღვაფრისადმი გაორებული მიდგომები პოლიტიკოლოგიაში ნდობის არანაირ საფუძველს არ იძლევა ამ ეტაპზე, შემდგომი პერსპექტივით, რუსეთისთვის რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა/დამყარება შესაძლებელია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების უკან წადების გარეშე, რადგან ეს რუსეთის ვერაზიული იდეოლოგიისა და გეოპოლიტიკური ხედვის ლოგიკური შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში რატომღაც ავიწყდებათ, რიცხვობრივად რამდენი ვართ, რა ფართობს მოიცავს საქართველო და რა ადგილზე მდებარეობს; ისიც ავიწყდებათ, რომ საქართველო თურქეთის ლუკმად მოიაზრება; ისიც, რომ საქართველოს გამო არავინ შეასკდება რუსეთს და კიდევ ბევრი რამ ავიწყდებათ — ლოგიკა საერთოდ თუ არსებობს, ან არ იცინა, ან არ ახსენდებათ, ან სულაც, არ უნდა, რომ გაიხსენონ. აუხსნელი რამ არის ასეთი მიდგომა საკუთარი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის მიმართ...

საერთოდ, „საქართველოსთან მეგობრობის სურვილი“ ისეთივე ყურით მოთრეული ფრაზაა, როგორიც მრავლად გვსმენია. საქართველოს მეგობარი ვერანაირად ვერ იქნება მეზობელთაგან რომელიმე, მით უმეტეს, მეგობარი ქვეყანა ვერ იქნება რეალურად ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით

მყოფი ქვეყანა. ის, რომ არ არსებობენ მუდმივი მტრები ან მუდმივი მეგობრობები, არსებობს მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების თანხვედრა, — როდისმე ხომ უნდა გავიგოთ?

ძველი დრო არ არის, თორემ ირანიც ხათაბლად გვეყოლებოდა გამხდარი, ახლა მხოლოდ ორი დიდი ხათაბლა გვყავს, თურქეთი და რუსეთი. ამ ორიდან, ბრიტანეთის მარადიული გოშია — თურქეთი, მხოლოდ საქართველოს გადაყლაპვანა გაფაციცებული, მით უმეტეს, რომ გეოგრაფიულად მთლად ზედ გვყავს მოკრული. რუსეთის ჩვენი გადაყლაპვა კი არ უნდა, მას სხვა მიზეზები აქვს, რომელშიც საქართველოსთან მეგობრობა საქართველოს მიერ გეოპოლიტიკური რეალობისა და მისი გავლენის სფეროს მიღებას ნიშნავს — რაც ლოგიკურია. სულ ეს არის და რა არის ამაში გაუგებარი და მიუღებელი, ვერაფრით გამიგია.

ესეც ლოგიკურია — აფხაზეთი და სამაჩაბლო (ნაკლებად) სტრატეგიულად მნიშვნელოვანია კავკასიაში. მათი აღიარება რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რეგიონში ნატო-სა და დასავლური გავლენების შეკავებას ემსახურება. ამ აღიარების გაუქმება რუსეთისთვის თავისი სტრატეგიული პოზიციების დასუსტებასა და დამარცხების აღიარებას ნიშნავს. მე რომ რუსეთი ვიყო, ამ ეტაპზე ვივაჭრებდი სამაჩაბლოთი, აფხაზეთს კი, რომელიც მნიშვნელოვნად ძვირფასია რუსეთისთვის, შევინახავდი...

ის, რომ თითქოს რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ხელოვნურ წარმონაქმნებში „ქართული ნაციონალიზმისგან“ იცავს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, თვითონაც კარგად იცის, რომ ცრუ არგუმენტად გამოითვლილი სიტყვის მასალაა...

რუსეთი კრებსით დასავლეთს მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ „მეგობრობა“ საქართველოსთან უნდა გულისხმობდეს იმის უარყოფას, რის გამოც ახლა ომია უკრაინაში. მე

რომ რუსეთი ვიყო, მხოლოდ იმის შემდეგ დაგაბრუნებდი აფხაზეთს, როცა დაერწმუნებოდი, რომ თავი ნამდვილად „ქუდში მაქვს“...

ერთი რამ მიკვირს — სად არის ლოგიკა იმაში, რომ ნატო-ს კარი მჭიდროდ მოხურული გვაქვს და კონსტიტუციაში მაინც ნატო-სკენ სწრაფვა გვიწერია, ხოლო სულთმობრძე ვეროკავშირის კალთაზე ვებლაუჭებით ხომ ვხედავთ, რომ „დასავლური პროექტი — საქართველო“ თვითონვე ჩამოეშალათ „დამპროექტებლებს“, ამას საქართველოში რატომ ვერ აცნობიერებენ ისინი მაინც, ვინც უნდა აცნობიერებდეს? ხომ კარგად გა-

ლისწინებით, ის ამას შეძლებს ჩვენი გავლენის სფეროში. მე არაფერს გაძლებთ, მე მხოლოდ თვალს გიხელო, რომ კარგად დაინახოთ, რა განსხვავებაა ჩვენსა და ბრიუსელ-ვამინგტონს შორის; აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი ახირება კი არის, ფირინოუსის თქმისა არ იყოს, მუქთამგამელებად გვყავს აკიდებული, მაგრამ გვიღირს იმდენად, რამდენადც მდებარეობის გამო გვჭირდება ის პატარა წერტილები, რომლებიც მსოფლიო რუკაზე წერტილადაც კი არ ჩანს.

მე რომ რუსეთი ვიყო, ერთი რამ მენდომებოდა საქართველოსგან — მომამშროს ჩემს სამხრეთ საზღვ-



მოჩნდა, რას ემსახურებოდა დასავლეთის მიერ „საქართველოს პროექტობა“? რა დანიშნულების იყო საქართველოში შემოდინებულ რაღაც მილიარდები, თან რომ დაგვაყვედრეს, ისიც კარგად დავინახეთ და საერთოდ, პირადად მე, სანამ არ დავინახავ, რომ საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის „გროშს“ არ დებს ვინმე და საქართველო ქართველებისთვის არ უნდა, არც არავის მივიჩნევ საქართველოზე მზრუნველად!

მოკლედ, „ოცნების“ ძალისხმევით არ გამოვაყენებინეთ საქართველო რუსეთის სატყუარად და ახლა რას ვმზრებთ, რამდენ ხანს უნდა ვწონოთ, ქიცი გვიჩვენია ქიცმა-სულის ბერვაში, რომ არც მწვადი დავწვავთ და არც შამფური... ლოგიკურია, რომ შენი ასეთი ორჭოფობის ფონზე რუსეთი არ მოგცემს იმას, რაც მისი უსაფრთხოებისა და საერთო ვერაზიული სივრცის ინტერესებს ემსახურება.

ლოგიკა არ სჭირდება იმას, რაც ხელისუფლებამ დევს — რუსეთი გვეუბნება: თუ პატარა საქართველო გადაწვევს, რომ იყოს ძლიერი, სუვერენული, ტრადიციული ფასეულობების მქონე ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო, არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვა-

რებთან ნატო-ს ბაზების განთავსებაზე ფიქრი!

ახლა არ მითხრას ვინმემ, ნატო-ში არ ვართ, არც გვიღებენ და რომელიც ნატო-ს ბაზების განთავსება?

რომ არ გიღებენ და არც მიგიღებენ, მაგრამ მუქთა ხორცად რომ უნდინარ, ამის შეგნება ხომ უკვე უნდა გქონდეს... ნატო-ს მისიებში, ე. წ. ცხელ წერტილებში შეჭირული ჩვენი ვაჟკაცი ბიჭების სიკვდილის შედეგი რა არის, რომ ახლა ცხელ წერტილ უკრაინაში უნდა შეჭირულიყვნენ ნატო-ს, რადგან ამით საქართველოში თურმე დემოკრატის დაიცავდნენ და რუსეთს კისერს მოუგრუნდნენ?

იმაზე „არა ომს!“ და კვლავ იმტერავე „ნატო-ს წვრთნებში“ — ჯერ გივებს ის რუსეთი და რაღაც დრომდე გავიგებს, მაგრამ ამოუვა იმასაც ყელში და წამოგარტყამს, შენ მართლა შტერი ხომ არ ხარ, რა გინდა, დროზე ჩამოყალიბდიო...

იმ პატიოსანი ამერიკელი ჯეფერი საქისისა არ იყოს, საქართველოს რუკას დახედეთ! ახლა თვალი გააყოლოთ და ირანს დახედეთ, რა ხდება სამი მხრიდან მის გარშემო — ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი ან სპარსეთის ყურის გადაღმა საუდის არაბეთი, ნატო-ს წვერი ქვეყანა რომელია, ნატო-ს სამხედრო ბაზები რომ არის განლაგებული?



ამიტომაც აქვს დართული სარკაზმული წარწერა: „ირანს ომი უნდა! შეხედეთ, რა ახლოს განათავსეს საკუთარი ქვეყანა ამერიკულ სამხედრო ბაზებთან!“

ირანისგან განსხვავებით, ჩვენ ასეთი წარწერა გვინდა? — „საქართველოს ომი არ უნდა! შეხედეთ, პირდაპირ საქართველოში განათავსეს ამერიკული სამხედრო ბაზები!“

სამარცხენოდ სატირალი ამბავი იქნება, არადა, დასასრული ლოგიკური უნდა იყოს, პრაგმატული და სა-ქართველო და არა სარუსეთო ან სა-დასავლეთო...

ვერობამ რომ თავზე სიბინძურის ქაფი მოიგდო მკვლევების, მეძავეების, მოძალადეების, ავანტიურისტების, უსაქმურებისა და უარყოფითი შინაარსის მქონე ყოველგვარი „უ“ თავსართის მქონეებით და ა. შ. სხვადასხვა მიზნითა და განზრთით თავგადასავალი მაძიებლების სახით, მათი და მათივე შთამომავლების შექმნილია აშშ. ასე რომ, აშშ მტაცებელი და მოძალადე იყო და ასეთი იქნება ყოველთვის და ეს ლოგიკურია...

ერთი რამ უნდა გაიგოს ყველა ადამიანი ვეღვაქვეყანაში, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოთაგან მიზანში ამოღებულგან, რომ მისგან რაგინდ შორ წერტილში ხდებოდეს რაღაც მნიშვნელოვანი, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც შეეხება მას.

ირანზე იმ დროისთვის უკვე გადამდგარი სამხედრო ოფიცერი, სამხედრო ანალიტიკოსი პოლკოვნიკი რაღვ პეტერსი გამახსენდა, რომელიც, ჩვენთან რომ ე. წ. ვარდების რევოლუცია მოახდინა იმავე აშშ-მა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ვაშინგტონის „შოკისა და შიშის“ სტრატეგიის „საბრძოლო თეორიას — მოკლედ, მოწინააღმდეგის გაოგნებისა და შიშის შექმნის საუკეთესო საშუალებად დღემდე რჩება მისი მოკვლა. ვინც პოლიტიკური მოსაზრებით აწარმოებს ანტიმემორიკურ ომებს, ვურჩევ, საერთოდ არ დაიწყო ომი. ამის გამო მასსოფდა ეს კაცი და 2006 წელს კიდევ უფრო გამაოცა, როდესაც მისი რუკა „უკეთესი ახლო აღმოსავლეთი“ დაფუთავდა.

საქმე ის არის, რომ სულაც ტალახში გორაობა რომ მოისურვო, თანამოაზრეს მაინც იპოვი. ასე რომ, დაფასებულმა სამხედრო პოლკოვნიკმა რომ რაღაც გზა „გამონახა“ სტაბილური და სამართლიანი რეგიონის შესაქმნელად, არ უნდა იფიქრო, რომ მას თანამოაზრეები არ ჰყავდა, ან არ ყოფილა. ის სხვა საკითხია, რომ არასდროს არაფერი უნდა ესაქმებოდეს ერთი კონტინენტის რომელიმე სახელმწიფოს მთელი კონტინენტის მოწყობა-დანერგვაში.

აბა, ვნახოთ, მისი რუკის მიხედვით, რა უნდა განზორციელდეს ახლო აღმოსავლეთში „სიმშვიდისთვის“:

ერაყის დაშლა სამ ნაწილად, შიიტურ ერაყად, სუნიტურ ერაყად და ქურთისტანად;

საუღის არაბეთის შემცირება: მისი ტერიტორიის ნაწილი გადადის იემენის, იორდანისა და ახალი სახელმწიფოს „წმინდა ისლამური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში;

სირიის შემცირება: სირიის ტერიტორიის ნაწილი გადადის ლი-

ბანის, ერაყისა და ახალი სახელმწიფოს, „დიდი ლიბანის“ შემადგენლობაში;

ქურთისტანის შექმნა: იქმნება ახალი სახელმწიფო ქურთისტანი, რომელიც მოიცავს თურქეთის, ერაყის, სირიისა და ირანის ტერიტორიებს;

ბელუჯისტანის შექმნა: იქმნება ახალი სახელმწიფო ბელუჯისტანი, რომელიც მოიცავს პაკისტანის, ირანისა და ავღანეთის ტერიტორიებს.

ამ რუკის გამო იმხანად დიდი ხმაური ატყდა, აშშ-ის იმპერიალუსტური ზრახვებია ახლო აღმოსავლეთში, პეტერსი კი ამტკიცებდა, აშშ არაფერ შუაშია, ეს მხოლოდ ანალიტიკური ვარაუდია, რადგან არსებული საზღვრები ხელოვნურია და არ ასახავს რეგიონის ეთნიკურ და რელიგიურ (სექტურ) რეალობას. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მის რუკაზე მშვიდობა კი არა, მთელ ახლო აღმოსავლეთში ყველანაირი შუღლის გაღვრება და დიდი სისხლისღვრა დაგინახე „დახოცონ ერთმანეთი“-ს საფარქვეშ...

ჰოდა, შენ, პატარა საქართველო, იმ სადავლი რუსეთის ფაქტორი რომ არ აკავებდეთ, შენ ვერ გაგწაყვანდნენ აქამდე? — ამას როდის აღიარებენ „პატარა კახზე“ დიდი საქართველოს პატრიოტები, ნეტავ?

როგორც ვხედავ, დასავლურ დიპლომატიაში მკვეთრი გარღვევა კი არა, დიპლომატიის სრული უარყოფაა. ცხადია, „დასავლურ დიპლომატიაში“ ჩესტერფილდის, ტალიერანისა და სხვათა დიპლომატიურ ვეროპას ვგულისხმობ, თორემ ამერიკა და დიპლომატია, პენრი კისინჯერის თამადობით, „აქლემისა და პადუსკების“ ამბავია, არც გაუგია როდესმე და არც დაინტერესებულა, მხოლოდ და-


ლის და შიშის ენა იცის, რომელთაც თანამედროვე ვეროპის ე. წ. დიპლომატია აეკიდა გონორეასავით და აშშ-ისგან იქით აიკიდა ყველანაირი უკეთურობა.

აქამდე ამ ორ სუბიექტს ვერც დაელაპარაკებოდი ძაღლის გარეშე, თარჯიმანი მხოლოდ დაბომბვა იყო, ახლა მედღეგვალე ტრამპმა არაა „მსოფლიო წესრიგის“ დალაგებული „კარტები“. ამ მოცემულ ფონზე აშკარად გამოჩნდა, რამდენად დიდი განსხვავებაა ამერიკულ, ვეროპულ, რუსულ, ჩინურ და, ზოგად, აღმოსავლურ დიპლომატიურ ენებს შორის. თურქეთი არ ვახსენე, რადგან ტრადიციულად პირფერ თურანულ სამყაროს მრავალი პირი აქვს, კონკრეტულად დღევანდელ თურქეთს კი „ჯეკ მფატრავის“ სუნი სდევს, რომელიც ჩემს გენეტიკურ მენსიერებაში „დიდი თურქობად“ ყარს...

ვლადიმირ პუტინი აქამდეც ბევრს შეხვედრია და მომავალიც ბევრს შეხვდება, მაგრამ ჩვენს გასაკუთბელ საქმეს საჩვენოდ არაფერ გამოაწყო. ჩვენ ვიცით, რა უნდა რუსეთს ჩვენგან — იმედიანად ყოფნა, რომ არასდროს ჩავერთვებით მისი ინტერესების წინააღმდეგ არანაირ ავანტიურაში. რუსეთმა კი მხოლოდ ის იცის, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება გვინდა, აქ ვამთავრებთ და ამას ისეთი ფორმით ვლაპარაკობთ ზურუსუკან, რომ, ფაქტობრივად, დალაპარაკებაზე ვუყენებთ ულტიმატუმს — მოლაპარაკება იფინება, რადგან საქართველოს მხარის ლოგიკა ნულზეა!

ვერ გავიგე, პრობლემა საიდან მოდის, გაყინული თუ გახურებული თავებიდან — ფაქტი ერთია, თავი მხოლოდ ბალიშზე დასადებად არ უნდა გეგბას...

მანია ჭყელიძე



რა უნდა ვიყოლით კულტურული მემკვიდრეობის ქაზლთა დახვის შესახებ

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება

ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს და მოეხსნას მხოლოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სათაბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე - საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

ქაზლის სტატუსის მოხსნა

ძეგლის სტატუსის მოხსნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების

- ინდივიდუალური დამცავი ზონა;
- ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი;
- ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი;
- ზოგადი დამცავი ზონა;
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;
- განაშენიანების რეგულირების ზონა;
- ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;
- არქეოლოგიური დაცვის ზონა.


წინაპირობები, როდესაც დასაშვებია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელება

საქართველოს კანონმდებლობით, დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან არ უქმნის საფრთხეს, არ ამცირებს მის კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას, არ

იწვევს მისი ავთენტური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს ძეგლის აღქმას. მესაკუთრის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი საშუალებების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები, ან, თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

რემონტი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე უძრავ ქონებაზე რემონტის ჩატარება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების შემთხვევაში, ნებართვას საჭიროებს შენობა-ნაგებობის ყველა სახის სარემონტო და მოპირკეთებითი, მათ შორის, ფასადისა და სახურავის სამუშაოთა შესრულება, გაბარიტებისა და იერსახის არსებითად შეცვლის გარეშე. მესაკუთრეს შიდა რემონტის დროსაც სჭირდება ნებართვა შესაბამისი სამსახურიდან. ამასთან, დაუშვებელია შენობის გაბარიტების ან იერსახის შეცვლა ნებართვის გარეშე.

მესაკუთრის თანხმობის გარეშე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ჩატარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე, თავად ჩაატაროს სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლს ან არქეოლოგიურ ობიექტზე, ანდა ეს სამუშაოები სხვა პირს დაუკვეთოს, თუ: ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს/მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესრულებას, ხოლო ძეგლის ინტერესები გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) დადგენა ან მიგნება ვერ ხერხდება, სამინისტრო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, მესაკუთრის (კანონ-



მსოფლიო პარაფიტიზმი

ღარიბები ყოველთვის მდიდრებს ამდიდრებენ, ნეტავ, რატომ?

შესავლის გარეშე არაფერი გამოვა!

ვინც საბჭოთა დროს სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში, აუცილებლად ექნება გავლილი ისეთი საგნების კურსი, რაც ახლოსაც არ მის არჩეულ პროფესიასთან. არადა, ყველა ამ დისციპლინაში გამოცდა იყო. რა თქმა უნდა, არავინ არ ვსწავლობდით ამ საგნებს, მაგრამ გაგიკვირდებოდა და, ისე მაინც ვაბარებთ, რომ სტიპენდია არ დაგვეკარგა. ეს რანაირად ხდებოდა, სხვა საკითხია. მე იქით მივდივარ, რომ მუდმივად ვაპროტესტებდით ამ საგნების ჩვენთვის სწავლებას. მაგალითად, გასაგებია, მეცკომი (მეცნიერული კომუნისმი), საბჭოთა კავშირის და სავალდებულოა, მაგრამ რა ჯანდაბად გვინდა დიამატი (დიალექტიკური მატერიალიზმი) და პოლიტიკონომია, ეკონომისტები ხომ არ ვართო?

ჩემ გვერდით ცხოვრობდნენ პროფესორი, პოლიტიკონომისტი ევგენი კანდელაკი და მისი ვაჟი ოთარი, ასევე ეკონომისტი, რომელიც აშშ-ში კითხულობდა ლექციებს პოლიტიკონომიაში — ერთი ბიძა იყო და მეორე ბიძაშვილი. ჩემთვის ორივე „ეკონომიკის პროფესორი“, ყოვლად უინტერესო, უმაქნისი, მხოლოდ სალაყბო საგნის პროფესიონალები იყვნენ.

კის ტრაქტატი“ გამოჩნდა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბაზაზე აღმოცენდა სხვადასხვა ეკონომიკური მიმდინარეობა. მათგან ერთ-ერთი იყო მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, რომელიც საპროგრამო დოკუმენტად იქცა სოციალისტური საზოგადოების აშენების მსურველი ქვეყნებისთვის. ამას დაუკავშირდა ლენინის თეორია და ჩამოყალიბდა მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია, რასაც, გვინდოდა თუ არა, გვაიძულებდნენ, რომ ყური მაინც მოგვეკრა. ვინც „მოუკარით ყური“, გავიგეთ, რომ ის თურმე ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილია კაპიტალიზმის, ხოლო მეორე — სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია. მოკლედ, წავგვამეს ტვინი მარქსის „კაპიტალიზმი“ და ლენინის „იმპერიალისტური თეორიით“.


XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია ჩანოდა და დასავლური თეორიებს დაუთმო ადგილი. თანამედროვე ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ გულისხმობს იმ პოლიტიკური ფაქტორების კვლევას, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მოქმედებს. ახალი „პოლიტიკური ეკონომია“ შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების კანონზომიერებებს, ურთიერთკავშირს პოლიტიკური საქმი-

შეაჩერა. ისევე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაშიც მიმდინარეობს კამათი ნეორეალისტურ, ნეოლიბერალურ და რადიკალურ მიმდინარეობებს შორის.

„მარქსისტული პოლიტიკონომია“ იქნება, „ნეოკლასიკური პოლიტიკონომია“, კენზიანული თუ ლიბერალური, პირადად მე მაინც იქამდე მივალ, რაც ლონდონის ეკონომიკური სკოლის ანთროპოლოგიის პროფესორმა ჯეისონ პიკელმა თქვა, „გარდინამ“ გამოაქვეყნა, მე კი შევეცდები, მარტივ ენით და მოკლედ გადმოგცეთ.

„დღემდე გვეხმის, რომ მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს ეხმარებიან; რომ დასავლური ქვეყნები, კოლონიალიზმის პერიოდში, შესაძლოა, გამდიდრდნენ, მაგრამ ეს იყო წარსულში. ამჟამად ეს ქვეყნების ყოველწლიური დახმარების სახით მილიარდობით დოლარს გასცემენ. იმდენი საქველმოქმედო ორგანიზაციაა და მსოფლიოს იმდენი მდიდარი მთავრობაა „ქველმოქმედის მანტიამოსხმული“, სამტკიცებელი აღარაფერია, მაგრამ რომ არის?!“ — ამბობს ჯეისონ პიკელი და მხარს ვუბამ მას, თუცა, სრულებით არ მქონდა წარმოდგენა ასეთი პიროვნების არსებობის შესახებ, როდესაც იგივეს ვამბობდი.

აშშ-ის გლობალურმა ფინან-



მე წლის მონაცემებს მოგაწვდით, სხვა წლებსა თქვენით მოიძიეთ. ანდა, რა აზრი აქვს, არსი იგივე იქნება — მაგალითად, მონაცემების მიხედვით, 2012 წელს, განვითარებადმა ქვეყნებმა მთლიანობაში მიუღეს 1,3 ტრილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც მოიცავს ყველა ფინანსურ დახმარებას, ინცესტიციას და შემოსავალს საზღვარგარეთიდან. იმავე წელს 3,3 ტრილიონი ამერიკული დოლარი გაედინა უკანა გზაზე. ყველაფერს რომ კუთვნილი სახელი დავარქვავთ, ეს ასე გადმოიცემა — განვითარებადმა ქვეყნებმა 2 ტრილიონი დოლარით მეტი გააგზავნეს დანარჩენ მსოფლიოში, ავდრე მიიღეს!

სამხრეთ აფრიკის ოქროს მალარობიდან.

როგორც ვთქვით, გადინებების გაცილებით დიდი ნაწილი აღურიცხავია და, როგორც წესი, უკანონო კაპიტალს წარმოადგენს. GFI-ის გამოთვლებით, 1980 წლის შემდეგ, განვითარებადმა ქვეყნებმა აღურიცხავი კაპიტალის გადინების შედეგად 13,4 ტრილიონი დოლარი დაკარგეს.

აღურიცხავი კაპიტალის უდიდესი ნაწილი საერთაშორისო სავაჭრო სისტემის გზით გაედინება. უცხოური და ადგილობრივი კორპორაციები ანგარიშფაქტურაში უთითებენ არასწორ ფასებს, რათა განვითარებადი ქვეყნებიდან მიტაცებული ფულადი რესურსები საგადასახადო თავშესაფრებსა და საიდუმლო იურიპრუდენციებში გადაძალდონ. აღნიშნული პრაქტიკა „ფულის გათეთრების“ სახელწოდებით არის ცნობილი. მაგალითად, 2012 წელს განვითარებადმა ქვეყნებმა დაკარგეს 700 მლრდ ამერიკული დოლარი სავაჭრო ანგარიშფაქტურებში არასწორი ფასის მითითების გზით, რამაც აღნიშნულ წელს მიღებულ დახმარებებს ხუთი პარამეტრით გაუსწრო.

ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებადი ქვეყნებიდან ფულს ასევე იპარავენ იგივე „ინვოისების“ გაყალბების გზით, როდესაც თავიანთ შვილობილ კომპანიებთან ერთად მოგებას იღებენ უკანონო ანგარიშფაქტურის ფასის ორმხრივად გაყალბების გზით. მაგალითად, შვილობილმა კომპანიამ ნიგერიაში, შეიძლება გვერდი აუაროს ადგილობრივ გადასახადებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე მდებარე შვილობილი კომპანიისთვის ფულის გადაცემის გზით, სადაც გადასახადები ნაკლებია და გადარიცხული თანხის გაკონტროლებაც არ ხდება.

როგორც ჯეისონ პიკელი ამბობს: „განვითარებადი ქვეყნები, მათ მიერ დახმარების სახით მიღებულ ყოველ 1 ამერიკულ დოლარზე კარგავენ 24 დოლარს. ეს გადინებები განვითარებადი ქვეყნებს აკარგვინებენ განვითარებისათვის საჭირო შემოსავლისა და ფინანსების მნიშვნელოვან წყაროს. GFI-ის მონაცემების მიხედვით, მზარდი ხასიათის წმინდა გადინებებმა განვითარებადი ქვეყნებში გამოიწვიეს ეკონომიკური ზრდის შემცირება, რაც პირდაპირ აისახება ცხოვრების დონის შემცირებაზე.“



მათ, თავის მხრივ, ის უკვირდით, გონებაგანხილ ახალგაზრდას რატომ არ მესმოდა ზემოთხაზოთვილი საგნების ზოგადი სწავლების აუცილებლობა.

დღეს აღარც ჩემები არიან და აღარც არავის აიულებენ ზემოთხაზოთვილი საგნების მოსმენას, მაგრამ მე კი გამახსენა სათქმელმა და შევეცდები, მაქსიმალურად მარტივი ენით გადმოგცეთ.

ტერმინი „პოლიტიკონომია“ მე-20 საუკუნემდე გამოიყენებოდა სახელმწიფოში წარმოების პროცესების ორგანიზების შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნად, რომელიც შემდგომ შეიცვალა ტერმინით „ეკონომიკა“. ამ სიტყვაზე, ბრეჟნევის ნათქვამი პოპულარული ლოზუნგი გამახსენდა — „ეკონომიკა დოლგხა ბიც ეკონომია“.

ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ ფრანგმა მოკრეტივმა შემოიღო 1615 წელს, როდესაც მისი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომი-

ანობის პრაქტიკულ ასპექტებსა და წმინდა ეკონომიკურ თეორიას შორის.

ახლა რა ხდება — გაჩნდა „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“.

მომიტევონ „ეკონომიკის მამებმა“, მაგრამ ამ დრომდე ისინი მხოლოდ მოაზროვნე უსაქმურებად მიმაჩნდა, მხოლოდ ბრეტონ-უდსის სისტემით დაინტერესებამ შემაცვლევინა აზრი. მოკლედ, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობას ხელი შეუწყო ბრეტონ-უდსის სისტემის ფორმირებამ და საერთაშორისო დახმარების განვითარებამ, რამაც უფრო მწვავედ დააყენა საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკური პროცესების ზეგავლენის პრობლემა. ეკონომიკისა და პოლიტიკის ცალცალკე, გამიჯნულად შესწავლის უარყოფითი ტენდენცია, ერთგვარად, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის გამოცოცხლებამ

სურმა ერთიანობამ და ნორვეგიის ეკონომიკის სკოლის გამოყენებითი კვლევების ცენტრმა გამოაქვეყნეს შთამბეჭდავი მონაცემები. მათ დათვალეს ყველა ფინანსური რესურსი, რომელიც ყოველწლიურად მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბ ქვეყნებს გადაეირიცხა. ეს მონაცემები მოიცავს არა მხოლოდ ფულად დახმარებებს, უცხოურ ინვესტიციებსა და სავაჭრო ნაკადებს, არამედ არაფინანსურ ტრანსფერებსაც — ვალის ჩამოწერა და ცალმხრივი ტრანსფერები, როგორცაა შრომელთა ფულადი გზავნილები და აღურიცხავი კაპიტალის გადინება, რაც ბოლო პერიოდში სამაოდ გაიზარდა.

მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფულადი ნაკადები მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბი ქვეყნებისკენ უნიშვნელოა იმ ნაკადებთან შედარებით, რაც უკან მოედინება!

მე მხოლოდ ერთი რომელი-

ვინ არის დამნაშავე ამ უბედურებაში?

რამდენად კაპიტალის უკანონო გადინება არის აღნიშნული პრობლემის მთავარი ნაწილი, პრობლემის მოგვარებას აქედან უნდა დაიწყო. კომპანიები, რომლებიც იტყუებიან ანგარიშგაქვრებში, არიან აშკარა დამნაშავეები, მაგრამ რატომაა მათთვის ასე ადვილი აღნიშნული ვითარებისათვის თავის დაღწევა?

წარსულში, საბაჟოს თანამშრომლებს შეეძლოთ შეეჩერებინათ ტრანზაქციები, რომლებიც საეჭვოდ გამოიყურებოდა, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა მათ მოტყუებას. მაგრამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ ყოველივე ეს ვაჭრობას ხდიდა არაფექტურს. ამიტომ, 1994 წლიდან საბაჟოს თანამდებობის პირებს მოეთხოვებათ, რომ ინვოისში მოცემული ფასი მიიღონ ნომინალურ ღირებულებად გარდა ძალიან საეჭვო შემთხვევებისა, რაც ართულებს უკანონო გადინების ფაქტების გამოვლენას.

მიუხედავად ყველაფრისა, კაპიტალის უკანონო გადინება ვერ განხორციელდება საგადასახადო თავშესაფრების გარეშე. როდესაც საქმე ეხება საგადასახადო თავშესაფარს, დამნაშავეების იდენტიფიცირება რთული არ არის: მსოფლიოში არსებობს 60-ზე მეტი მათგანი და მათი უმეტესი ნაწილის კონტროლირება ხდება დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის მიერ. არსებობენ ევროპული საგადასახადო თავშესაფრები, როგორცაა ლუქსემბურგი და ბელგია. ასევე საგადასახადო თავშესაფრები აშშ-ში — დელავერი და მანჰეტენი. საგადასახადო თავშესაფრის უდიდესი ქსელის ცენტრი არის ლონდონის სიტი, რომელიც აკონტროლებს

საიდუმლო იურისპრუდენციებს ბრიტანეთის სამეფოზე დამოკიდებულ ზღვისგაღმა ტერიტორიებზე. ზოგიერთი ქვეყანა, რომელთაც ძალიან უყვართ საუბარი მათ მიერ განხორციელებულ ფინანსურ დახმარებებზე, არიან სწორედ ისინი, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებს მასობრივად ქურდავენ.

ღარიბი ქვეყნებს არ ესაჭიროებათ ქველმოქმედება. მათ ესაჭიროებათ სამართლიანობა!

ჩვენ შეგვეძლო ჩამოგვეწერა ჭარბი დავალიანებები ღარიბი ქვეყნებისათვის და მიგვეცა მათთვის თავისუფლება, დაეხარჯათ თავიანთი ფული განვითარებაზე, ძველ ვალებზე სპაროცენტო განაკვეთის გადახდის ნაცვლად;

შეგვეძლო გაგვეუქმებინა საიდუმლო იურისპრუდენციები და დაგვეჯარიმებინა ბანკირები და ბუღალტრები, რომლებიც ხელს უწყობენ ფულად სახსრების უკანონო დინებას;

ჩვენ შეგვეძლო დაგვეწესებინა გლობალური მინიმალური გადასახადი კორპორატიულ შემოსავალზე, რაც გამორიცხავდა კორპორაციების განზრახვას, საიდუმლოდ გადაიტანონ თავიანთი ფული მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ვიცით, როგორ მოვაგვაროთ პრობლემა, მაგრამ მისი განხორციელება ეწინააღმდეგება ძალიან ბევრს მქონე ბანკებისა და კორპორაციების ინტერესებს, რომლებიც მნიშვნელოვან მატერიალურ სარგებლებს იღებენ არსებული სისტემიდან.

კითხვა კი მდგომარეობს შემდეგში: გვაქვს კი გამბედაობა?

ამ პროფესორს პირადად რომ ვიცნობდეთ, კარგ აღიფურს ვაჭმევდი — ვის უნდა ჰქონდეს გამბედაობა? ლონდონის იმხელა ეკონომიკური სკოლა იქ აქვთ, აშშ-ის

„გლობალური ფინანსური ერთიანობა“, ნორვეგიის ეკონომიკის სკოლა, მტკიცებულებები და რაც კი რამეა საჭირო გამბედაობისთვის და ვისგან ითხოვენ გამბედაობას?

ჩემი წილი გამბედაობა რომ მაქვს, სწორედ ამიტომ, მიუხედავად არაპოპულარული აზრებისა, მაინც ჩემსას ვამბობ: რას აპყობიან „ჩვენები“ მძარცველ დასავლეთს, „ძალიან-ძალიან“ გვეხმარებოდნენ და გვეხმარებოდნენ? მათთან არც პოლიტიკა გვაქვს და არც ეკონომიკა, მათ ჩვენ მიმართ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ — საინტერესო ტერიტორია ვართ. ან ის რა აჩემბაა, რომ მსოფლიოში ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ერთ-ერთი ქვეყანა ვართ? კი, ვართ, მაგრამ ჩვენდაწილად და არა იმდენად, რომ მსოფლიო ტაციაობა ჰქონდეთ ჩვენს გამო...


პოლიტიკონომიისა და დასავლეთის მძარცველობისა მოკლედ ვთქვით, ახლა ისიც ვთქვათ მოკლედ, ეკონომიკა პოლიტიკის მიღმა რანაირად გვაქვს. ათასჯერ გავიმეორებ, რომ საქართველოს ოთხივე გეოგრაფიულ მუხბელს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები; მათგან ერთს, ფაქტობრივად, სამუდამოდ, ორს კიდევ შეიძლება რამე მოუხერხო მეოთხეს დახმარებით და თვით მეოთხეს — დროებით. ოკუპანტ რუსეთზე ძველი და დიდი ოკუპანტი თურქეთია.

მხოლოდ რატომღაც ერთადერთ ადარებულ ოკუპანტზე, რუსეთზე ვთქვათ — მიუხედავად „ოკუპანტის“ ძახილისა, რეალობა გვიჩვენებს, რომ პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის ზღვარის გაღება რეალურად ბევრად უფრო რთულია, ვიდრე წარმოდგენაშია. ფაქტია, რომ 2022 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. მხოლოდ იმპორტის მხრივ საქართველომ რუსეთიდან 1,8 მლრდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია შეიძინა, რაც ქვეყნის მთლიანი იმპორტის ერთ-ერთ წამყვან წილად იქცა. ამავდროულად, რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანის წილი.

ბრიტანეთი ნიგერიას მარცვავესო, — მე მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს 2012 წლიდან, — ვინც საქართველოს სტრატეგიული ობიექტები უცხო ქვეყნებზე გაასხვისა, მათ შორის, მეტწილად ოკუპანტ რუსეთზე, პასუხი რატომ არ მოეთხოვება? ან როდის მოეთხოვება? — ეს ხომ საკუთარი ქვეყნის მარცვავეა!!!

ეკონომიკური პრაგმატიზმი პოლიტიკურ რეალობაში — ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება არ ნიშნავს პოლიტიკური კურსის შეცვლას. ეს არის პრაგმატული მიდგომა, რომელიც ეკონომიკური უსაფრთხიების საჭიროებასა და შიდა სტაბილურ უზრუნველყოფას ეფუძნება. მსგავსი მიდგომა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აქვს, როდესაც პოლიტიკური ფონი დაძაბულია. აგერ არის რუსეთიც და ევროპაც, დღემდე რუსულ ენერჯორესურსებზე არიან ჩამოკიდებული და ძველებურად ახორციელებენ შესყიდვებს.

„ეკონომიკა“ მეურნეობის მართვას ნიშნავს, „პოლიტიკა“ — სა-



ხელმწიფოს მართვის ხელოვნებაა. შესაბამისად, პოლიტიკონომია სახელმწიფოს სრული მართვაა.

არაერთი ფილოსოფოსი ცდილობდა აეხნა, რატომ არის ზოგი ქვეყანა მდიდარი და ზოგი აბსოლუტურად დატაკი, — ვფიქრობ, ესეც დაგაინტერესებთ.

ვხედავთ, რომ მდიდარ ქვეყნებში ფულის დიდი რაოდენობა ტრიალებს. ქვეყანაში ფულის რაოდენობა იზრდება მაშინ, თუ წარმოებული პროდუქცია სხვა ქვეყნებში გადის. თუ არ გადის, მაშინ ფული ხელიდან ხელში გადადის და მისი რაოდენობა არ მატულობს. მაშასადამე, საქართველო რომ გამდიდრდეს, აუცილებელია, გავზარდოთ ექსპორტი და შევამციროთ ექსპორტი. ვინც ამ მოსაზრებას იზიარებს, მათ მერკანტილისტები ეწოდებათ, — „მერკანტი“ იტალიურად ვაჭრს ნიშნავს. ჰოდა, პირადად მე, დიდი მერკანტილისტი ვყოფილვარ და იმასაც მივხვდი, რატომ გავგაჩინავენ საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები და ზედსოფლის მეურნეობა დაურთო სააკაშვილის ბენდუქიმემ, — გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამომხუნლად გავგადარებეს!

საინტერესო ამბავია — მაგალითად, ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა კვირაში ორი „თევზის დღე“ დააწესა, ამ ორ დღეს ხორცის გაყიდვა იკრძალებოდა — გასაგებია, რომ ამ დღეებში თევზზე მოთხოვნილება იზრდებოდა. საბჭოთა კავშირშიც გვექონდა „თევზის დღე“, მაგრამ მხოლოდ ერთი დღე იყო და არც ხორცის გაყიდვა იკრძალებოდა, „ჯანმრთელობის ევიდის ქვეშ“ დაწესდა. დედოფალმა ინგლისურ შალზე მოთხოვნილების გასაზრდელად ბრძანება გასცა, რომ მიცვალებულის დაკრძალვა მხოლოდ შალის ტანსაცმლით შეიძლებოდა...

მეცნიერებს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მიწა და მიწაზე მოყვა-

ნილი პროდუქტი ქმნიდა სიმდიდრეს და ითხოვდნენ გლეხების წახალისებას, ფიზიოკრატები (ბუნებურ ძალაუფრადნი) ეწოდებოდათ.

მერკანტილისტები და ფიზიოკრატები კი მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ სხვათა მარცვის გარდა, სხვა გამდიდრების უტყუარი გზა ვერ აღმოაჩინეს...

აღამ სმიტმა „აღმოაჩინა“ და დასკვნა, რომ სიმდიდრის საფუძველია შრომა. თუ ადამიანი შრომობს და მისი შრომა მხოლოდ მის არსებობას აკმაყოფილებს, მაშინ სინდიდრე არ იქმნება. ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ მან არ უნდა აკეთოს ყველაფერი, რაც სჭირდება, არამედ, უნდა აკეთოს ის, რაც ყველაზე კარგად გამოსდის. ანუ, პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს და არ დაკარგოს დრო და ენერჯია საკუთარი ღობის შეკეთება-შეღებვაზე. მან მიიღო თავისი ენერჯია პურის ცხობის კულტურის ამადლებას უნდა მოახმაროს და შეძლებს პროფესიონალი მღებავის დაქირავებას. იწყება ის, რასაც შრომის დანაწევრება ჰქვია.

მღებავსა და ხაბაზს შორის მორიგება ფულით ხდება. მაშასადამე, ფული თავისთავად არ არის სიმდიდრე. ფული არის პროდუქტში ჩადებული შრომის, ენერჯიის, სიმძლავრის საზომი...

მსოფლიოს თავზე მომჯდარი „პარაზიტები“ რომ არ იყვნენ, ალბათ, ბევრად საამური იქნებოდა ცხოვრება...

უნდა ვაღიარო, — მგონი, ყურმოკვრით მაინც, საჭირო ყოფილა პოლიტიკონომიის კურსი, ისე, რადაცის ცოტა აზრზე მაინც რომ იყო...

მოკლედ, შეგვიძლია და, ამ თაღლითი დასავლეთის ხელში ნუ ვიქნებით ის ღარიბი საქართველო, რომელმაც მდიდარი თაღლითები კიდევ უფრო უნდა გაამდიდროს!

მანია ჭმლიძე



DISCOURS SUR L'ÆCONOMIE POLITIQUE.

LE mot *Oeconomie* ne signifie originellement que le sage & légitime gouvernement de la maison; pour le bien commun de toute la famille. Le sens de ce terme a été dans la suite étendu au gouvernement de la grande famille, qui est l'*Etat*. Pour distinguer ces deux acceptions, on l'appelle dans ce dernier cas, *Oeconomie générale*, ou *politique*, & dans l'autre, *Oeconomie domestique* ou *particulière*. Ce n'est que de la première qu'il est question dans cet article.

Quand il y auroit entre l'*Etat* & la *Famille* autant de rapport que plusieurs Auteurs le pré-

ისეთ მთავრე ხასიათზე ვიყავი, ვერ გამამხიარულა ვერც „ხაბესა“ და „პაატა ბანის“ ინდურმა სიმღერამ „ზიტა და გიტას“ ვარიანტში და ვერც ტრამპი ძიას ნათქვამმა, ჩინეთმა მაგარი პარადი მოაწყო, ფიქრობდა, მეც ვუყურებდი, ჰოდა, მართლა ვუყურებდიო და უცბად, მესმის; „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ისტორიულ გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი, თავდაცვის დეპარტამენტს სახელი შეეცვალა და ომის დეპარტამენტი ეწოდა.“ რაიო?

წლების წინათ, მგონი შევარდნაძის დრო იყო, ვიღაცამ რომ თქვა ჩვენთან, უშიშროების სამინისტრო კი არა, საშიშროების სამინისტრო უნდა ერქვასო, — ეს გამახსენდა და დაეჭვებულმა კალენდარს დავხედე, პირველი აპრილი ხომ არ არის-მეთქი.

ბიჯოლო, რა მასტია ეს ტრამპი, შოუმენობა რომ გადაეწყვიტა, მაინც მილიარდერი იქნებოდა!

ის კი არ გამოიკვირდა, ისტორიული სახელი რომ დაუბრუნა დეპარტამენტს, არამედ იმან, რომ ყველაფრისთვის კუთვნილი სახელის დარქმევამ აქამდე მიიყვანა.

100%-ანია ტრამპი!

რაც ამერიკამ ომები წამოიწყო ხან ღიად და ხან დემოკრატიის სახელით, სირცხვილი იყო, თავდაცვის დეპარტამენტი რქმეოდა და მინისტრს თავდაცვის მინისტრი — რა თავდაცვა, ვისგან იცავდნენ თავს, გაქანებული ომის დეპარტამენტი და ომის მინისტრები იყვნენ.

თვითონ რა შოუმენურად ახსნა, მნიშვნელობა აღარ აქვს, მე კი მიწამლა. მის მიერ ამერიკაში მიღებული ერთი გადაწყვეტილება აბი გლუკოზასავით აქ მე წამადგა და დამავიწყა, რომ ჩემი რომის თვითმფრინავი უჩემოდ უკვე დაეშვა რომში, მე კი თბილისში ვიმყოფები მძიმე დეპრესიაში, რადგან, ამასთანავე, ახალი პასპორტი მაქვს ასაღები, რომლის გაძვირების გამოც ცალი თირკმელი უნდა გავვიდო.

ცოტა მოფერიანებულს მაინც დამაინტერესა, მოდი, გავიგო,



ჩემი წამალი „ქონჯოქი“

რანაირად ახსნა ამ გადაწყვეტილებების მიღება, იქნებ, მეორე „აბი დონალდი“ მივიღო და უფრო უკეთ გავხდები-მეთქი და ჩავვიძიე თავის რატრატით.

თურმე, ამ ძველი სახელის დაბრუნება ამერიკის ძლიერებას და მის მზადყოფნას გამოხატავს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ბიჯოლო, სახელის დარქმევა რომ საქმეს შეელოდეს, იმ „პროფილაქტიკაში“ მამაოს გული კი არ წაუვიდოდა. ნამდვილი ამბავია: მგონი, „კარბურატორ-შიკია“ ის იმერული ტიპი, იესო ჰქვია. ჰოდა, მივიდა მღვდელი რაღაც მანქანით, ძლივს მომაგორეს, მომხედეთ, რაღაცამ გაჭედაო. ჩახედა რომელიღაცამ, დაუსვა დიაგნოზი და ორ საათში მობრძანდი, მამაო და მზად დაგხვდებაო. მივიდა მამაო დათქმულ დროს და ის ბიჭი არ ჩანს,

ვინც დაიბარა. ვიღაც უხილავმა სამანქანე ორმოდან ამოსძახა, მამაო, მოითმინე, ახლავე მოგხედავენო.

გარეთ ცხელა, შიგნით ცხელა, მამაო ანაფორაშია, შეწუხდა კაცი, წყალი მაინც დამალევინეთო. ბოდიში, არ გვაქვს, მამაო, მაცივარი, რომ მოგვწყურდება, მარკეტში ვყიდულობთო. შეღონდა მღვდელი, იქვე საბურავზე ჩამოჯდა და, ღმერთი არ გწამთ, რომ მომხედოთ ვინმემო? ღმერთი როგორ არ გწამს, მამაო, ავერ, მოდის იესო და მოგხედავსო. ვინაო? — დაუჭყვეტია მწყურვალ და სიცხისგან გათანგულ მამაოს თვალები და მზის მზრიდან მოდის თხელი ვიღაც, ვერ არჩევს. მამაო, იესო მოდის! — ამოსძახა ორმოდან უჩინარმა ხმამ და — გულშეღონებულ მამაოს 15 წუთი ვასულიერებდითო.

ჰოდა, დაარქვა ახლა ამან

თავდაცვის დეპარტამენტს ომის დეპარტამენტი და რა, მერე, ფაღარათი დამართა სი-კიტელას, პუტინ-მოკლეს, კიმ-არაადეკვატურსა და მოდი-პაპას თუ რა?

ტრამპი გულში ღიღინებდა, ამ ჩემ ფეხებს, ფაღარათი თუ არ დაემართათ, შინაურები ხომ მაინც დავაფეთიანე ლუარსაბის დარეჯანივითაო, მაგრამ ხმამაღლა ნაფიქრი გამოუვიდა და ვარსკვლავებიჭუნა ვენსი ცისფერი თვალების ციმციმით ჩაეკითხა, „ლუარსაბის დარეჯანი“ რა კერძია, ლანჩზე იჭმევაო? ტრამპმა გაიხარა, ძლივს რაღაც არ იციოსო და დაუყვავა, შენ ჯერ პატარა ხარ, ჩემხელა რომ გახდები, გეცოდინება, როცა იმ ქვეყანაში მოხვდები, ჩვენ რომ ყოველისშემძლე ცოცხალი ღმერთები ვგონივართ, ხოლო ჩვენი ქვეყანა სამოთხეო. აბა, იმას ხომ არ ეტყობა, სანამ იმ დარეჯივლ და სია-

ფანდ სააკაშვილთან ჩავიდოდი, ჩემი გადაგდება რომ მოინდომა, ვიკითხე, ვინ ჰყავთ ერის მამადლო და რომ მითხრეს, მწერალი, ილიაო, კი გავიკვირე, მაგრამ რა დაწერა, მომიტანეთ, თვალი მაინც გადავაგლოო და იქიდან მარტოვე მასსოვს, რომ ლედი დარეჯანი ფერმერებს აწიოკებდაო.

დეპარტამენტს სახელი გადავარქვით და ახლა რა ვქნათო, — გაყინული თევზის თვალებით უკითხავს რუბიოს.

ტრამპს ცაში უკვე ანაპერობი ჰქონდა თვალები, ამიტომ სხაპასხუპით უთქვამს, ფედერალური უწყებები ვალდებული იქნებიან, ახალი სახელწოდება გამოიყენონ როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტებშიო, ოცდაათ დღეში კონგრესს წარედგინოს ანგარიში ცვლილებების შესახებ და სამოც დღეში გეგმა მედოს წინ, როგორ მოახდინთ ამ სახელის საბოლოო ინტეგრირებას ყველა დონეზეო.

ოქეიო...

ფოქ, ჩვენ მოვიგეთ პირველი მსოფლიო ომი; მოვიგეთ მეორე მსოფლიო ომი... და მერე გადაწყვიტეთ, რომ ზედმეტად პოლიტიკორექტულები გავმხდარიყავით და სახელი თავდაცვის დეპარტამენტად შევცვალეთ. დროა, დაუბრუნდეთ ნამდვილს — ეს არის ომის დეპარტამენტი! — აალივლივა ოქროცურვილი თმა ჩემმა „აბმა“.

კოკა-კოლას გათამამება რომ იყო, თავსახურში ვითომ მოგება რომ ამოდიოდა და ამის გამო ხალხმა დაარქვა „თქვენ მოიგეთ სამში გრძელი“, ისეა ტრამპის ამერიკის მოგებები, მაგრამ იძახოს, ჩვენგან რა მიდის, იქაურმა „რესპუბლიკელებმა“ და „დემოკრატებმა“ არკვიონ, მაგარი დაახეთქა ტრამპმა თუ სიაფანდი, დებატები მაგათი მოგონილია და იდებატონ.

მე კი წამლად წამადგა ტრამპი ძიას კიდევ ერთი წამოფრიკინება და, ისემც უქნია, ამერიკისთვის რუსეთის შეერთებული შტატები დაურქმევაია, მით უმეტეს, რომ ალიასკას იჯარის ვადა 2027 წელს გასდის...

ზურა ოზხმრელი



„რომ აკეთო, უნდა იყო, რომ იყო, უნდა იყოს“

ლია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შალვა პაპუაშვილს



ბატონებო, თქვენდამი პატივისცემისა და კეთილგანწყობის მიუხედავად, არ მგონია, თქვენ ამ წერილის წასაკითხად მოიცადოთ ისევე, როგორც არაერთი სხვა „ღია წერილის“ წასაკითხად ვერ მოიცალეთ! მე მინც ვწერ იმის იმედით, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ოდესმე მინც იპოვნის.

ახლა იმაზე მინდა გესაუბროთ, რაც განათლების მინისტრმა დააანონსა სიახლის სახით და ამ „სიახლის“ განსახორციელებლად, მგონი, საბოლოო გადაწყვეტილებაც მიღებული გაქვთ — საქმე ეხება ახალი სადოქტორო განათლების პროექტის შინაარსსა და მის განხორციელებას.

როგორც ტელეკრანიდან შევითქვე, სადოქტორო მომზადება ითვალისწინებს მეცნიერებისა და განათლების მენეჯერების მომზადებას, რაც, თურმე, ასე სჭირდება საქართველოს განათლების სისტემას, ანუ ქართველ ხალხს!

ეს იდეა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი განათლების მინისტრის თავში არ დაბადებულა, ისევე, როგორც განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია — ვინმე ამილახვრის თავში. დარწმუნებული ვარ, ეს ბრიუსელის მორიგი დავალებაა, რაც თუნდაც „ცალ ფეხზე მდგომმა“ განათლების მინისტრებმა უნდა შეასრულონ!

ბატონებო, თქვენ განათლებული ადამიანები ხართ, ძალიან მაღალკვალიფიციურ იურისტებად მიმაჩნებართ და ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემების მართვისა და ორგანიზაციის სისტემების პრინციპები და შინაარსი პროფესიონალურ დონეზე თუ არა, ზოგადად მინც გეცოდინებათ — ერთი მითხარით, ბატონებო, როგორ წარმოგიდგინათ მეცნიერების მენეჯერის საქმიანობა საქართველოში და მერე იმასაც თუ შეგიძლიათ, რას ნიშნავს განათლების მენეჯერი საქართველოს სინამდვილეში, მე მთელ მეცნიერებას გადმოვალაგებ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს არის მეცნიერებისა და განათლების ისედაც მომკვდავი მდგომარეობის ლეტალურ დონემდე მიყვანის მცდელობა!

დამღუპველი პროექტების ხმაურიანი პრეზენტაციები ევროპის (ბრიუსელის შტაბის!) მეთოდია — ამის მიხედვით არც ისე ძნელია, თუ გულდასმით განვიხილავთ მათი რეკომენდაციის განხორციელების შედეგებს.

მენეჯერის ინსტიტუტს დავუბრუნდეთ — სამწლიანი სადოქ-

ტორ პროექტით მომზადებულმა დოქტორმა მენეჯერმა როგორ უნდა მოახდინოს მეცნიერული დაწესებულებების ორგანიზება და მართვა? — აშშ-ში რადიკალურად განსხვავებული ისტორიული გამოცდილება არსებობს არა მარტო დარგების, არამედ სახელმწიფოს მართვისაც. საქართველო სხვა ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების ქვეყანაა, როგორც ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობელი ქვეყნები, რომელთა სახელმწიფოებრიობა ათეულ საუკუნეებს ითვლის — ბაბუაჩემს ამერიკის ხნისა ხეჭუჭყურის ხე ედგა ეზოში.

ჩვენში და სხვაგანაც, მეცნიერების განვითარებას, ორგანიზაციასა და მართვას დიდი მეცნიერები ედგნენ სათავეში, ასევე — განათლებასაც! ამას გარდა, ჩვენში, როგორც წესი, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს განათლების მინისტრი, სკოლაში — სკოლის დირექტორი, უნივერსიტეტში — რექტორი. მინისტრებად სანტეჟნიკოსებს, ციხის ზედამხედველებს, იურისტებს რომ ნიშნავდნენ, რომლებმაც განათლების მეცნიერების ინჟინერები არ იცოდნენ, იმითმაც გვეყავს დღეს გაუნათლებელი სტუდენტები და უვიცი მოსწავლეები, რომელთა უმრავლესობა ისე ამთავრებს სკოლასა თუ უნივერსიტეტებს, რომ წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა უჭირთ!

სკოლა იმართება მეცნიერული და ორგანიზაციული პრინციპებით. ჩვენს ინსტიტუტებში მომავალი პედაგოგიური კადრებისათვის იკითხებოდა „განათლების ორგანიზაციისა და მართვის პრინციპები“, რაც განათლების მეცნიერების (პედაგოგიის) ნაწილია. საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადაჭარბების რესპუბლიკურ ინსტიტუტში მე ვიყავი „განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერების“ კათედრის გამგე.

სოციოლოგიის ერთ-ერთი ამოცანა ისიც არის, რომ დაასაბუთოს მოსწავლეთა რა რაოდენობაა ამ თუ იმ მაკრო თუ მიკრორაიონში და სად რამდენ მოსწავლეს უნდა გაიხსნას სკოლები, რამდენი დაჯდება სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა. სოფელში თუ მოსახლეთა რაოდენობა მცირეა და სასკოლო ასაკის სულ 3-4 მოსწავლეა, მაშინ სოციოლოგები შეარჩევენ რაციონალურ ადგილს ასეთი სოფლებისათვის, სადაც გაიხსნება პანსიონის სახის სასწავლო ინტერნატი, მოსწავლეთა მიყვანას კი უზრუნველფოს ადგილობრივი განათლების ორგანო. თქვენს პერსპექტივაში მომზადებული მენეჯერის ადგილი სად არის?

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განახლებაზე, რომლის შემადგენელი ობიექტების სახეობები და რაოდენობა მეცნიერულ დონეზე განსაზღვრული, ზრუნავს სკოლის სამწიფო ნაწილის გამგე სათანადო სამსახურთან ერ-

თად, ასეა სამინისტროსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც. თქვენი პროექტით მომზადებული დოქტორი მენეჯერი რას აკეთებს, ან რა უნდა გააკეთოს? რატომ არ ამბობენ ამ პროექტის ავტორები? არ იციან თუ ჩვენ გვიმაღლავენ?

თქვე კაი ხალხო, ჩვენი ახალგაზრდული დოქტორები სამი წლის შემდეგ დაიწყებენ სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო და მეცნიერული კვლევების გამოცდილების შესწავლას, რომ ამბობთ, კი მაგრამ, ბიბლიოთეკებში სულ არ ხართ ნაყოფი?

საგანმანათლებლო პრაქტიკის გასაცნობად და ჩვენც მივდიოდით სხვაგან!

ყველა უბედურება გაუნათლებლობისა და უცოდინრობის შედეგია, უბედურებაა ის, როცა უვიცი მენეჯერის ასწავლის და უპირატესობა აქვს სწავლებისა, რადგან კათედრასთან ის დგას.

ერთხელ საჯარო ლექციაზე შალვა ნუცუბიძემ ბრძანა: ყველაფერზე წერა და ლაპარაკი მხოლოდ უცოდინარ კაცებს შეუძლიათ, სამწუხაროდ, მაშინ თბილისის უნივერსიტეტის მეოთხეკურ-

რაიკომის მდივანად „დააწინაურა“ და მალე ფინანსთა მინისტრად დანიშნა. პირადად ვიცნობდი მას, რადგან ნარკომანიათან ბრძოლის კომისიასაც ხელმძღვანელობდა (ინჟინერი კაცი!) და მეც ამ კომისიის წევრი ვიყავი. იგი ძალიან კარგი, მაგრამ გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ალბათ, ამიტომ ვთანხმებოდა ხელმძღვანელობას მისთვის პროფესიულად შეუფერებელ თანამდებობებზე დანიშვნას. ორიოდე წლის შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში, თავი მოიკლა! პატიოსანი კაცი იყო და იმი-



ფუნდამენტური ტომებია გამოცემული მსოფლიო პედაგოგიკური (საგანმანათლებლო) აზრის განვითარების ისტორიაში, სწორედ ქართველი მეცნიერების კორიფეს დავით ლორთქიფანიძეს ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევა „იან ამოს კომენსკის პედაგოგიკური მოძღვრება“, რომელიც რამდენიმე ენაზეა ნათარგმი. ასევე დაწერა ნაშრომი უმანგი ობოლაძემ თეორიის შესახებ. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა უცხოური საგანმანათლებლო თეორიებისა და პრაქტიკის ქართველთა შორის ცნობადობის ამაღლებასა და ქართული საგანმანათლებლო თეორიებისა და პრაქტიკის მსოფლიოსათვის გაცნობის საქმეში მსოფლიო სახელის ქართველმა მეცნიერმა შალვა ამონაშვილმა.

თავის დროზე, რომელსაც, საუბედუროდ, დღევანდელი, „მოწინავე“ ე. წ. ინტელიგენცია „ბნელ წარსულს“ უწოდებს, ჩვენთანაც უამრავი ქვეყნის დელეგაციები ჩამოდიოდნენ ნებისმიერი დონის

სულ სტუდენტს პირიქით მეგონა და გამიკვირდა დიდი მოაზროვნის ეს ნათქვამი, მაგრამ ათწლეულის შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რადგან ბრძნული აზრი მოუწოდებია ჩვენთვის დიდ მეცნიერს!

ბატონებო! დარგის ხელმძღვანელად ამ დარგის უცოდინარი ადამიანების დანიშვნის პრაქტიკა არც თქვენ დაგიმკვიდრებიათ და არც თქვენს წინამორბედებს. ეს დიდი ხნის წინათ „დიდმა პოლიტიკოსმა“ შევარდნაძემ დაიწყო, რასაც რამდენიმე ტრაგიკული შედეგიც კი მოჰყვა. ერთ-ერთი მათგანი ერთობ რეზონანსული იყო და ამიტომ უნდა გაგახსენოთ:

დემურ დვალისვილი ინჟინერი იყო. საზღვაო ტრანსპორტის მშენებელმა მისმა ქარხანამ ფრთიანი კატარღის პროექტი შეიმუშავა და რელიზაციაც მოახდინა. ამ კატარღამ ისეთი ეფექტი მოახდინა, რომ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა მისი შესყიდვის სურვილი. ჰოდა, ეს წარმატებული საწარმოს ხელმძღვანელი იმჟამინდელმა ცკ-ას პირველმა მდივანმა

ტომ! ახლანდელი თავსაც არ შეიწუხებენ თავიანთი „საქმიანობის“ კატასტროფის გამოც კი.

საბოლოოდ, მინდა გირჩიოთ, რომ მნიშვნელოვან პოსტებზე მაღალი დონის პროფესიონალები დანიშნოთ! საამისო ცოდნის ხალხი აქ თუ ვერ „ადმოაჩინეთ“, „საიმედო კაცები“ სხვაგან გააგზავნეთ სასწავლებლად, მაგრამ დეგრადირებულ ევროპაში კი არა, ღირსეულ ქვეყნებში, რომლებიც მიიღებენ ამა თუ იმ საქმის კეთების ცოდნას და მერე აღარ დაემართებათ ის, რაც თქვენს ბევრ „ქებულს“ დაემართა, როგორც ამილახვრის გვარის „მატარებელ“ განათლების მინისტრს და ბევრ სხვასაც...

და ბოლოს კვლავ გავიმეორებ: „რომ აშენო, უნდა იცოდეს, რომ იცოდეს, უნდა ისწავლოს!“ ამის ზმირად გამეორება არც მოსწევნია და არც უსარგებლო.

სამოქალაქო პატივისცემით

ზურაბ ცუცქერიძე
განათლების
მეცნიერებათა დოქტორი

„ომის საინისტრო“ - მუვიდობის გარანტი?!



მსოფლიოში პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად იცვლება. ექსპერტ-ანალიტიკოსები მსგავს რადიკალურ ცვლილებებს ჯერ კიდევ შარშან გამოიციხავენ. თუმცა ვითარება მსოფლიოში შეიცვალა და ეს მოვლენები ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ყოველივე ზემოთქმულს მიმდინარე მოვლენებიც ადასტურებს. გამოიკვეთა რეალობა — მსოფლიოს განვითარება მხოლოდ ერთ ვექტორზე კი არა, არამედ მრავალპროფილურ პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული.

განვლილი კვირა და დღეები სწორედ ამის დასტური აღმოჩნდა. დავიწყოთ ჩინეთში გამართული შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტი. შეხვედრაზე ამ ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის პირველი პირები, მათ შორის, კანდიდატი და დამკვირვებელი სახელმწიფოების მეთაურები იყვნენ შეკრებილი. გავრცელებული ინფორმაციით, ათეულობით ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ჩინეთის მმართველის, სი ძინპინის იდეა. მსოფლიოში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ზომ არ დადგა დრო, შექმნან ამ ორგანიზაციის ბანკი, რომელსაც საკუთარი ვალუტა თუ არა, ანგარიშსწორების ინდივიდუალური უფლებამოსილება ექნება.

ჩინეთის მმართველის წინადადებას დასავლურ ქვეყნებს შორის, პირდაპირ ვთქვათ, შოკი გამოიწვია. დღემდე გამოთქმება პროგნოზები თუ მოსაზრებები. დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის გამოცემები ღიად საუბრობენ მათი ქვეყნების წინააღმდეგ შეთქმულებაზე, რომელიც ერთ-ერთი მთავარი როლი რუსეთს უკავია. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, იური უშაკოვმა ყოველგვარი შეთქმულების მცდელობა გამოიციხა. „მსგავსი რამ ჩვენს ხელისუფლებაში აზრადაც არავის მოუვა“, — ოფიციალურად განაცხადა ჩინოვნიკმა. თუმცა, ამერიკულ პრესას ყველაფრის თქმის უფლება აქვს, მით უფრო, თუ ისინი ე. წ. გლობალური ომის პარტია-ორგანიზაციებიდან ფინანსდებიან.

მხოლოდ „მოს“-ის სამიტის გამო არ ყოფილა მსოფლიოს ყურადღება ჩინეთისკენ მიმართუ-

ლი. 3 სექტემბერს პეკინში მეორე მსოფლიო ომის დასრულების მე-80 აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი გაიმართა. აქვე სათქმელია, ჩინეთში მსგავსი ღონისძიება, ანუ სამხედრო აღლუმი მხოლოდ ათ წელიწადში ერთხელ, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით იმართება ზოლმე. წლებადღე ღონისძიება დაკავშირებული იყო თავდაპირველად მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და კვანტუნის არმიის დამარცხების დღესთან დაკავშირებით.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ მეორე მსოფლიო ომი სწორედ ჩინეთში დაიწყო 1934 წელს, იაპონელთა ჩინეთში შეჭრის შემდეგ. სისხლისმღვრელმა ომმა 34 მილიონი ჩინელის სიცოცხლე შეიწირა. ამიტომაც არის აღნიშნული თარიღები ჩინელებისთვის მნიშვნელოვანი.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულად და გერმანული ფაშისმის დამარცხებლად ამერიკელი პრეზიდენტები საკუთარ ქვეყანას მიიჩნევენ. ეს ჩვენც გვეხება, რადგან ფაშისმთან ბრძოლასა და იაპონიის ომში საქართველოს 350 ათასზე მეტი მოქალაქე დაიღუპა.

სამხედრო აღლუმს მსოფლიოს 30 ქვეყნის პირველი პირი ესწრებოდა. განსაკუთრებული ყურადღება, თავისთავად, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ჩრდილოეთ კორეის მმართველის, კიმ ჩინ ინის პირისპირ შეხვედრა იყო. განსაკუთრებით საინტერესო კორეელის პუტინის „ტაურისიუსით“ გადაადგილება იყო. რუსეთის პრეზიდენტმა რაღაც უთხრა კიმ ჩინ ინს და ისიც უყოყმანოდ ჩაჯდა პუტინის „ლიმუზინში“. ჟუსნალისტებმა დააფიქსირეს, რომ კიმ ჩინ ინთან ერთად მანქანაში ვიღაც უცნობი ახალგაზრდა ქალი სწრაფად ჩაჯდა. თავდაპირველად იგი კიმ ჩინ ინის შვილად მიიჩნეეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი მისი უმცროსი და იყო.

პუტინის რეზიდენციაში მისვლის შემდეგ გაიმართა სამთავრობო მოლაპარაკება, რომელიც საათ-ნახევარს გაგრძელდა. ამის შემდეგ ორივე ქვეყნის მეთაურებმა პირისპირ კვლავ ხანგრძლივი საუბარი გამართეს. ერთობლივ ბრიფინგზე კიმ ჩინ ინმა განაცხა-

და, რომ ჩრდილოკორეელები ყოველმხრივ დაეხმარებიან მოძვე რუსეთს. თავის მხრივ, პუტინმა მადლობა გადაუხადა მათ კურსკის ოლქში გაწეული სამხედრო დახმარებისთვის. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: პეკინში სამხედრო აღლუმის დროს მასპინძლის, სი ძინპინის მარჯვნივ პუტინი იდგა, მარცხნივ — კიმ ჩინ ინი. ამან დასავლეთისა და აშშ-ის გარკვეულ წრეებში შემფოთება გამოიწვია. ამიტომაც დაწერა დონალდ ტრამპმა სოცქსელებში, რომ ჩინეთთან დაპირისპირების მიზეზით დაკარგეს რუსეთი და ინდოეთი.

დაიხ, ინდოეთს რუსეთის ნავთობის შესყიდვის მიზეზით ტრამპმა ქვეყანას 50%-იანი გაზრდი-



ლი გადასახადები დაუწესა. ამით განაწყენებულმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრო მოდიმ ჯერჯერობით შეწყვიტა კონტაქტები აშშ-სთან. გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა ერთ კვირაში ოთხჯერ სცადა მოდისთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ მან ტრამპს არ უპასუხა. სამაგიეროდ, პეკინში პუტინთან ხელჩაკიდებული მივიდა მასპინძელ სი ძინპინთან. იქიდან გამომდინარე, რომ ნარენდრო მოდი ჩინეთში 7 წლის განმავლობაში არ ყოფილა, ეს ფაქტი მრავლისმეტყველია.

საქმე ის არის, რომ დონალდ

ტრამპმა ინდოეთს კატეგორიულად მოსთხოვა, უარი თქვას რუსეთისგან ნავთობისა და, საერთოდ, ენერგორესურსების შექმნაზე. ულტიმატუმმა მოდის გაცემა გამოიწვია, რადგან 2022 წლის სანქციების შემდეგ მას ევროზონონიკებმა სთხოვეს, განეგრძო რუსეთისგან ნავთობის შესყიდვა, რომელსაც შემდეგ ევროპელები შეიძენდნენ. ამჯერად მოდიმ პოზიციები არ დათმო, უფრო მეტიც, პეკინში პუტინთან ერთად ერთი ავტომანქანით იმგზავრა და რუსეთის რეზიდენციაში მოლაპარაკებაც გამართა. ამიტომაც დაარქვეს დასავლელმა ჟურნალისტებმა გამართულ ღონისძიებას „ლიმუზინების დიპლომატია“.

საერთო ჯამში, აზიური ქვეყნები ხავერდოვნად ცდილობენ აშშ-ის გავლენისგან თავის დაღწევას. ამიტომაც იგივე თემა წინ წამოსწია დონალდ ტრამპმა, რომლის განცხადებითაც, ინდოეთი და რუსეთი ჩინეთს დაუთმო.

ჩინეთიდან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჩავიდა, სადაც საკმაოდ საგულისხმო განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, იგი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმერ ზელენსკისთან შეხვედრას არ გაურბის, მაგრამ სამიტი დეტალურად უნდა იყოს შეთანხმებული. ამის გარდა, პუტინი ვერ დაავს აზრს, გააფორმოს რაიმე ხელშეკრულება ზელენსკისთან, რამდენადაც იგი, ფაქტობრივად, არალეგიტიმურია. პუტინის თქმით, ორმხრივი შეთანხმების მისაღწევად რიგი იურიდიული

ზავნეს ვენესუელაში ნარკოკარტელებთან საბრძოლველად. რით დასრულდება მათი ვითაჟი, უცნობია. ვენესუელას პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

პოლიტიკური სიტუაცია აღმოსავლეთ აზიაშიც დაძაბული და გაურკვეველია.

„ბებური ქალბატონის“ კონტინენტზეც დიდი არეულობაა. ევროპელი ექსპერტ-ანალიტიკოსები გაცხადებულ არიან ხელისუფლებაში მყოფი პირების პოზიციებით. საერთოდ, ძნელია „ლიდერები“ ვუწოდოთ, რადგან მათი რეიტინგები მინიმუმამდე დაცემული. თუმცა, თავად ყოველივეს არაფრად მიიჩნევენ. გასულ კვირას პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის ინიციატივით გაიმართა უკრაინის ე. წ. მსურველთა კოალიციის შეკრება, რომელშიც თითქმის 30 ქვეყანა მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის წარმომადგენელმა ღონისძიება 20 წუთში დატოვა, ზოლო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი, რომელიც აღნიშნული სამიტის ერთ-ერთი მხარდამკვირია, ვიდეოჩართვით მონაწილეობდა მასში. შეკრება კი უშედეგოდ დასრულდა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დონალდ ტრამპმა ევროპულ ქვეყნებს მოუწოდა რუსეთისგან ენერგორესურსების შესყიდვის შეწყვეტისკენ, ეს იმ დროს, როდესაც თავად რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება-გაუმჯობესებას ცდილობს.

საკითხების მოგვარება საჭირო. ნებისმიერ ვიზავისთან შეხვედრაზე პუტინი უარს არ ამბობს, თუმცა, რანდევუს ადგილად მხოლოდ რუსეთის დედაქალაქს ასახელებს.

ამასობაში მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. აშშ-ის პრეზიდენტმა თავდაცვის სამინისტროს (პენტაგონს) სახელი შეუცვალა და „ომის სამინისტრო“ უწოდა. მართალია, ეს სახელი პენტაგონს ადრეც ერქვა, მაგრამ ამან ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მით უფრო, როდესაც პრეზიდენტის ბრძანებით, სამხრეთ ამერიკაში სამხედრო გემები და ავიაცია გაგ-

ევროპის ქვეყნებში კი ვითარება ბუნდოვანია. კერძოდ, გერმანიაში, გაზეთ „ბილდის“ ინფორმაციით, ადგილობრივი არჩევნების წინ, რომელიც 14 სექტემბერს უნდა გაიმართოს, ერთ-ერთი მაღალრეიტინგული პარტიის, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ 7 კანდიდატი გაურკვეველ ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა.

შემოდგომა ახლახან დაიწყო, ჯერჯერობით კარგი არსად არაფერი ხდება, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ მოვლენები სასიკეთოდ შეიცვლება.

ბია ბურღული



ამას წინებზე რუსთაველის გამზირზე, აკაცუკების თავმჯდომარეთან კარაბინით კაცი რომ დააკავეს და სახლში იარაღის მთელი არსენალი აღმოუჩინეს, ხომ გახსოვთ? ჰოდა, ეგ ლაბადიანი კაცი ყოფილა 62 წლის ვინმე მიხეილ ლემკაშვილი. მისი სახლებიც გაჩხრიკეს წაეკისა და თბილისში, აღმოუჩინეს 22 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და 810 ვაზნა. ამ საქმეში ორი უცნაური და, ცოტა არ იყოს, სასაცილო მომენტები იკვეთება: პირველი - რა უნდოდა კარაბინით შეიარაღებულ ლაბადიან კაცს რუსთაველზე? როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, იგი ტანზე სანადიროდ მიდიოდა და საერთო არაფერი აქვს აქციის მონაწილეობას. ტანზე სანადიროდ რუსთაველზე? სად არის აქ ტანზე? აი, ვფიქრობ, სანადიროდ რომ გამოსულიყო, კიდევ გავიგებდით და ჩვეულებრივ ამბად ჩავთვლიდით, მაგრამ რუსთაველზე ხომ ტანზე დიდი ხნის წინათ გადაშენდნენ? დაახლოებით მაშინ, როცა ვახტანგ გორგასალმა ამ ადგილას კარავი დასცა და თბილისის მშენებლობა დაიწყო. კარავი, ხომ შეიძლება, ვინმე ლემკაშვილმა ორიენტაცია დაკარგა, ივრის ჭალებში მიდიოდა და რუსთაველზე აღმოჩნ-

ნავალით ტანზე სანადიროდ რუსთაველზე

და? ხდება ხოლმე, მაგალითად, აკერ, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამი თუ ოთხი წლის წინათ მოსკოვში მიდიოდა, კრემლის თავზე ქართულ-უკრაინული დროშა უნდა აეფრიალებინა, მაგრამ თავი სანაზრატო ამოყო და დაიჭირეს. თანაც ჩემს მეზობლად, კაცო, დაახლოებით 200 მეტრში. რომ მცოდნოდა, მისა ჩემს მეზობლად იმდებოდა და თან ხინკალს ნთქავდა, იმ დამეს რა დამაძინებდა? დილით უბანში ვილაცამ დაიძახა, სააკაშვილი აქ არიო. აუ, შენ მოჩვენებები გაწუხებს-მეთქი. არც სხვებმა დაუჯერეს, თურმე მართალი ყოფილა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, მიშასაც ხომ აერია თავის დროზე რამსები? საერთოდ, „ნაცებს“, „გნაცებსა“ და „შმაცებს“ ახასიათებთ ეგეთი რაღაცები, ყოველთვის არ არიან იქ, სადაც უნდა იყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც არიან იქ, სადაც უნდა იყვნენ. მაგ ვინმე ლემკაშვილმაც იბოდილა აქციებზე, ხან მხარი ექცა, ხან გვერდი, ბოლოს კარაბინი აიღო და გავიდა ტანზე სანადიროდ, ვერ გათვალა, რომ ტანზე სანადიროდ ივრის ჭალებში თუ არა, სოლოლაკში მაინც უნდა ასულიყო, თითო-ოროლა ტანზე მაგ მიდამოებშიც დარბის ხოლმე.

იცით, რა მაინტერესებს? ლემკაშვილმა რომ უთხრა თავის ადვოკატს, მე დამნაშავე არ ვარ, რუსთაველზე ტანზე უნდა მომეკლა, სანადიროდ გამოვედიო, ამ ადვოკატმა დაიჯერა? ეტყობა, დაიჯერა, თორემ ხომ არ გამოვიდოდა და მის ნათქვამს არ გაიმეორებდა? ისე, რაღა დაგიძალოთ და... ხან მგონია, რომ ზოგიერთი ადვოკატი თავის კლიენტთან ერთად უნდა დააპატიმრონ.

ბელა ზემელაშვილი

იურიდიული რჩევები

პასუხები ნადირობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე



- რა დოკუმენტები მჭირდება ნადირობის უფლების მოპოვებისათვის?

- მაგალითად გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველებმა ნადირობისას თან უნდა იქონიონ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის (10 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, მოსაკრებლის გადახდა ხდება შემდეგი წესით: მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკისკოდი: 220 101 222; ანგარიშის ნომერი: №200122900; ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინოკოდი: 3033; განმარტება მოსაკრებლის გადახდისათვის: ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი 3033 წარმოადგენს 9-ნიშნა კოდის ბოლო ოთხ ციფრს, რომელიც უცვლელია (ერთი და იგივეა ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის — ქალაქი, რაიონი). 9-ნიშნა კოდის პირველი ციფრი არის 3, რომელიც ასევე უცვლელია და ნიშნავს ამკრეფის კოდს, ამ შემთხვევაში არასაგადასახადო შემოსულობებს. ხოლო შუა 4 ციფრი სხვადასხვაა იმ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისად (ქალაქი, მუნიციპალიტეტი), სადაც წარმოებს თანხის გადახდა. ზოგადად კოდი ასე გამოიყურება: 3 XXXX 3033 მაგალითად: თბილისისთვის ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3 0077 3033; ახმეტისთვის 3 0054 3033; რუსთაველისთვის 3 0006 3033; ქუთაისისთვის 3 0018 3033; ლენტეხისთვის 3 0031 3033 და ა.შ.

- სად არის აკრძალული ნადირობა?

- ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებსა და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში, ასევე საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

- რა მეთოდებით შეკრძალულია ნადირობა?

- აკრძალულია მცენარეული საფარის დაწვა; გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა; ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა ან განადგურება; ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით — ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადებით, საფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგავებით (სარეგაველებით), ხმოვანი სიგნალების გამოყენებით ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მოქმედი) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა, საწამლაკით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგეგმვა; ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნაგებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, დამით განათებული ფარებისა და პროექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამორთველი მოტორიანი ნაგებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა დამის ცეცხლის დანთებით; სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძღვრებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს.

- დაშვებულია თუ არა სასროლი ბადით თევზაობა?

- სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა დაშვებულია სასროლი ბადით მთელი წლის განმავლობაში. აკრძალულია სასროლი ბადის გამოყენება, რომლის დიამეტრი 4,5 მეტრზე მეტია, ხოლო თვლის ზომა — 20 მმ-ზე ნაკლები.

ტელ: 555 75-04-45

გთხოვთ, შეკითხვები გამოგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com

რა უნდა ვიცოდეთ კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ

15 გვ.

ნიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე, უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით ჩაატაროს ძეგლზე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სამუშაოების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

- არქეოლოგიური ობიექტი ან მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეს ობიექტია განთავსებული, არ არის სახელმწიფოს საკუთრება ან ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემულია სხვა პირზე, ამასთან, მესაკუთრე არ არის თანახმა, არქეოლოგიური ობიექტზე ჩატარდეს სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოები, თუმცა, ეს აუცილებელია სამეცნიერო საკითხების გადასაჭრელად, ან თუ არქეოლოგიური მემკვიდრეობის სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის საქმიანობით ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანება ან განადგურება ემუქრება. მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე სამუშაოების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომლის საფუძველზეც სამინისტრო გასცემს შესაბამის ნებართვას.

პრობლემის მიმოხილვა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით პრაქტიკაში

ერთ-ერთ მთავარი პრობლემა წარმოადგენს სარეაბილიტაციო სამუშაოების კანონის შესაბამისად წარმართვა. ერთი მხრივ, მესაკუთრეები ხშირად ახორციელებენ სამუშაოებს ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რაც უმეტეს შემთხვევაში აზიანებს ძეგლს. მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები ხშირად არ არის შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან, რაც ასევე იწვევს ძეგლის დაზიანებას.

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხშირად მხოლოდ აქტივისტებზეა დამოკიდებული და სახელმწიფო ამ კუთხით სამართლებრივ რეგულაციებს ეფექტურად არ აღასრულებს.

- პრაქტიკაში ძალიან ხშირად ირღვევა ძეგლის დაცვის როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადი დამცავი ზონა, რაზეც სახელმწიფო სათანადოდ არ რეაგირებს.

- არ ხდება ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელმწიფოს მიერ გადაუდებელი წესით შეკეთება, მაშინ, როდესაც იქ მცხოვრებთა სიცოცხლე და თავად ძეგლის არსებობას რეალური საფრთხე ექმნება.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ხშირად მინიჭებული აქვს ისეთ შენობებს, რომელთაც არ გააჩნიათ ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რაც დაკავშირებული იქნებოდა მის სიძველესთან, უნიკალურობას ან ავთენტურობასთან. აღნიშნული პრობლემას უქმნის თავად ძეგლის მესაკუთრეს. ძეგლის სტა-

ტუსის მოხსნა გართულებულია, რაც ასევე მესაკუთრეებს ხშირად გაუმართლებლად ზღუდავს.

საკანონმდებლო ბაზა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა რეგულირდება შემდეგი კანონებით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ - საქართველოს კანონი;

- „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ - საქართველოს კანონი;

- „მუზეუმების შესახებ“ - საქართველოს კანონი;

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ - საქართველოს კანონი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის დადგენილება №14-39 „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“.

მოამზადა ლევან ჭილაძემ

სასჯელი სამუოხლოს თავისუფლებისთვის



(დასასრული. დასაწყისი იხ. „სა“ N31)

კანონიერი ქურდების გამოგზავნილი „ბრავი“

ციხის ცხოვრება საინტერესო იყო. სამი თვე ორთაჭალის, მერე კი კაგებეს ციხეში გადავიყვანეს. ციხეში პატიმრები ერთმანეთთან ბილწი სიტყვებით ურთიერთობდნენ, მათ შორის, ქალებიც. ქალთა კორპუსში კაცების ხმებიც შემოდოდა და ისეთი გინებები ისმოდა, მსგავსი არასდროს გამიგია. ჩვენი შეყვანიდან რამდენიმე საათში გინება შეწყდა. მეორე დღეს ზედამხედველმა ციხის უფროსთან ჩამიყვანა, სადაც ინაურის მოადგილე შადურიც დამხვდა, ასევე შსს-ის მინისტრი, მითხრეს: თუ პრობლემა შეგექმნებათ, გაბუნიას პირით ხმა მოგაკაწვინებთ. ზედამხედველებს პატიმართან დაკონტაქტების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ, როგორც კი ამ გოგონას გადამცეს, მან ჩუმად ჩამჩურჩულა, „გრევი“ გამოგიგზავნესო. „გრევი“ თურმე კანონიერი ქურდები აგზავნიდნენ, მე ეს საიდან უნდა მცოდნოდა, ამიტომ ვუთხარი: ალბათ, მამაჩემმა გამოგიგზავნა-მეთქი. ზედამხედველს თვალები გაუფართოვდა და მეკითხება, მამათქვენი ქურდიარა. არა, გეოლოგი-მეთქი, — გავეხედე გაკვირვებულმა, რადგან ვერ მივხვდი, ეს რატომ მკითხა. თურმე „გრევი“ ქურდებისგან არის მოსული, რასაც რიგითი პირი ვერ შემოგზავნიდა. საკანში რომ შევედი, პატიმრებმა მითხრეს: კარგად დალამდეს, მიწნარდეს სიტუაცია და მერე გავეხსნათო. გულში ვფიქრობ, რატომ

მიმალავენ მამაჩემის გამოგზავნილ ამანათს-მეთქი. დალამდა, „გრევი“ გავეხსენი და შიგნით ტორტი და შოკოლადის ფილები აღმოჩნდა. ბოლოს გავარკვიე, რომ ეს ქურდული „გრევი“ იყო, რომელიც იმ დროს ციხეში მჯდომმა კანონიერმა ქურდებმა გამოგიგზავნეს. ეს წარმოუდგენელი რამ იყო, რადგან, როგორც გითხარით, ციხეს მერევე პოლიცი იცავდა და იქ ბუნცი ვერ შემოფრინდებოდა.

სიკვდილისჯილის წარიღი

როცა ბადრაგებს პატიმრები პროცესზე გაჰყავდათ, ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთ მანქანაში სვამდნენ. ერთ-ერთი პატიმარი ქალი, როცა საკანში დაბრუნდა, პატარა ოცკაპიკიანი შოკოლადი მომალა — სიკვდილისჯილმა გამოგიგზავნაო. წესიერად არც შემინდავს, ისე დავედეთ თაროზე, სადაც ჭურჭელი გვედო. მერე საკანში ჩხრეკა ჩატარდა, შოკოლადი, როგორც აკრძალული ნივთი, ნაგავში ჩააგდეს. მას ქაღალდი მოსძვრა და იატაკზე დავარდა. ერთ-ერთმა პატიმარმა ქაღალდი გადასაგდებად აიღო და უცებ შენიშნა, რომ ზედ რაღაც ეწერა. მაშინვე მომალა. მაშინ სიკვდილისჯილების საქმეები რუსეთში საჩივრდებოდა. შოკოლადის ქაღალდზე ეწერა: ახლა პროცესზე მივდივარ, სადაც ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, ან დახვრეტას მომისჯიან ან სიცოცხლეს მაჩუქებენო. თუ დახვრეტას სიცოცხლით შემიცვლიან, იცოდეთ, რომ ამ სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთო. ამ ამბავმა სრულიად შემიცვალა კრიმინალებზე წარ-

რუბრიკის დღევანდელი სტუმარი უფლებადამცველი ნანა პაპაბაძე პოპულარული წლების წინ ბავშვობაშივე გახდა. ლალი, გულანთებული, შემდგომ კი მებრძოლი, გაბედული, შეუპოვარი, მუამბოხე სულის პატრონი სკოლის დამთავრებისთანავე დისიდენტური მოძრაობის ფერხულში ჩაება. 17 წლის ასაკში ბრალი 120 პოლიციელის ცემაში დასდეს და 5-წლიანი პირობითი სასჯელი მიუსჯეს. 20 წლის ასაკში კი კიდევ ერთი აბსურდული ბრალდებით ციხეში აღმოჩნდა. რეალურად, სასჯელი საშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლისთვის მოიხდა. როგორც თავად ამბობს, სტუდენტობიდან სწორედ ერთ მთავარ საქმეს — ქვეყნის სივარულს, დამოუკიდებლობას და თავსუფლებას ემსახურება. მან ამ ბრძოლაში გულისა და სულიერების მთელი სიღრმე ჩააქსოვა.

რა მისწერა სიკვდილისჯილმა პატიმარმა, სად უპირებდნენ გადასახლებას, რა „გრევი“ მიართვეს პატიმრობის პირველივე დღეს კანონიერმა ქურდებმა, რატომ გაუგზავნეს ზაფხულის ცხელ დღეებში შობლებმა ციხეში შუბა და ჩექმები, ამ მიმე, სულისშემძვრელ ისტორიებს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე თავად გვიამბობს:

მოდგენა. მე სასჯელს საშობლოს თავსუფლებისთვის ბრძოლისთვის ვიზიდი. სიკვდილისჯილი რომ მოგწერს, თუ გადავრჩი, ჩემს გადარჩენილ სიცოცხლეს იმ იდეას შევწირავ, რისთვისაც თქვენ ციხეში წინააღმდეგობას, წარმოგიდგინათ, ეს რას ნიშნავს. ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ამის წაითხვა, ცრემლები ვერ შევიკავე.

ბათხრილი გვირაბი და ღირსეული პასუხი

იზოლაციის, სადაც მე ვიჯექი, მკაცრი იყო. იქიდან არასდროს არავინ გაქცეულა. ვხედავ, შემოდის ზედამხედველი და მეუბნება, სამედიცინო ოთახში უნდა წამოგვეყვო. კანონიერი ქურდები ფულს იზიდდნენ და „რუზბალიცაზე“ გადმოჰყავდათ. იქ გათბობის მილი გაუფართოვებოდა და მილიდან მესმის ხმა: შეიძლება, აქიდან ცოცხლები ვეღარ გახვდეთ, ამიტომ თქვენთვის გვირავი გათხარეთ, რათა ციხიდან გაგიყვანოთ. დღეს ღამე მოგაკითხავენ და წამოყვებით. ამ შემთავაზებაზე უარი განვაცხადე: აქ ისეთი საქმისთვის ვზივარ, ციხიდან გაპარვა არ შემეფერება-მეთქი. გვირავის გამოხრელები და გაქცევის ორგანიზატორები გაიპარნენ, თუმცა ბევრი მათგანი ჩაბოცეს, ორი-სამი დაიჭირეს. აქ ნიშნდობლივი ის დამოკიდებულებაა, რასაც ჩვენს მიმართ, როგორც თავისუფლების იდეისთვის მებრძოლთა მიმართ იჩენდნენ.

ლაპარანტი ბერიას საქმეები

სამი თვის შემდეგ კაგებეს ციხეში გადავიყვანეს. „პაღვლებში“ ვიყავით, რასაც ბერიას საქმეს ეძახდნენ. იქ კვირაში ერთხელ ზედამხედველი პროკურორი მოდიოდა, რომელიც მეკითხებოდა, პრეტენზია ხომ არაფერი გაქვსო. ეს იმდენად სასაცილო, ცინიკური შეკითხვა იყო (მეტი რა პრეტენზია უნდა მქონოდა, ციხეში ვიყავი გამოკვდილი არაფრის გამო, არ ვიცოდი, როდის მომკლავდნენ),

ამ კაცის დანახვაზე ისტერიკული სიცილი მიტყდებოდა. ახლანდელი ციხე სანატორიუმია იმასთან შედარებით, რა პირობებშიც მე ვიყავი. ზედამხედველებს პატიმრებთან კონტაქტი ეკრძალებოდა. რომ გაპყავდი, ერთმანეთსაც არ ელაპარაკებოდნენ. დერეფნებში სქელი ნოხები

თვის უთქვამს: რუსეთის გადაწყვეტილებით, ბავშვები ციხიდან მიჰყავთო. რეზო თამრიკოვი გიჟდებოდა. მაშინვე წამოდგარა. შევარდნაძეს მიუძახებია, რას აპირებო. იმას, რასაც თქვენ გააკეთებდით, თქვენს შვილს ციხიდან რომ აგზავნიდნენო. რეზო ჩემს შობლებს დაურე-



ვეო, ფეხის ხმაც რომ არავის გაეგო, პირდაპირ სამარეში იყავი. ერთადერთი შემხარავი ხმა, რაც გვესმოდა, ტელეფონის ზარი იყო. რკინის ყუთში იყო ტელეფონი, სადაც გამოძიებლისგან ირეკებოდა, თუ ვინ უნდა გაეყვანათ დაკითხვაზე. ეს დასახვრეტად გაყვანის ტოლფასი იყო. ზარის გაგონებაზე ციხეში სუნთქვა წყდებოდა — ყველა ელოდებოდა, ზედამხედველი ვის გაიყვანდა. სხვა „კარმუშა“ რომ გაიღებოდა, დანარჩენი პატიმრები შევებით ამოისუნთქებდნენ. აი, ასეთ პირობებში ვიყავი ორი წელი.

საკანში შეგზავნილი შუბები და კოლბინის ბალანსი

1985 წელს მთელს საბჭოთა კავშირში პოლიტპატიმრების გათავისუფლების პროცესი დაიწყო. მაშინ რეიგანი საბჭოთა კავშირთან „გადატვირთვის პოლიტიკას“ აწარმოებდა. 1985-დან 87 წლამდე გულაგები პოლიტპატიმრებისგან დაიცალა. სწორედ ამ პერიოდში გათავისუფლდა მერაბ კოსტავაც. მოკლედ, გაგვათავისუფლეს, რასაც არ ველოდი. მანამდე კი ასეთი რამ მოხდა: ჩემი ოჯახი ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი იყო — ოთხი-ხუთი „დუბლიონკა“ მქონდა სახლში თავისი ჩექმებით, ერთი დედაჩემმა რეზო ჩხეიძეს საფრანგეთიდან ჩამოატანინა. შუა ზაფხულია, იღება საკანი და ზედამხედველს ჩემთვის სამი „დუბლიონკა“ შემოაქვს თავისი ჩექმებით. ვიფიქრე, დედაჩემი ხომ არ გაგიჟდა, რად მინდოდა ამ გაგანია სიცხეში „დუბლიონკა“-მეთქი. თურმე, შევარდნაძეს რეზო ჩხეიძის-

კა და თავისთან მისვლა სთხოვა. მამა იხსენებდა, რეზოს ისეთი ტონი ჰქონდა, გვეგონა, დაგზირიტესო. დედაც ეს ამბავი რომ გაიგო, გული წასვლია. მამას, თურმე, აღარაფერი ესმოდა, ოთახში რა ხდებოდა, მხოლოდ გუგუნი ჩამესმოდაო. რეზო ჩხეიძემ შევარდნაძეს უთხრა: „ღონ კიხოტის“ გადაღებაზე ესპანეთში მივდივარ და პრესკონფერენციას პირდაპირ ტრაპზე ჩავატარებ. ვიტყვი, რომ ეს არის ქვეყანა, სადაც ჯანსაღი არსებობა წარმუდგენელია და ქვეყანას დაეტოვებო. შევარდნაძემ ურჩია, ინაურს დაელაპარაკეო. თუმცა ინაურმა ყური არ შეიბერტყა. თენდებოდა, როცა თამრიკო ჩხეიძის დედას სადარბაზოდან ტირილის ხმა მოესმა. ზედა სართულზე მოსკოვიდან დანიშნული, ცეკა-ს მეორე მდივანი კოლბინი ცხოვრობდა. თავად რეზოც ცეკა-ს ბინებში ცხოვრობდა. თურმე, კოლბინს ქალიშვილი გარდაცვლია. რეზომ მაშინვე მასთან მისვლის გადაწყვეტილება მიიღო და უთხრა: თქვენ ხართ მამა, რომელიც ახლა ყველაზე მძიმე ტკივილს განიცდის. მე კი ვარ მამა, რომელსაც დღეღამე სახლში შვილის მოსვენებას მიპირებენ. ჩემი შვილის სიცოცხლე მაჩუქე, თუ არადა, ისიც მალე შენს შვილთან ერთად აღმოჩნდებაო. რაშია საქმეო, უკითხავს კოლბინს, — ბავშვები ციხიდან მიჰყავთ, იქ ვერ გაძლებენ, ფაქტობრივად, მათ სიკვდილის განაჩენი გამოუტანესო. კოლბინს მაშინვე ბრეჟნევისთვის დაურეკავს. წარმოიდგინეთ, შვილმკვდარი მამა კოლბინი, რომელიც საქართველოში რუსეთის თვალი და ყური იყო, ამ დროს სხვისი შვილების გასათა-



ვისუფლებლად ბრეჟნევის ურეკავს. მისი გადაწყვეტილებით საქართველოში დაგვტოვეს. აი, ასეთი თავგადასავლები გადამხდა ციხეში. ეს, ერთი მხრივ, ჩემი ისტორიაა და მეორე მხრივ, საზოგადოების, რაც ნათლად აჩვენებს, თუ როგორი დამოკიდებულება იყო განსხვავებული აზრის მქონე ხალხებს შორის. დღეს შენს ტკივილს საზოგადოება ვერ აღიქვამს. მაშინ სამშობლოსადმი დამოკიდებულებას პატივის სცემდნენ. დღეს ვიდაც ნაძირლები ქვეყანას ორ შურად ვიდაც და ქვეყნის სიყვარულს ამას უწოდებენ.

ილია მორჩილის შეგონება

სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, მორწმუნეობის გამოძღვრებას ყველა ერთდებოდა, ეს აკრძალული იყო. პროტესტის ნიშნად სიონის ტაძარში სიარული დავიწყე. სწორედ ამ პერიოდში აკურთხეს ილია მეორე პატრიარქად. მან ადამიანების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ აბსოლუტურად შეცვალა. იქამდე სიონს 5-6 მრევლი ჰყავდა. ხალხმა ეკლესიაში სიარული მასიურად დაიწყო. ილია მეორეს პატრიარქობის პირველივე დღეს მოვესწარი. მას მერე, ცხოვრებას მასთან ერთად მივყავოდი, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

ვინც პატრიარქის გვერდით ტაძარში გავიზარდეთ, კარგად ვიცით, რას ნიშნავს ქვეყნისთვის თავისუფლება და როგორ არის ეს რწმენასთან გადაჯაჭვული. იმ პერიოდში ტაძარში განსაკუთრებული ელიტა, თანამდებობის პირების ცოლები, განათლებული საზოგადოება დადიოდა. 70-იანი წლებიდან 90-იანების ბოლომდე, ყველას ვცნობდი, ვინც კი მორწმუნე იყო. ჩვენ ერთი სხეული ვიყავით. მახსოვს, ერთ-ერთი ქადაგების დროს, მრევლმა პატრიარქს ჰკითხა: თქვენ უფალთან დამაკავშირებელი ხიდი

ლა კი არა, არამედ ქვეყნის თავისუფლებისთვის, უფლისთვის, რწმენისთვის ბრძოლა იყო. დისიდენტური მოძრაობის წევრები, ყველანი მორწმუნენი იყვნენ. სხვა ქვეყნებში პირიქით, დისიდენტები ათეისტები იყვნენ. საქართველოში დისიდენტობა და მართლმადიდებლობა ერთი და იგივე იყო, რაშიც ეს მარცხელი პატრიარქმა ჩადო. ბედნიერებაა, რომ უფალმა ამ გზით მატარა. ერთხელ პატრიარქმა ქადაგებაში ასეთი რამ თქვა: თქვენ გგონიათ, თქვენი ნებით მოხვდით აქ, მაგრამ ასე არ არის, ასეთი ნება თქვენ არ გაგაჩნიათ. ტაძარში ერთადერთი გზით მოდიხარ — უფალი გეძახის ისეთს, როგორც ხარ, მისი დაბრკოლების უფლება არავის აქვსო. ისე დაგებრდი, თავზე ზამთარშიც არ დამიფარებია, რაზეც პატრიარქს შენიშვნა არასდროს მოუცია. მასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი, ყველა დღესასწაულზე ერთად ვტრავებოდი. მოგვიანებით თავად მომინდა, ეკლესიაში თავსაბურავი დამეფარებინა. ადამიანი თავისუფალი ნების გამოხატველია. ეს ფორმალურად ფარისევლობაა და არა რწმენა. მთავარია გული, რწმენა. მთავარი შენ ხარ და არა თავსაბურავი. შეიძლება ტაძარში საერთოდ არ დადიოდე და უფალმა ისე მიგიღოს. წმინდა მამა შიო მღვიმელი რამდენიმე დღით გარდაიცვალა და იმ ქვეყნად მოხვდა, მერე კლინიკური სიკვდილიდან გამოიყვანეს და სააქაოს დაბრუნდა, დიდი ორმო — მღვიმე გათხარა, შიგ ჩავიდა და იქ აღესრულა. კლინიკური სიკვდილიდან რომ გამოვიდა, ბერებს აღარ ელაპარაკებოდა. მამებმა სთხოვეს, გვითხარო, რატომ არ გველაპარაკებო, დუმილის მიზეზი რა არისო. მან მიუგო: მე იმქვეყნად ვნახე ის, ვისაც არ ველოდი და ვერ ვნახე ის, ვისაც ველოდი. ამით



აპრილს ყველანი ენის დასაცავად გავერთიანებულყავით. სწორედ 14 აპრილიდან დაიწყო ჩემი არამარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური გზაც. დისიდენტური მოძრაობის წევრებმა დაიწყეთ მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. თამრიკო ჩხეიძე ისტორიკოსი იყო და დავით გარეჯში გადასახლეს, ვითომ მეცნიერმუშაკად. მარიკა ბაღდავაძეც იქ მუშაობდა, მეც ეტაპობრივად ჩავდიოდი. გარეჯის კომპლექსი ჩემთვის განუყოფელი რამდღე იქცა. ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც ვნახეთ, რომ ტაძარში სამხედროებს ღვთისმშობლის თვალები სამიზნეებდ ჰქონდათ გამოყენებული.

დისიდენტური მოძრაობის წლებში უამრავ არაჩვეულებრივ ადამიანს დავეხვედრები. მოგეხსენებათ, დღეს ქვეყანაში როგორი ანტირუსული პროპაგანდა წარმოებს. იმ წლებში თუკი ვინმეს ვიხსენებ, ჩემს თავდადებულ მეგობრებად, მესაიდუმლოებად, საქართველოს მოკავშირეებად, ეს რუსი დისიდენტები იყვნენ. მათთან ერთად ჩემი ცხოვრების ურთულესი პერიოდი გავიარე, მათ შორის, ციხე, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ. წარმოიდგინეთ, მესამე კურსის სტუდენტი ციხეში რომ მოხვდები, ოჯახი რა დღეში იქნებოდა. დედა გინეკოლოგი მყავდა, მამა, გითხარით — გეოლოგი იყო, ქალაქში სულ შეიდი საავადმყოფო იყო და აქედან ზუთის მთავარი ექიმები ჩემი ნათესავები იყვნენ. საკმაოდ ელიტური სანათესაო მყავდა, ყველა მაღალი თანამდებობის პირი იყო და ამ დროს, მე ციხეში მოვხვდი. პირველი ინფორმაციები დასავლეთში, იმის შესახებ, რომ დისიდენტები დაგვიჭირეს და დახმარება გვესაჭიროებოდა, რუსმა კოლეგებმა გააცხადეს. მათ მთელ მსოფლიოს გააგებინეს, რომ საბჭოთა პერიოდში ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი ვიყავით, რომელიც ციხეში აღმოვჩნდით. „რუსკაია მისლი“-ს ყველა დისიდენტური გამოცემა, რაც კი გამოდიოდა, ჩვენს დაპატიმრებაზე წერდა.

პიროვნებს კი არ ვუპირისპირდებოდით, არამედ სისტემას და მის მანკიერებას ვავლენდით.

მილიციას და დისიდენტებს ერთმანეთთან ღირსეული დამოკიდებულება გეჭონდა. სანამ თელავში გადაგვასახლებდნენ, მილიციის შენობაში ვიყავი დაკავებული. გენერალმა კვანტალიანმა ოთახში მოხარშული დედლები შემომიტანა, მაგრამ პირი არ დამიკარებია, რადგან არ ვიცოდი, სად იყვნენ ჩემი მეგობარი თანამებრძოლები და საჭმელს რა მაჭმევდა. მერე, როცა თელავში გადასახლებულები ერთად აღმოვჩნდით, ჭამის ხასიათზე მოვედი. ლუქსში დიდი სუფრა გაგვიშალეს, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლდა. თამრიკომ სუფრა ვერც კი შენიშნა. მარიკა ბაღდავაძემ მას უთხრა: ნანას ერთი სული აქვს, კომუნისტების ნადავლს მიუჯდესო. თამრიკო უცებ აფერხდა, ახლავე გაიტანეთ ყველაფერიო. ისე მშობიდა, ვუჩქმიტე, გაჩუმდი-მეთქი. შენ, რა, კომუნისტების ნაყიდ პურ-მარილს შეჭამო, — მომიგო. მე ვუთხარი: ისე მშობი, კომუნისტების მოტანილს კი არა, შენ შეჭამ-მეთქი. თამრიკომ მაინც გაატანა ყველაფერი ოთახიდან, მახსოვს, ცრემლებით ვიტირე. ვახტანგ გვარამიამ დამამშვიდა: მაცივარი საჭმელებითაა სასეო, მაგრამ თამრიკომ მაცივარიც გაატანა, ლამის გაგვიფიდა.

ვახტანგ გვარამია 25-მანეთიანების „პაჩკას“ მამლედა, რაც გინდა, იყიდო, მაგრამ არ გამოვართვი. 20-იანი წლების კომუნისტები სულ სხვა მოვლენა იყო, მაგრამ 70-80-ის — სხვა — ერთმანეთის მიმართ კულტურული დამოკიდებულება გეჭონდა. მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, რაც სწორად მიმაჩნდა, ისინი — თავისას. კანონს შეგნებულად ვარღვევდი, იმის იმედით, რომ სისტემას ვარღვევდი, თან ამის შესახებ მსოფლიოს უნდა გაეგო. ციხეში დემენციანზე, კახეკიანზე კი არ ვლაპარაკობდი, კბილის ტკივილზეც კი არასდროს არაფერი მითქვამს. ბრძოლა ეს არის. სწორედ ადამიანის უფლებებისთვის, ღირებულებების დაცვისთვის ვიჯექი მე, 20 წლის სტუდენტი ციხეში.

ლად საქართველოში სწავლობდა. როცა სააკაშვილის რეპრესიები დაიწყო, გადავწყვიტე, მის წინააღმდეგ ბოლომდე მებრძოლა. ჩემი მეგობარი ამერიკაში ცხოვრობდა და მითხრა: ანას რას ერჩი, გაარიდე ამ სიტუაციასო. მართლაც არავინ იცოდა, რა მელოდა. ამიტომ დავთანხმდი და შვილი სასწავლებლად ამერიკაში გავეუშვი. ანა იქ ღრმადმორწმუნე, ქართულ ოჯახს დაუკავშირდა. ოჯახის უფროსი სოსო გუბელაძე ცნობილი მათემატიკოსი, დღეს ბერია. ანას ამერიკაში სამი შვილი მართა, იოანე და ნიკოლოზი შეეძინა. ჩემი სიძეც და ქალიშვილიც აშშ-ში საკმაოდ წარმატებულნი იყვნენ. ანა მერიამში იურისტად მუშაობდა, სიძე კი ერთ-ერთ უძლიერეს საერთაშორისო, კერძო ფირმაში. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციიდან ცნობილი იურისტები და ეკონომისტები ივანიშვილმაც რამდენჯერმე დაიქირავა. დაახლოებით, ერთი წლის წინ, ანამ გამომიცხადა: გვრძობ, რომ ჩემი შვილები აქ ქართველებად ვერ გაიზრდებიანო და მიიღო გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნებულიყო, რათა ბავშვები ქართულად გაზრდილიყვნენ. მკითხა, რა აზრის ვიყავი ამ ყველაფერზე. მეც ვუთხარი: დაბრუნდი-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ აქ არაფერი ელოდათ, არც სამსახური, უკვე ერთი წელიწადია, ჩამოსულები არიან. დღემდე ორივე უმუშევარია, მაგრამ ერთი წუთითაც არ ნანობენ, რომ დაბრუნდნენ. ახლახან, 28 აგვისტოს მარიამობას მეოთხე შვილი შეეძინათ, რომელსაც მარიამი დაარქვეს. მართა ოთხი წლის იყო, საქართველოში რომ ჩამოვიდნენ და ამერიკა დღემდე ახსოვს. ტელეფონზე როცა მირეკავს, მეკითხება: ბებო, შენთან ახლა დღეა თუ ღამეო. აინტერესებს, ამერიკაში ვარ თუ საქართველოში. ვიმორბეობ, ჩემმა შვილმა და სიძემ ამერიკაში აწყობილი საქმე მიატოვეს და აქ დაბრუნდნენ, რათა შვილები ქართველებად გაზარდონ. მთავარია, როგორი ადამიანი ხარ და როგორი დამოკიდებულება გაქვს ქვეყნისადმი. მათ შეუძლიათ, არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნონ, გრანტი მიიღონ, მაგრამ, როცა იციან, რომ თანხა დალატისთვის უნდა მისცენ, ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ.



ხარო, მაგრამ ჩემი მეუღლისთვის, რომელიც თანამდებობის პირია და შვილებისთვის, რომლებიც კომპიუტერული არიან, ზიდი ხელმისაწვდომი არ არის, რადგან ტაძარში ვერ დადიანო. პატრიარქმა მიუგო: ღმერთი სიყვარულია. თავისუფლება ნიშნავს, რომ არავის დაემონო, გარდა შემოქმედისა, ვის წინაშეც მუხლის მოყრა შინაგანად გამაღლებს, სხვა დანარჩენის მიმართ კი, მუხლის მოყრა დაკნინებააო. აი, ამ წიაღში გავიზარდე.

სამიზნად გამოყვანილი ლეონტიძის სატი

1978 წლის 14 აპრილს მთელი საქართველო ქართული ენის დასაცავად ქუჩაში გამოვიდა. წინა დღეს ტაძარში ვიყავი, როცა პატრიარქმა ქადაგებაზე თქვა: ამა ენასა შინა დამარხულ არს საიდუმლო ქვეყნისაი. ენას მოფრთხილება, თავგანწირვა სჭირდება. ის არამარტო საურთიერებო, არამედ უდიდესი საიდუმლო მატარებელი ენაა, ვინც მას დაიცავს, ის ქრისტესაც დაიცავსო. ეს მინიშნება იყო, რომ 14

ბენერლის მორთივანი მონარული დედლაი

მინდა გითხრათ, რომ ჩემი დაპატიმრების არცერთ ეტაპზე, ციხეში თავი დამცირებულად, შეურაცხყოფილად არ მიგრძენია. დისიდენტები

ფსევდონიმის დაბრუნება

ერთი ქალიშვილი მყავს — ანა. მეუღლე 2000 წელს გარდაემეცვალა. შვილის გაზრდაში მშობლები მებმარებოდნენ. ანა თავდაპირველად

თამარ შველიძე

რა გვიჩრს დადაშინდავს?!

(დასასწავლისი ნი. „სპ“ N31)

ჩვენ ვიცით, რომ იესო ცად ამაღლდა, ამიტომ მის მოსვლას ციდან ვეღოთ, მის სამოციქულო ზეცაში მოვიარებთ, თხოვნისას ზეცას შევცქერით, მაგრამ არ ვუკვირდებით, საიდან მოვიდა. იესო არ ამბობს რომ იგი საიდანმე ჩამოვიდა, ის ამბობს რომ საიდანღაც გამოვიდა...

რადაც აქვს კოდირებულად შემონახული ქართულ ხალხურ ზღაპრებს ზეპირსიტყვიერად, რაც ქვეყნულ წარმოაჩენს უპირატეს სამყაროდ (სადაც სულაც არ მოიხსენიება მიცვალებულთა სულები), სადაც ცოდნა, სულიერი საგანძურია, მაგრამ რა არის ის რადაც, ამის ახსნა ჯერ კიდევ არ ძალუძს ადამიანს...

კოსმიური ელჩები დრო და დროს ეცხადებოდნენ ადამიანებს და მცირე ულუფებით აძლევდნენ რაღაც ცოდნას და ამ ელჩს ღმერთის სახელი აქვს მიკუთვნებული შემდგომ უკვე ზეპირსიტყვიერებაში და ჩვენამდე მითოლოგიის სახით მოვიდა... ბოლოს მოსული კოსმიური ელჩი იესო იყო... იესოს შემდგომ აღმოცენებული დედამიწური რელიგიების შემქმნელები არსად წასულან, მიწა იყვნენ და მიწად იქცნენ...

ჰო, გამოვიდა იესო, მაგრამ ადრე აღმოჩნდა, მჭირდოდ დახურული კოსმიური არხები დახვდა, ვერაფერი შეგვაგანებინა და გარკვეულ დრომდე წავიდა...

ჩვენი მსგავსი კოსმიური ელჩი იესო გამოვიდა სადღაც და მერე ავიდა სადღაც, ანუ ის ყველგან არის!

ბევრა, ანუ ამოთქმული „შენ“ პირდაპირ კოსმოსში აგზავნი შეტყობინებას და თუ ის კოსმიური ჯგუფისთვის მისაღებია, იერთებს, თუ აზიანებს — უკან გიბრუნებს — მარტივია, წყველა მაწყვეარი... უბედურება იმაშია, რომ ის,

რაც ბოლო კოსმიურმა ელჩმა არხების გასასხნელად დაგვიტოვა, გადასხვავდეს და ცრუ-სწავლებებით უარესად ჩაახშვეს...

ქართველ ქურუმთა 7 ენერგეტიკული სავატი


ვინც კარგად მიცნობს, კარგად იცის, რომ ტყე-ღრეში სიარული, ციხე-კოშკებზე აბლოტება და გამოქვაბულებში ძროხიანი მიყვარს, შესაბამისად, ბევრი იდუმალი ადგილი მაქვს ნანახი, ზოგი — რამდენჯერმეც კი.

წარმოდგენა არ მქონდა, მხოლოდ ახლად გავიგე, ისიც შემთხვევით, რომ ჯერ კიდევ მოზარდს და შემდეგ უკვე ასაკოვანს, არაერთხელ მქონია მოვლილი ქართველ ქურუმთა 7 ენერგეტიკული ადგილი. ჩემი მხრიდან უგრძელესი მოსათხოვრებია რის საფუძველზე უნდა დავიჯეროთ, რომ ეს ადგილები ქმნიან ერთგვარ კოსმიურ ქსელს და თითოეული მათგანი ამ კოსმიური ქსელის ერთგვარი ენერგეტიკული სვეტია, სადაც მიწიერი და ზეციური არხები უერთდება ერთმანეთს, ამიტომ მხოლოდ ინფორმაციულად გადმოგცემთ თეოზაბულიანის მოკლე ჩამონათვალ-

კოლხი ქურუმები ამ შვიდ წერტილს ერთმანეთთან მედიტაციის, ბგერისა და ხილვის გზით აკავშირებდნენ და ქმნიდნენ ცოცხალ შეიდეგურებს, რომლის ცენტრში იყო ადამიანი, როგორც მიკროსამყარო.

ვისაც პირადად ჩემი დაწერილი და გამოქვეყნებული პატარა-პატარა წერილები აქვს წაკითხული უძველესი კოლხეთის შესახებ, იქნებ ახსოვდეს კიდევ რითი დავიწყე წერილების ციკლი — ფარაონების დნმ-ით, კოლხეთის მეფით, აიეტით, როგორც დედამიწაზე ციდან დაშვებული პირველი სამეფო ხელისუფლებით, კოლხი მეფეთი და სეკატას ბაღით. ამჯერად მხოლოდ მოკლე ვიტყვი, რომ კოლხი ქურუმები გენეტიკური ალქიმის აქტივაციას ახდენდნენ უგზავნიდნენ დედამიწის ბირთვის ცნობიერ რხევებს, რითიც კაცობრიობას ეზმარებოდნენ.

რედაქციაშიც არაერთი „უცნაური ადამიანი“ გვსტუმრობდა და ისედაც არაერთ „უცნაურ ადამიანთან“ მქონია კერძო საუბარი, მაგრამ, რადგან ვხედავ და დანადვილებით ვიცი, რომ ადამიანის გონება არ არის მზად „რადაც-



ყაზბეგი

წარსულ სიცოცხლებსა და იღვიძებდა კოსმიური ცოდნა. აქვე ტარდებოდა ზეციური გონის გამოღვიძების რიტუალი. ეს ენერგია ყაზბეგს დღესაც აქვს — ადამიანებს

მქონენი ამ ტალღების მეშვეობით ყოველთვის გაძლიერდებიან.

„უცნაურმა ადამიანმა“, ბატონმა არჩილმა, მცხეთის შესახებაც მიაშრო „უცნაური ამბები“...

ვარძია — აქ ხდებოდა გულის ღრმა ტრანსფორმაცია და შიდა ბუნების გაღვიძება — თვითშემეცნების შუქი სიბნელეში. ქურუმები აქ გადიოდნენ სიბნელის რიტუალებს, სადაც შიშს პირდაპირ უყურებდნენ. ქვის სიღრმეში ხდებოდა „სველის ჩრდილის“ გარდაქმნა. ამ ადგილზე იწრთობდნენ ის ადამიანები, ვინც შემდგომ ქურუმები უნდა გამხდარიყვნენ.

ვარძია რჩება ადგილად, სადაც საკუთარ თავთან დაპირისპირებაა შესაძლებელი. ვარძია იდეალურია შიდა ტრანსფორმაციისთვის, შიშების გასანეიტრალებლად და წინაპართა კარმის გასაწმენდად.

ხვამლი — უკვდავთა მთა, კარიბჭე და კოსმიური გასაღები. აქ ხდებოდა შავი და თეთრი ალქიმის გადაკვეთა, კარმული გაწმენდა და ჩრდილისგან სიბრძნის ამოღება. მხოლოდ წინასწარ შერჩეული ქურუმები შედიოდნენ ხვამლის მთაში. მიიჩნეოდა, რომ აქედან იხსნებოდა მეხსიერება კაცობრიობის წინა ცივილიზაციებზე და ხმოვანი რეზონანსით ხდებოდა ალტერნატიულ ცნობიერებასთან გადასვლა.

ხვამლი კვლავაც უხილავი გზაა წარსულ ცივილიზაციებთან, ატლანტურ კოდებთან და გენეტიკურ გასხნებასთან. ხვამლზე სიხმრები განსაკუთრებით მძლავრია.

მაკა ჯაყელი (გაბრძემბა იმეზა)



ხვამლის მთა

სა და მცირე განმარტებებს.

ქურუმები ფლობდნენ რუკას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ შვიდ უმაღლეს ვიბრაციის ადგილს აერთიანებდა. ქართველი, უფრო ზუსტად იქნება თუ ვიტყვით, უძველესი

ბის“ გასაგებად, მხოლოდ ისე ვამბობ, რომ მარტივი გასაგები იყოს, თუმცა, ფაქტობრივად, ზღაპარი გამოდის. „ზღაპარი“ სიტყვა ვახსენე და თვით ეს სიტყვაც დაშიფრულია, თუმცა ზღაპარზე შემდგომ ვისაუბროთ.


ეს შვიდი ადგილია დღევანდელი: ყაზბეგი, მცხეთა, ვარძია, ხვამლი, ბეთანია, დავით გარეჯის უდაბნო და მთაწმინდა. ნუ აურევთ ერთმანეთში უძველესი კოლხეთის ქურუმებს, მათ კოსმიურ ცოდნასა და თანამედროვე სასულიერო პირებსა და ქრისტიანობას!

ყაზბეგი — აქ ხდებოდა სულიერი არხების გახსნა ცასა და მიწას შორის, ასევე ხედავ და წინასწრემეტყველება. მის თავზე მდებარე არხი გვირგვინის ჩაკრის აქტივაციას ახდენდა. ყაზბეგში ქურუმების მიზანი მათი პირადი მისიის გახსნება და კარმის ხილვა იყო. ქურუმები აქ გადიოდნენ პირველი სინათლის ინიციაციას, ხედავდნენ საკუთარი სულის დანიშნულებას,

შეუძლიათ გაიხსენონ საკუთარი თავი და აღდგეს კავშირი კოსმოსურ თვითგრძობასთან. ყაზბეგი იდეალური ადგილია მედიტაციების, გონებრივი დამიწებისა და არნახული ხედვების გასასხნელად.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა „უცნაურმა ადამიანმა“ ბატონმა არჩილმა, ზეპირსიტყვიერებით გადმოცემული „უცნაური ამბები“ მომითხრო ამ ადგილის შესახებ, მაგრამ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზნების გამო, ვერ მოგიხსრობთ.

მცხეთა — ეს არის გონების, ბგერისა და სიწმინდის ენერჯის ადგილი, კოსმიური ცენტრი, ტვინის ორივე ნახევარსფეროს პარმონია. მცხეთაში სიტყვით იქმნებოდა რეალობა. მცხეთაში ინახება წმინდა „ხმოვანი კოდები“, რომელთაც ქურუმები იყენებდნენ რეალობის ფორმირებისთვის. „სვეტი“, რომელიც ცხოველი იყო, ვერტიკალური არხი ცასა და მიწას შორის. ეს ადგილი კვლავ აერთიანებს ცნობიერ ტალღებს და სულიერების



ვარძია

„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგაზეთო-საბეჭდო-საბეჭდო-საბეჭდო „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილაძე

რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბარძიმიანი 555 33-44-14
რედაქტორის მოადგილე: ბელა ზაქარაიანი 555 48-48-61

სარედაქციო კოლეგია:

თამარ შველიძე, ვია ბურდული, მათა ჭვლიძე, ზურაბ ომხერელი, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკავალბონებელი), ბელა გველესიანი (სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაურცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

<http://www.saertogazeti.com>

მის.: თბილისი, სლავა მებრძოლის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)

E-mail: saertogazeti@yahoo.com. <http://www.saertogazeti.com>

რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983



2 009 882 682 227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შპს-ს შიგნით, ავტორის პრინციპით არ ეთანხმებოდა რედაქციის ავტორს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაგებება შპს-ს შიგნით არ არის გარანტირებული. მისი უფლებები არ არის გარანტირებული. მისი უფლებები არ არის გარანტირებული.

© ამ ნომრით აღნიშნული საგაზეთო მასალა. იმპრინტირებულია შპს „საგაზეთო-საბეჭდო-საბეჭდო“ სტამბაში. აბლაქის 39. ტელ.: 234-39-99